დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 5 - 11 ივნისი

N26 1490

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ამერიკის წაქცევა





2

ამერიკა იქცევა იმიტომ, რომ ტრამპის ლოზუნგი — „გახადე ამერიკა უფრო დიადი!“ — განდევნა და ჩაანაცვლა „ელგებეტე“ მაფიის ბინძურმა განზრახვამ, რომელიც ასე ჟღერს — „გავხადოთ ამერიკა უფრო „ცისფერი“!

## დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში!



## სააკაშვილის „ვივამედში“ ყოფნა საფრთხეს უქმნის და ხელს უშლის კლინიკის ნამდვილ პაციენტთა გამოჯანმრთელების პროცესს!

6-7

## «ზელენსკი საკუთარი ქვეყნისა და საქართველოს მტერია!»



9



13-14

## «ყოჩაღ, ირაკლი, რომ ამ პოლიტიკური მძორის — ზელენსკისაკენ არ გაიხედე!“

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი ამხელს!



საქართველოს რესპუბლიკა

## სპარტაკ ქოზუბლია საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს!

5

# ამერიკის

***წინა კვირას ამერიკის პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი კოლორადოში შეერთებული შტატების საჰაერო ძალების აკადემიის გამოსაშვებ ცერემონიალს ესწრებოდა, როცა ქვიშის ტომარას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. ბაიდენი, რომელიც კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოსა და ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ფაზას დიდი ხანია, გასცდა, უკვე მესამედ გაიშხლართა.***

**პირველად** ამერიკის პრეზიდენტი, სააკაშვილის მსგავსად, ველოსიპედით სეირნობისას დაიმტვრა, როცა თითქმის გაჩერებული ორთვალა ტრანსპორტიდან გადმოვარდა და ფეხი იტკინა. რომ არა ველოსიპედისტის ჩაფხუტი, შესაძლოა, მოხუცს თავი ასფალტზე დაერტყა და სერიოზული დაზიანება მიეღო. **მეორედ** ბაიდენი თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას, ქარაშოტსა და ქარბორიაში ორჯერ წაიქცა და კინაღამ კიბეზე დაგორდა, მაგრამ იღბლად გადარჩა, ხოლო **მესამედ,** ამ რამდენიმე დღის წინათ, მოხდა ის, რითიც წინამდებარე წერილი დავიწყეთ...

**ბაიდენის მესამედ წაქცევა სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, რადგან დაკავშირებულია ქვიშასთან, კერძოდ, ქვიშის ტომარასთან, რომელსაც თეთრი სახლის სპიკერებისა თუ ასინეთების განმარტებით, პრეზიდენტმა ფეხი წამოჰკრა.**

მიგვაჩნია, რომ ბაიდენის ხშირი წაქცევა და მსოფლიო გეოპოლიტიკაში შექმნილი უმძიმესი ვითარება, როცა ამერიკა თავის მოკავშირეებს ერთმანეთის მიყოლებით კარგავს, შეერთებული შტატების, **როგორც ქვიშის ფეხებზე შემდგარი გოლიათის,** წაქცევისა და დაქცევის პრელუდიაა.

ხდება ის, რაც ასურეთის უძველესი იმპერიიდან მოყოლებული, მსოფლიოს ყველა დროის იმპერიას მიეზღო და მოუვიდა — **ამერიკის შეერთებული შტატების იმპერია იშლება!**

ჩვენ გვინახავს **მრავალსართულიანი ამერიკა,** წაგვიკითხავს **ილფისა და პეტროვის „ერთსართულიანი ამერიკა“,** ღამეები გვითენებია რიჩარდ რაიტის დიდებული რომანის — **„ამერიკის შვილის“** ფურცლაში, რათა ავტორს ჩვენთვის ბედდამწვარი ბიგერ თომასის საშინელი აღსასრული მოეთხრო, **დათო ჩიხლაძის „უსართულო ამერიკაც“ გვახსოვს,** მაგრამ წაქცეული ამერიკის შესახებ დღემდე არაფერი გვსმენოდა.

ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო და, სიმართლე გითხრათ, **ამერიკა ჩემს წარმოდგენაში პირველად მაშინ წაბორძიკდა, როცა 1991 წლის ივლისში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) გორბაჩოვთან ერთად კიევში ჩავიდა და უკრაინელებს მიმართა — საბჭოთა კავშირში დარჩითო!** მოგეხსენებათ, **ბუშს** მაშინ მამაცმა კიეველებმა კვერცხები და პომიდვრები დაუშინეს... **საბოლოოდ ამერიკა ჩემთვის 1992 წლის 26 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, წაიქცა, როცა ჯეიმს ბეიკერს ჯაბა იოსელიანმა მხედრიონის საპატიო ორდენი გადასცა.** ცხადია, ამერიკის სახელწიფო მდივანს მაშინ არაფერი შეუმჩნევია და კრინტი არ დაუძრავს იმაზე, რომ ქართველების სისხლით მოთხვრილი გადამტრიალებლებისა და ბანდიტების გვერდით იდგა, რომლებმაც ქვეყნის ეროვნული ხელისუფლება დაამხეს, ხოლო თბილისში მშვიდობიანი მიტინგები დახვრიტეს!

**ბაიდენის** პირველად წაქცევას მსოფლიო საზოგადოებაში დაახლოებით იმ შოკის ეფექტი ჰქონდა, რაც **410 წლის 24 აგვისტოს ვესტგოთების მეფის ალარიხის მიერ რომის აღებას მოჰყვა,** როცა მთელი რვაასი წლის განმავლობაში რომის დაუფლება ძეხორციელმა ვერ შეძლო და თვით ლეგენდარულმა **ჰანიბალმაც** კი ვერ გაბედა კანესთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მარადიულ ქალაქზე იერიშის მიტანა. მართალია, რომის ჭიშკარი ვესტგოთებს მონებმა გაუღეს, მაგრამ გამარჯვება მაინც გერმანელმა ბარბაროსებმა გაიფორმეს. ალარიხის მიერ რომის აღებას რიგითი ადამიანების ცნობიერებაში უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა და აპათია მოჰყვა. ყველა, ვინც ფიქრობდა, რომ **მარადიული ქალაქი რომი** უკუნითი უკუნისამდე იარსებებდა, შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო. ყველამ დაუცველად და უმწეოდ იგრძნო თავი. რომის ფორუმი, სადაც საუკუნეთა განმავლობაში მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ევროპული ცივილიზაციის ბედი წყდებოდა, დაცარიელდა და იქაურობას ბალახი მოედო. **ყველა ხვდებოდა, რომ იმპერიის დაცემა დროის საკითხი იყო.**

სწორედ ასეთი შეგრძნება დაეუფლა ბევრს, როცა **პრეზიდენტი ბაიდენი** პირველად წაქცეული ნახა. **მსოფლიომ ბაიდენის წაქცევაში ამერიკის**




**რაც დრო გადის, ჩვენ სულ უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ ამერიკის წაქცეულ პრეზიდენტს, რაც იმის უტყუარი მანიშნებელია, რომ ამერიკაც იქცევა!**

**დონალდ ტრამპი შეერთებული შტატების უკანასკნელი იმედი და ფლავიუს სტილიქონი იყო, რომელიც გზიდან ჩამოიშორეს და შერისხეს, მაგრამ ვერ მოკლეს. ტრამპი ამერიკისა და პატიოსანი მსოფლიოს იმედად ისევ რჩება და ვნახოთ, გახდის თუ არა ამერიკას ისევ დიადს!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



მშვიდობაზე, დოვლათზე უნდა ვთქვათ უარი და **უკრაინის ომის გამო შევუერთდეთ სანქციებს?** ვინ დააწესა სანქციები ჩვენი ომის გამო? — ჩვენი სამხედროების ცხედრებიც კი არ გამოიყვანეს და **მიწაზე გართხმული ვნახეთ მაშინდელი მთავარსარდალი.**

თუ ევროპელ პარტნიორებს რეალურად სურთ ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება და პოლარიზაციის დასრულება, მაშინ **ქვეყანამ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი.**

„პირველი არხი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ელჩები შეიყვანეს შეცდომაში, ჩვენი მხრიდან არავითარი პოლიტიკური თანხმობა არ იყო საჭირო — **2010 წელს სააკაშვილმა და პუტინმა მოილაპარაკეს ფრენების აღდგენის თაობაზე** და მათ შორის დადებული პოლიტიკური შეთანხმება არის ძალაში.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ბიძინა ივანიშვილს** ორ რამეს ვერ პატიობენ — **ეს არის პატრიოტიზმი და ხალხის სიყვარული.**

„ახალი თაობა“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ჩვენ სულაც **არ ვაწარმოებთ დათმობის პოლიტიკას რუსეთთან,** ეს დათმობის კი არა, **სტრატეგიული მოთმენის პოლიტიკაა.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



დღეს საქართველო **ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყანაა ჩვენს ახლო სამეზობლოში** და ევროპასთან შედარებითაც.

„იმედინიუსი“

# წაქცევა

**წაქცევის ბნელი მომავალი დაინახა. ვინც ბრეჟნევს, ჩერნენკოსა და საბჭოთა პოლიტბიუროს გამადიდებელი ლუპით აკვირდებოდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საბჭოთა კავშირის დღეები დათვლილი იყო.** აკი **გენერალი დე გოლი,** რომელიც 1944 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩამოვიდა და დიდი **სტალინისგან** საფრანგეთის პრეზიდენტად კურთხევა მიიღო, სულ ამას ამბობდა — **საბჭოთა კავშირი იარსებებს მანამ, სანამ იცოცხლებს დიდი სტალინი!** დრომ დაადასტურა, რომ სტალინის გარდაცვალებიდან ზუსტად 38 წელიწადში, 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირი ოფიციალურად მართლაც დაიშალა! **მაგრამ პრინციპულად თუ განვსჯით, თვალუწვდენელი წითელი იმპერია სწორედ დიდ ბელადთან ერთად მიიცვალა და მთელი ის 38 წელი ქვეყანამ ინერციით იცოცხლა.**

**ბაიდენის მეორედ წაქცევა** ფიგურალურად ვანდალების მიერ რომის მეორედ აღებას უნდა შევადაროთ. **მოგეხსენებათ, 455 წელს 2 ივნისს ვანდალების მეფე ჰეიზერიხმა რომი ბრძოლის გარეშე ისტორიაში მეორედ აიღო და 16 ივნისამდე, მთელი ორი კვირის განმავლობაში, ქალაქი პირწმინდად გაძარცვა.** ვანდალებმა რაც წაიღეს, წაიღეს, რაც არადა, გაანადგურეს, დაწვეს და დალეწეს. სწორედ აქედან მოდის ტერმინი **„ვანდალიზმი“.**

455 წლის ზაფხულში რომაელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ იმპერიის ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი იყო. **აპათიასა და უკიდურეს სასოწარკვეთაში ჩავარდნილმა არაერთმა რომაელმა პატრიციუსმა, იმისათვის, რომ ოჯახი წარწყმედისა და გაბახებისგან ეხსნა, მიატოვა მარადიული ქალაქი და ცოლ-შვილთან ერთად იმპერიის მიყრუებულ პროვინციებს შეაფარა თავი.** გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს პროცესი ამ ბოლო დროს შეერთებულ შტატებშიც დაიწყო. **უკვე ბევრისგან მსმენია, რომ „ელგებეტე“ პროპაგანდის გაძლიერების გამო, რაც მომავალ თაობას საფრთხეს უქმნის, არაერთმა ქართველმა მიატოვა შეერთებული შტატები და ოჯახით საქართველოს მოაშურა.**

რაც შეეხება **ბაიდენის მესამედ წაქცევას,** ეს უკვე 476 წლის 4 სექტემბერს უნდა შევადაროთ, როცა **ბარბაროსმა მხედართმთავარმა ოდოაკრმა** დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორი, 16 წლის **რომულუს ავგუსტულუსი** დაამხო და თავი რომისა და იტალიის მეფედ გამოაცხადა. **ოდოაკრმა გააუქმა იმპერია და რომის მრისხანე იმპერატორთა ნიშნები კონსტანტინოპოლში იმპერატორ ზენონს გაუგზავნა.**

ისტორიკოსების უმეტესობა თანხმდება იმაში, რომ **რომის იმპერიის უბედურება დაიწყო მაშინ, როცა იმპერატორმა ჰონორიუსმა ირწმუნა ბნელეთის მოციქულთა ბოროტი ხმების და 408 წელს რავენაში სიცოცხლეს გამოასალმა თავისი გამზრდელი, უმამაცესი მხედართმთავარი ფლავიუს სტილიქონი, რომელმაც ვესტგოტების მეფე ალარიხს იტალიაში ორჯერ კისერი მოატეხინა და სასტიკად დაამარცხა.** ცნობილია, რომ როგორც კი **სტილიქონი** მოკლეს, ორ წელიწადში **ალარიხმა** რომი აიღო!

ზუსტად ასე დაემართა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც — **როგორც კი დონალდ ტრამპს საპრეზიდენტო არჩევნები გაუყალბეს, გეი-მაფიამ მაშინვე ისარგებლა პრეზიდენტ ბაიდენის უძლურებით და მთლიანად ხელში ჩაიგდო ქვეყნის მმართველობის სადავეები.**

**დონალდ ტრამპი** შეერთებული შტატების უკანასკნელი იმედი და **ფლავიუს სტილიქონი** იყო, რომელიც გზიდან ჩამოიშორეს და შერისხეს, მაგრამ ვერ მოკლეს. **ტრამპი ამერიკისა და პატიოსანი მსოფლიოს იმედად ისევ რჩება და ვნახოთ, გახდის თუ არა ამერიკას ისევ დიადს!**

ამერიკა იქცევა იმიტომ, რომ დონალდ ტრამპის ლოზუნგი — **„გახადე ამერიკა უფრო დიადი!“** — განდევნა და ჩაანაცვლა „ელგებეტე“ მაფიის ბინძურმა განზრახვამ, რომელიც ნელ-ნელა სისრულეში მოჰყავთ და ასე ჟღერს — **„გავხადოთ ამერიკა უფრო „ცისფერი“!**

ამერიკა რომ დაქცევის პირასაა, ამის უპირველესი დასტური **თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის** განცხადებაა, რომელიც დაიმუქრა — **ამერიკას გავანადგურებთო!**

ცხადია, იმ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც 1952 წელს საბჭოთა ტანკებისგან სწორედ ამერიკამ და ბრიტანეთმა იხსნეს და სასწრაფოდ ნატოში შეათრიეს, ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს. მაგრამ ნათქვამია, თხა რომ გასუქდება, მგლის გაუპატიურებას მოინდომებსო! და სწორედ ასეა თურქეთისა და ამერიკის საქმეც.

**1952 წელშიც და ახლაც, დასავლეთმა საქართველოს სტრატეგიულ და ეროვნულ ინტერესებს დაარტყა! მაშინ თურქეთი რომ ნატოში სასწრაფო წესით არ შეეყვანათ, საქართველო და სომხეთი რუსის ხიშტით და სტალინის რკინის ხელით ისტორიულ მიწებს დაიბრუნებდნენ და ჩვენი ქვეყნის საზღვრები არზრუმამდე იქნებოდა გადაჭიმული, ხოლო ახლა ამერიკული გეი-აგენტურა საქართველოში საქმეს რომ არ ურევდეს, ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსიც მოპოვებული ექნებოდა და შევარდნაძისა და სააკაშვილის მიერ ჩაბარებული და გაყიდული აფხაზეთისა და ცხინვალის შემოსამტკიცებლად რუსეთთანაც აქტიურ სჯა-ბაასს გავაჩაღებდით.**

აი, ამიტომ გვინდა ტრამპის ამერიკა, რომელიც გახდება პატარა საქართველოს მეგობარი და იქნება კიდევ უფრო დიადი!

აი, ამიტომ არ გვინდა ლგბტ მაფიისა და ჩერნენკოს ფაზაში შესული ბაიდენის ამერიკა, რომელიც წაიქცა, რადგან გახდა კიდევ უფრო „ცისფერი“!

**დიტო ჩუბინიძე**



**ამერიკა იქცევა იმიტომ, რომ დონალდ ტრამპის ლოზუნგი — „გახადე ამერიკა უფრო დიადი!“ — განდევნა და ჩაანაცვლა „ელგებეტე“ მაფიის ბინძურმა განზრახვამ, რომელიც ნელ-ნელა სისრულეში მოჰყავთ და ასე ჟღერს — „გავხადოთ ამერიკა უფრო „ცისფერი“!**

**აი, ამიტომ გვინდა ტრამპის ამერიკა, რომელიც გახდება პატარა საქართველოს მეგობარი და იქნება კიდევ უფრო დიადი! აი, ამიტომ არ გვინდა ლგბტ მაფიისა და ჩერნენკოს ფაზაში შესული ბაიდენის ამერიკა, რომელიც წაიქცა, რადგან გახდა კიდევ უფრო „ცისფერი“!**

## კვირგვინოსნები

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



ჩვენ ერთად ვდგავართ, რათა **დავეხმაროთ საქართველოს სწრაფვას** ევროატლანტიკურ სივრცეში.

„ახალი თაობა“

**გიგლა ბარამიძე**
*დეპუტატი, პროფესორი*



კიდევ რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას ხელისუფლების მიერ, რომ ვილაცები დარწმუნდნენ, ჩვენ **ევროპული გზით** მივდივართ.

„TV იმედი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



ჩვენს ქვეყანას როდესაც ჰქონდა ომი, **რომელი გამობრძანდით და ითხოვდით, რომ რუსეთთან უვიზო რეჟიმი, ფრენები არ ყოფილიყო,** სანქციები დაგვეწესებინა?!

„იმედინიუსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობას ვერ მოუნელებია, რომ მისი მმართველობის შემდეგ საქართველოში არის მშვიდობა. **ნუ ცდილობთ, საქართველო ომისა და ქაოსის მდგომარეობაში დააბრუნოთ** — ეს არ მოხდება!

„ინტერპრესნიუსი“

**შარლ მიშელი**
*ევროპული საბჭოს პრეზიდენტი*



**ევროპული ღირებულებები ქართველი ხალხის სისხლშია!**

„ახალი თაობა“

# მიანიჭეთ სააკაშვილს გმირი მამის წოდება!

***განდიდების მანიით შეპყრობილ მიხეილ სააკაშვილს ყოველთვის უნდოდა, ქართველი ხალხის თვალში გმირი გამხდარიყო და საქართველოს ისტორიაში დიდებით შესულიყო, მაგრამ, როგორც ნეხვისაგან ხაჭო არ გაკეთდება და ლევან ხაბეიშვილისაგან — სალამური, ვერც სააკაშვილისაგან გამოდნა გმირი.***

ან რომელ გმირობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ხან — დავით აღმაშენებელთან, ხან კი ჯორჯ ვაშინგტონთან თავგატოლებულმა სააკაშვილმა 2008 წელს, რუსეთთან ომის დროს, მთელი მსოფლიოს თვალწინ ჩაისვარა, საკუთარი ჰალსტუხი დაღეჭა, შემდეგ კი თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე ცხვირით მიწა მოხნა.

სააკაშვილს გმირობის შანსი თავიდანვე არ ჰქონდა, რადგან იგი განგებამ **გიული ალასანიას შვილად** გააჩინა, ხოლო გიული ალასანიას შვილის გმირად გაზრდა რომ არ შეეძლო, ქართველი საზოგადოება ამაში განსაკუთრებით მას შემდეგ დარწმუნდა, რაც იგი პატიმრის დედის ამპლუაში იხილა.

დიახ, **სატელევიზიო გადაცემებში გიული ალასანიას ინტენსიურმა გამოსვლებმა და მისმა განცხადებებმა ნათელყო, რომ ძალაუფლების ცხოველური ჟინით შეპყრობილი სააკაშვილის ნამდვილ მიზანთროპად და სოციოპათად ჩამოყალიბებაში დიდი როლი სწორედ დედამისს უთამაშია.**

მოკლედ, ვერც პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე სააკაშვილი, ვერც შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი სააკაშვილი და, მითუმეტეს, ვერც პატიმარი სააკაშვილი გმირად ვერ იქცა!

მეტიც, **პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე სააკაშვილი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი სააკაშვილი და, მითუმეტეს, პატიმარი სააკაშვილი აბსოლუტური ანტიგმირია, რომელმაც საშინლად შეირცხვინა თავი საქართველოს არამხოლოდ აწმყოსა და მომავლის, არამედ წარსულის წინაშეც!**

და მაინც, ამ ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრებამ სააკაშვილს შანსი მისცა, გმირობის სანუკვარი თიკუნი საყოფაცხოვრებო ასპექტში მაინც ირგუნოს!

კერძოდ, **სააკაშვილს შესაძლებლობა აქვს, გმირი მამის წოდებას დაეუფლოს!**

მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში არსებობდა გმირი დედის საპატიო წოდება და ორდენი, რომელსაც 10 და მეტი შვილის მშობელ და აღმზრდელ ქალბატონებს ანიჭებდნენ. გასულ წელს ეს წოდება და ჯილდო, რომელიც 1991 წლის შემდეგ გაუქმებული იყო, ოფიციალურად აღადგინა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა,** რომელმაც გმირი დედის ორდენით ჩეჩნეთის ლიდერის **რამზან კადიროვის მეუღლე** დააჯილდოვა, როგორც **14 შვილის დედა.**



ჰოდა, აი, ახლა სააკაშვილს აქვს შანსი, **გმირი მამის სტატუსი** მიიღოს!

მერე რა, რომ გმირი მამის ოფიციალური ორდენი და საპატიო წოდება არც საქართველოში არსებობს და არც სხვაგან, სააკაშვილისათვის მთავარია, რაღაცაში მაინც ერქვას გმირი და მნიშვნელობა არა აქვს, ეს ტიტული ოფიციალური იქნება თუ არაოფიციალური.

ამ შემთხვევაში არც იმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ სააკაშვილი 10 და მეტი კი არა, **4 შვილის მამაა.** აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ სად, როგორ და რა ვითარებაში შეძლო პატიმარმა ნაცბელადმა მე-4 შვილის „გაკეთება".

როგორც მოგეხსენებათ, **სააკაშვილს სანდრა რულოვსთან ოფიციალურ ქორწინებაში ორი ვაჟი ეყოლა, მესამე შვილი — გოგონა — მომღერალ სოფო ნიჟარაძესთან ქორწინების გარეშე შეეძინა და სულ ბოლოს მე-4 შვილი — ისიც გოგონა — უკრაინის რადას დეპუტატმა ლიზა იასკომ გაუჩინა.** ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა უკრაინელ პოლიტიკოსს მასზე 23 წლით უფროსი სააკაშვილისაგან შვილი ეყოლა, რომელიც რუსთავის ციხეში ჩაისახა, ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს გავრცელდა, თუმცა, ეს ამბავი ოფიციალურად ამ დრომდე არ დასტურდებოდა. **მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ, 2023 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, იასკომ სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა, რომლითაც ცხადი გახდა, რომ მას მართლაც შეეძინა შვილი.** მართალია, სააკაშვილის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ცოლს არც ბავშვის დაბადების ზუსტი თარიღი დაუსახელებია და არც მამის ვინაობა დაუკონკრეტებია, მაგრამ მისი ფეისბუქპოსტის ცალკეული პასაჟების მიხედვით, აშკარაა, რომ ბავშვის მამა სააკაშვილია. კერძოდ, **ლიზა იასკო** წერს: ***„ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ბავშვის მამა არ იქნებოდა თავისუფალი და ჯანმრთელი იმ ძალიან მნიშვნელოვან მომენტებში, როცა ვგეგმავდით ერთად ყოფნას. მამისთვის ჩვენი შვილი არის მისი უკრაინული ფესვები და უკრაინული გაგრძელება, რაზეც ოცნებობდა და სურდა, ყოლოდა, ამაყობდა უკრაინის მოქალაქის პასპორტით".***



ასე და ამრიგად, შეგვიძლია, უკვე ოფიციალურად გამოვთვალოთ: **მიხეილ სააკაშვილს 3 სხვადასხვა ქალისაგან 4 შვილი ჰყავს!**

მართალია, 4 შვილის ყოლა **გმირი მამის წოდების** მისაღებად საკმარისი არ არის, მაგრამ

**თუ გავითვალისწინებთ, როგორი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პირობებში, როგორ დამთრგუნველ და ჯოჯოხეთურ გარემოში შეძლო მე-4 შვილის ჩასახვა პუტინის პირადმა პატიმარმა და პრორუსი**

**ივანიშვილის მტარვალი რეჟიმის ტყვე სააკაშვილმა, ეს ერთი ბავშვი, მინიმუმ, ოთხად უნდა ვუანგარიშოთ.**

თავად განსაჯეთ, პუტინი და ივანიშვილი ყოველდღე აწამებდნენ, წამლავდნენ და კლავდნენ რუსთავის ციხეში გამომწყვდეულ სააკაშვილს, ის კი საკუთარ თავში მაინც პოულობდა ძალას, პატიმრებისათვის განკუთვნილ გრძელვადიანი პაემნების ოთახში ლიზა იასკო დაემარტოხელებინა და დაეორსულებინა!

**არ არის ეს გმირობა?**

**არ ეკუთვნის სააკაშვილს გმირი მამის წოდება?**

თვეების განმავლობაში თქვენ რომ გაწამებდეთ, გწამლავდეთ და გკლავდეთ პუტინი და ივანიშვილი, შეძლებდით საყვარელ ქალთან სიამტკბილობასა და ბავშვის ჩასახვას? არა, ასეთი გმირობა მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია და ასეთი გმირი მხოლოდ სააკაშვილია!

**კი, ეკუთვნის, ნაღდად ეკუთვნის ამ კაცს გმირი მამის ორდენი, მითუმეტეს, რომ ლიზა იასკოსგან გაჩენილ შვილს კიევის ცენტრში ძვირადღირებული ბინაც გადაუფორმა, რომელიც, ცხადია, ფლორიდაში, ოკეანის სანაპიროზე მდებარე პენტჰაუსის მსგავსად, ბებიის პენსიითა და პროფესორი დედის სახელფასო დანაზოგით ჰქონდა შეძენილი.**

ასე რომ, მიანიჭეთ სააკაშვილს გმირი მამის წოდება!

სულაც არ არის საჭირო იმის ლოდინი, პატიმრობაში გასატარებელი კიდევ ოთხნახევარი წლის განმავლობაში ავა თუ არა ნაცბელადი 10 და მეტი შვილის მამობაზე!

**პუტინი და ივანიშვილი ყოველდღე აწამებდნენ, წამლავდნენ და კლავდნენ რუსთავის ციხეში გამომწყვდეულ სააკაშვილს, ის კი საკუთარ თავში მაინც პოულობდა ძალას, პატიმრებისათვის განკუთვნილ გრძელვადიანი პაემნების ოთახში ლიზა იასკო დაემარტოხელებინა და დაეორსულებინა!**

## P.S.

***ლეონიდ ბრეჟნევის განსაკუთრებული სიყვარული და მიდრეკილება ორდენებისადმი ხშირად გამხდარა ქილიკის თემა. მაგალითად, საბჭოთა კავშირში ერთი ასეთი ანეკდოტი დადიოდა:*** *ბრეჟნევს საშვილოსნო უნდა გადაუნერგონ, რადგან მხოლოდ გმირი დედის ორდენი აკლიაო!* ***არ ვიცით, სჭირდება თუ არა სააკაშვილს რომელიმე ორგანოს გადანერგვა, მაგრამ გმირი მამის ორდენი ნამდვილად უნდა მიენიჭოს!***

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

იმ ხალხის გასაგონად, ვისაც ჩემთვის სიტყვა **„თავისუფლება"** არ ემეტება და მხოლოდ **„ადეკვატური მკურნალობით"** იფარგლება — მეგობრებო, **მე აქ სამკურნალოდ არ ჩამოვსულვარ.** თავი გავწირე ქვეყნის გადასარჩენად.

„ახალი თაობა"



**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას" დამფუძნებელი*

**გიორგი ჩალაძით** რომ არ ანაცვლებს რეჟიმს **ქართველი ხალხი,** ამაზე **ქართველ ხალხს** ეჩხუბებით, არა?

„აიპრესი"



**გიორგი ჩალაძე**
*„მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების შტაბის" ხელმძღვანელი*

**მიშა უნდა გავათავისუფლოთ ტყვეობიდან** და დავასრულოთ ეს დიდი ეროვნული სირცხვილი. დარწმუნებული ვარ, **პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად ძალიან მალე,** იმედი მაქვს, მომავალ წელს, ამ დროს, საქართველოში რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია იქნება.

„TV პირველი"



**თინა ბოკუჩავა**
*ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*

უპირველესი საკითხი მიხეილ **სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენაა,** პოლიტიკურ გეგმებთან დაკავშირებით კი არჩევანი თავად მესამე პრეზიდენტმა უნდა გააკეთოს.

„ინტერპრესნიუსი"



**სოსო ციცაძე**
*პოლიტოლოგი*

**ხაზეიშვილს უნდა, მიშას ორეული გახდეს,** ეს შეუძლებელია. ოპოზიციამ თუ ასე გააგრძელა, **საერთოდ გაქრება პოლიტიკური ველიდან.**

„ახალი თაობა"

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი ამხელს!






*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი* ***სპარტაკ ქობულია*** *განგაშის ზარებს არისხებს „ასავალ-დასავალის“ 24-ე ნომერში დაბეჭდილი ინტერვიუს კვალდაკვალ, რომელშიც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ* ***გიორგი მამაცაშვილმა*** *სამზეოზე გამოიტანა პროფესიულ გაერთიანებაში ამოქმედებული თაღლითური გეგმა.*

***გთავაზობთ ამონარიდებს „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2023 წლის 1 ივნისს დაბეჭდილი წერილიდან, როგორც ახალ გარემოებას აუქციონზე გასაყიდად გატანილი ჟურნალისტთა კავშირის კუთვნილი შენობის დასაკუთრების აღსაკვეთად.***

## სპარტაკ ქობულია:



— დავწვი თქვენი სამართალი! —

### გეკუთვნით, მაგრამ... არ გეკუთვნით!!!

**საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს!**

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ასათიანს!**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ საკუთარ მრავალრიცხოვან მკითხველთან და ყველასგან გამორჩეულ გონიერ ავტორებთან ერთად მხარს უჭერს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ახალ გამგეობას და კავშირის ახალ თავმჯდომარეს – სიმართლისთვის, ზნეობისთვის, ჟურნალისტური ეთიკის დამკვიდრებისთვის გამორჩეულ მებრძოლს, გამომცემლობა „სამშობლოს“ გამოხსნისთვის, სააკაშვილის მტაცებლურ რეჟიმთან პირადი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ლამის შემწირველ (გამომცემლობის წინ ორკვირიანი შიმშილობის შემდეგ ის ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს), შესანიშნავ რედაქტორს და პუბლიცისტს, „რეპორტიორის“ გენერალურ დირექტორს, სამი შვილის მამას გიორგი მამაცაშვილს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისის გადარჩენისთვის გამართულ დაუნდობელ ომში!

ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისის (600 კვ.მ) აუქციონზე გაყიდვას ითხოვს აღსრულების ეროვნული ბიურო ამ კავშირის ყოფილი თანათავმჯდომარის, ადვოკატ-ჟურნალისტის გიორგი ჟორჟოლიანის გაყალბებული, მაგრამ საკუთარი თავისთვის კარგად „მოვარგებული“ დოკუმენტებისა და სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს უცნაური, ერთდროულად სასაცილო და სატირალი გადაწყვეტილების (**ბატონ ჰამლეტ გეგიას ხელმოწერას არც უარვყოფთ და არც ვადასტურებთ!**) გამო!

ჰამლეტ გეგია ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა 2014 წლის მიწურულს, მისმა თანათავმჯდომარემ თუ მოადგილემ გიორგი ჟორჟოლიანმა, რომელიც ფუნქციების და სავარაუდოდ ფინანსების ვერგაყოფის გამო, დანასისხლად იყო გადაკიდებული ჰამლეტ გეგიაზე და ბოლო რამდენიმე წელიწადი სამსახურში საერთოდ არ დადიოდა, გარდაცვლილის დაკრძალვიდან მეორე დღესვე მან გეგიას ოჯახიდან დაითრია ჟურნალისტთა კავშირის ბეჭედი და... გამგეობის რამდენიმე წევრი ოფისში გვიხმო შუალედური დოკუმენტის შესადგენად!

„ჟურნალისტთა კავშირის გადარჩენის“ მიზნით, გამგეობის ათიოდე წევრმა (კვორუმი მაინც არ იყო!), ბუნებრივია, კოლეგას ხელი მოვუწერეთ ბრძანებაზე და დროებით თავმჯდომარის მოვალეობა დავაკისრეთ... მერე აღმოჩნდა, რომ ბრძანებაზე ხელის მომწერთაგან სამი კაცი ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები არ ვყოფილვართ და... არავითარი უფლება არ გვქონდა დოკუმენტზე ხელის მოწერისა!

ყალბად შექმნილი დოკუმენტი ათი დღის შემდეგ კი გავაუქმეთ, მაგრამ... გიორგი ჟორჟოლიანს დარჩა ჰამლეტ გეგიასგან სიკვდილის წინა დღეებში გაცემული „ცნობა“, რომ ჟურნალისტთა კავშირს ბატონი გიორგის ათეული ათასობით ლარი სახელფასო დავალიანება აქვს! იგივე რაოდენობის დავალიანება აქვს კავშირს კიდევ ერთი თანათავმჯდომარის ირაკლი თოდუას მიმართ, რომელიც 5 წლის განმავლობაში არამც თუ ყოველდღიურად სამუშაოდ, არამედ გამგეობის სხდომებ-

გიორგი მამაცაშვილი:

გიორგი ჟორჟოლიანსა და მის ამფსონებს ვპირდები – ჟურნალისტთა კავშირს არ დაგასამარებინებთ!

«არ გაგივათ!»

იხ. 4 გვ.






ეროვნული ბიურო ამ კავშირის ყოფილი თანათავმჯდომარის, **ადვოკატ-ჟურნალისტის გიორგი ჟორჟოლიანის გაყალბებული, მაგრამ საკუთარი თავისთვის კარგად „მოვარგებული“ დოკუმენტებისა** და სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს უცნაური, ერთდროულად სასაცილო და სატირალი გადაწყვეტილების ***(„ბატონ ჰამლეტ გეგიას ხელმოწერას არც უარვყოფთ და არც ვადასტურებთ!“)*** გამო!

**ჰამლეტ გეგია** ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა 2014 წლის მიწურულს, მისმა თანათავმჯდომარემ თუ მოადგილემ **გიორგი ჟორჟოლიანმა**, რომელიც ფუნქციების და, სავარაუდოდ, ფინანსების ვერგაყოფის გამო, დანასისხლად იყო გადაკიდებული **ჰამლეტ გეგიაზე** და ბოლო რამდენიმე წელიწადი სამსახურში საერთოდ არ დადიოდა,

## გარდაცვლილის დაკრძალვიდან მეორე დღესვე მან გეგიას ოჯახიდან დაითრია ჟურნალისტთა კავშირის ბეჭედი და ... გამგეობის რამდენიმე წევრი ოფისში გვიხმო შუალედური დოკუმენტის შესადგენად!

„ჟურნალისტთა კავშირის გადარჩენის“ მიზნით, გამგეობის ათიოდე წევრმა (კვორუმი მაინც არ იყო!), ბუნებრივია, კოლეგას ხელი მოვუწერეთ ბრძანებაზე და დროებით თავმჯდომარის მოვალეობა დავაკისრეთ... **მერე აღმოჩნდა, რომ ბრძანებაზე ხელის მომწერთაგან სამი კაცი ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები არ ვყოფილვართ და... არავითარი უფლება არ გვქონდა დოკუმენტზე ხელის მოწერისა!**

ყალბად შექმნილი დოკუმენტი ათი დღის შემდეგ კი გავაუქმეთ, მაგრამ...

**გიორგი ჟორჟოლიანს დარჩა ჰამლეტ გეგიასგან სიკვდილის წინა დღეებში გაცემული „ცნობა“, რომ ჟურნალისტთა კავშირს ბატონი გიორგის ათეული ათასობით ლარი სახელფასო დავალიანება აქვს!** იგივე რაოდენობის დავალიანება აქვს კავშირს კიდევ ერთი თანათავმჯდომარის მიმართ.

ჰოდა, ცხონებული **ჰამლეტ გეგიას** „ცნობით“, რომლის ნამდვილობა ეროვნულმა ბიურომ თან ცნო, თან უარყო და კიდევ ერთი, ჟორჟოლიანისგან ბოლო ხანს შეგულიანებული ადვოკატი **მონიკა რუხაძე**

## ძალად გაკოტრებული ჟურნალისტთა კავშირისგან ითხოვენ... 150 000 ლარზე მეტს!

**ძვირფასო სამართალდამცველებო, ცალკეული „დაჩაგრული“ ჟურნალისტის მხარეზე რომ ხართ, აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ კონკრეტულად ამ თაღლითური, აშკარად გაყალბებული ფურცლის ამარა დარჩენილ უსაქმურ ჟურნალისტებს ეს თანხა რომ არ ეკუთვნით, ეს ჩვენს უსამართლო სამართალს სირცხვილით არ დაწვავს?!**

იცავთ სამ ადამიანს და აზარალებთ და აუბედურებთ მინიმუმ 3000 ჟურნალისტს!!!

## კვირგვინოსნები

**რეზო თაბუკაშვილი**
*მწერალი, პოეტი, სცენარისტი*



ერთ-ერთი ყველაზე დიდი იდეა ჩემი თაობისათვის იყო **სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლა,** მაგრამ დღევანდელ მწერლებს ბევრად უჭირთ ამის მოპოვება, ვიდრე ჩვენს ახალგაზრდობაში. იცით, რატომ? **ჩვენ სიყალბეს არ ვწერდით.** თუკი რამე ტკივილიანს შევეხებოდით, ეს მაშინ სიმამაცედ ითვლებოდა. დღეს ყველა კარიბჭე გახსნილია. **რაც გინდა, ილაპარაკე, დაწერე, ტელეარხები შენს განკარგულებაშია... და რა მივიღეთ შანტაჟის, წყევლის, სიძულვილის, ცილისწამების მეტი?!** მილიონი ადამიანის სიყვარულით გამყარებულ **პატრიარქის ავტორიტეტსაც კი შეეხნენ.** ეს არის თავისუფლება? ეს მცირე სიმართლეში შეფუთული დიდი ტყუილია.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ხალხს აღარც **დამნაშავე ნაცების** მობრუნება უნდა და არც **უხერხემლო „ქოცები“.**

„ახალი თაობა“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მეგობარი ქვეყნების ელჩები ხშირად **იმპერატიული ტონით გვკარნახობენ,** როგორ მოვიქცეთ.

„პირველი არხი“

# სააკაშვილმა ფანჯრიდან ზელენსკი გადმოყო!



***ნაციონალური მოძრაობის წევრებმა და მხარდამჭერებმა ამა წლის 3 ივნისს კლინიკა „ვივამედთან" აქცია გამართეს და თავიანთი ბელადის — მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება კიდევ ერთხელ მოითხოვეს.***

**იმიტომ, რომ** სააკაშვილს ბადრაგების დანახვა არ სიამოვნებს!

**იმიტომ, რომ** სააკაშვილს რკინის გისოსები დეპრესიასა და სტრესში აგდებს!

**იმიტომ, რომ** სააკაშვილი განგებ არ ჭამს კალორიულ საჭმელს და არ იღებს სათანადო მედიკამენტებს, რათა ფერ-ხორცი არ მოიდოს და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნება არ მოუწიოს!

**პატიმარი სააკაშვილი კლინიკა „ვივამედში" 2022 წლის 12 მაისს გადაიყვანეს და ამ ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლება, ექიმები და საზოგადოება, ასე თუ ისე, იტანდნენ მის პროვოკაციულ ჭინჭყლობას, ავყიობას, უზნეო გამოხტომებს, სამარცხვინო სიმულანტობასა და საწოლიდან გადმოვარდნისა თუ გულის წასვლის სცენების უნიჭოდ გათამაშებას, მაგრამ მსჯავრდებული ნაცბელადის „ვივამედში" დატოვება აწ უკვე კლინიკის ნამდვილ პაციენტთა სიმშვიდეს ემუქრება.** აბა, წარმოვიდგინოთ, რა დღეში იქნებიან „ვივამედის" პალატებსა თუ რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებული ავადმყოფები, რომლებსაც კლინიკასთან შეკრებილ ნაცსექტანტთა ყურთასმენის წამღები შეძახილები ესმით: **„თავისუფლება მიშას!" „გამოუშვით ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი მამა!" „სააკაშვილი პუტინის პატიმარია!" „ნუ გვიკლავთ მესამე პრეზიდენტს!"** და სხვა ამისთანანი...




გასაგებია, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული, მაგრამ **სამედიცინო სერვისის უშფოთველ და უსტრესო გარემოში მიღებაც ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა,** რომელსაც ნაცსექტანტები უხეშად არღვევენ, როცა „ვივამედთან" აქციას მართავენ და ბელადის მხარდასაჭერ ლოზუნგებს გაჰყვირიან.

იმის გათვალისწინებით, რომ ნაციონალურ მოძრაობას სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ხალხმრავალი აქციების ჩატარების რესურსი არა აქვს, რამდენიმე ათეული ან თუნდაც ასეული ადამიანის რუსთაველის გამზირზე გამოყვანით კი თავს სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდებს, **მიშარასტებს ისღა დარჩენიათ, ქალაქის გასასვლელში მდებარე კლინიკასთან მოიყარონ თავი და იქ მოითხოვონ ბელადის თავისუფლება. შესაბამისად, „ვივამედის" პაციენტებს კოლექტიური ხაბეიშვილის ჯღავილი აწი უფრო ხშირად დაურღვევს სიმშვიდეს და უფრო მეტად შეაწუხებს.**

## სააკაშვილის „ვივამედში" ყოფნა საფრთხეს უქმნის და ხელს უშლის კლინიკის ნამდვილ პაციენტთა გამოჯანმრთელების პროცესს!

მიუხედავად იმისა, რომ კლინიკასთან შეკრებილ მიშმადიდებელთა რაოდენობა სულ რამდენიმე ათეულს შეადგენდა, **მათმა ხმაურმა, ღრიანცელმა და შეძახილებმა მიდამო მაინც გააყრუა და დისკომფორტი შეუქმნა „ვივამედის" პაციენტებს, რომლებსაც, სააკაშვილისაგან განსხვავებით, მართლა ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებთ, მართლა მკურნალობენ და პალატასა თუ რეანიმაციაშიც იმიტომ წვანან, რომ ეს მათი სიცოცხლის გადასარჩენად არის აუცილებელი!**

და რატომ წევს კლინიკა „ვივამედში" **პატიმარი სააკაშვილი?**

**რატომ ხარჯავს ქართული სახელმწიფო პატიმარ სააკაშვილის ლუქს-პალატაში კოტრიალისათვის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს?**

**რატომ აქვს მისჯილი „ვივამედის" მედპერსონალს,** რომ პატიმარ სააკაშვილისაგან წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იტანდეს შეურაცხყოფას, დამცირებას, ფსიქოლოგიურ ტერორს, წიხლების ქნევასა და საგნების სროლას?

**იმიტომ, რომ** სააკაშვილს ციხის საკანში არ უნდა ჯდომა!




მიხეილ სააკაშვილი კლინიკა «ვივამედის» ლუქს-პალატაში

# დააბრუნეთ სააკაშვილი

## კვირგვინოსნები



**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის" ლიდერი*

მმართველ ელიტას ჩვენ, საქართველოს რიგითი მოქალაქეები, ვგონივართ იდიოტები ან ამნეზიით შეპყრობილნი. მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ დაგვავიწყდა, თუ საიდან მოდიან **მდინარაძე, კობახიძე, თალაკვაძე** და არამარტო ისინი, დღევანდელი ხელისუფლების კიდევ ბევრი წარმომადგენელი?! **ისინი იყვნენ სოროსელები და ბევრ ეროვნულ იდეას ებრძოდნენ წლების მანძილზე.** იყვნენ უცხოელებზე მიწის გაყიდვის მომხრეები. ესენი არიან ის ადამიანები, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, **ლევან ბერძენიშვილი** გახადეს პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე. **იმ ლევან ბერძენიშვილს ჩააბარეს პარლამენტში განათლების სფერო, რომელსაც ჭირის დღესავით სძულს ყველაფერი ქართული... თინა ხიდაშელი** თავდაცვის მინისტრად დანიშნეს და **დავით უსუფაშვილი** — პარლამენტის თავმჯდომარედ. „სოროსელები" — **თამარ ჩუგოშვილი** ვიცე-სპიკერი გახადეს და **ნინო ლომჯარია** — სახალხო დამცველი... **ეს ხალხი საუბრობს ეკლესიურობასა და მართლმადიდებლობის დაცვაზე?** როდესაც მთავრობაში ვიყავი და მიწევდა ბრძოლა ეკლესიის, პატრიარქის, ტრადიციული ღირებულებების დასაცავად, „ქართულ ოცნებასთან" შემავალ სუბიექტებთან, **ღარიბაშვილი** მუდამ ჩემი მხარდამჭერი იყო.

„ალია"



**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*

**ირაკლი ღარიბაშვილის** მიმართვა ევროპას კიდევ ერთხელ ახსენებს იმ **ინსინუაციურ კამპანიას,** როდესაც გეოპოლიტიკური კატასტროფის დროს **საქართველოს მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვით შემოიფარგლება და საქმით საპირისპიროს მეტყველებს.**

„იმედინიუსი"



**გიორგი თავდგირიძე**
*თავდაცვის ექსპერტი*

საქართველოს დღეს **მშვიდობის მყარი გარანტიები არ გააჩნია,** ამიტომ უნდა ვისარგებლოთ პოტენციური აგრესორის მოუცლელობით და **დავიწყოთ მოლაპარაკება სტრატეგიულ პარტნიორებთან საქართველოში ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფის პირობებზე.**

„ალია"

# დაუბრუნეთ „ვივამედის“ ექიმებს – მშვიდად მუშაობის, ხოლო „ვივამედის“ ნამდვილ პაციენტებს მშვიდად მკურნალობის საშუალება!




არსებობს იმის საშიშროებაც, რომ „ვივამედთან“ შეკრებილი ნაცსექტანტების ხმაურით გულშეწუხებული პაციენტების პატრონებმა კოლექტიურ ხაბეიშვილებს თავ-პირი დაალეწონ ან, უკეთეს შემთხვევაში, ლაყე კვერცხები და ნეხვით სავსე ცელოფნის პარკები დაუშინონ, რაც ნაცტელეკანალიზაციების მიერ აუცილებლად გაშუქდება, როგორც „ხელისუფლების დაქირავებული ზონდერების თავდასხმა მშვიდობიანი აქციის მონაწილეებზე“.

მოკლედ რომ მოვჭრათ, **საკუთარი ჯანმრთელობის ხელოვნურად დამაზიანებელი და სიმულანტი სააკაშვილის „ვივამედში“ ყოფნა საფრთხეს უქმნის და ხელს უშლის კლინიკის ნამდვილ პაციენტთა გამოჯანმრთელების პროცესს!**

სწორედ ამიტომ და კიდევ ბევრი სხვა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, **დროა, ხელისუფლებამ პატიმარი სააკაშვილი კლინიკა „ვივამედიდან“ რუსთავის ციხეში დააბრუნოს!**

აკი, „ვივამედის“ ადმინისტრაცია ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ აცხადებდა — **ჩვენს კლინიკაში სააკაშვილის გაჩერებას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან იგი ექიმების რეკომენდაციებს არ ემორჩილება და სათანადო მკურნალობაზე უარს აცხადებსო!**

**არსებობს იმის საშიშროებაც, რომ „ვივამედთან“ შეკრებილი ნაცსექტანტების ხმაურით გულშეწუხებული პაციენტების პატრონებმა კოლექტიურ ხაბეიშვილებს თავ-პირი დაალეწონ ან, უკეთეს შემთხვევაში, ლაყე კვერცხები და ნეხვით სავსე ცელოფნის პარკები დაუშინონ!**




მიხეილ სააკაშვილი რუსთავის ციხის საკანში

## ციხეში!

ამას დავუმატოთ **სტრასბურგის სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებაც,** რომელშიც ნათქვამია, რომ **სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანის საჭიროება არ არსებობს!**

დასტურ, სააკაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობის საჭიროება არ არსებობს, რადგან მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, **მაგრამ არსებობს სააკაშვილის ციხეში დაბრუნების აუცილებლობა, რადგან მისი „ვივამედში“ დატოვება სხვა პაციენტების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს!**

ასე რომ, დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში და დაუბრუნეთ „ვივამედის“ ექიმებს — მშვიდად მუშაობის, ხოლო „ვივამედის“ ნამდვილ პაციენტებს მშვიდად მკურნალობის საშუალება!

### ბოლოთქმა

როცა მიშმადიდებლები „ვივამედთან“ აქციას მართავდნენ და კლინიკის ნამდვილ პაციენტებს სიმშვიდეს უფრთხობდნენ, **მათმა ბელადმა თავისი ლუქს-პალატის ფანჯრიდან ხელი გადმოყო და საკუთარ სექტას თაბახის ფურცელი დაანახვა უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის გამოსახულებით.**

ზუსტად ვერ გეტყვით, რისი თქმა უნდოდა სააკაშვილს პალატის ფანჯრიდან **ზელენსკის** გადმოყოფით... შესაძლოა, ამ ჟესტით კმაყოფილება და აღფრთოვანება გამოხატა იმის გამო, რომ უკრაინის პრეზიდენტმა მოლდოვაში გამართულ სამიტზე კიდევ ერთხელ შეურაცხყო ქართული სახელმწიფო და ქართველი ხალხი, როცა რუსეთის მოკავშირე ბელარუსი და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველო ერთ კონტექსტში მოიხსენია, როგორც „უკანონობაში ჩათრეული“ ქვეყნები. **სააკაშვილისათვის ხომ მოკავშირე, ძმა და მეგობარია ყველა, ვინც საქართველოს მტრობს? იქნებ სხვა რამის თქმაც უნდოდა სააკაშვილს ფანჯრიდან ზელენსკის გადმოყოფით, მაგრამ ეს სულაც არ არის მთავარი და მნიშვნელოვანი!**

თავად ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა ფანჯრიდან **ზელენსკი გადმოყო,** უკვე ბევრი რამის მთქმელია!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი მოგაევე**
*პოლიტოლოგი*



ჩვენ გვაქვს უამრავი შესაძლებლობა **უკეთესი ცხოვრებისთვის,** მაგრამ ხელი გვეშლება იმის გამო, რომ დავეთანხმეთ დასავლეთის იმ ნარატივში, რასაც ე.წ. **„ვაშინგტონის კონსენსუსი“** ჰქვია და რაც, ფაქტობრივად, **ქვეყნის ნულოვან ან მინიმალურ განვითარებას ითვალისწინებს.** ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც უარს იტყვის ამ კონსენსუსზე, გახდება დასავლეთის სამიზნე და **ფერადი რევოლუციების მეშვეობით შეეცდებიან მის დამხობას,** რასაც უკვე ცდილობენ კიდევაც, **რადგან ამ ხელისუფლებამ უარი თქვა ომში ჩართვაზე.**

„საერთო გაზეთი“

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**ფრენების აღდგენა** ისევე, როგორც შეჩერება, არის ცალმხრივი გადაწყვეტილება. **ჩვენ არც დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან და ქვეყნის დიდი ნაწილი ოკუპირებულია,** განსხვავებით ევროპული ქვეყნებისგან, რომლებსაც **დიპლომატიური ურთიერთობაც გააჩნიათ და მასშტაბურ სავაჭრო ურთიერთობებსაც ინარჩუნებენ.**

„რეზონანსი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ანწუხელიძეც** და სხვა დაღუპულებიც **სააკაშვილის** სისხლიანი პოლიტიკური და სამხედრო ავანტიურის მსხვერპლნი არიან. დიახ, ეს ადამიანები არ დაიღუპებოდნენ, **სააკაშვილს — პუტინის სასარგებლო იდიოტს და გოშიას,** საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა რომ არ განეხორციელებინა.

„საერთო გაზეთი“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ნაცმოძრაობა ისედაც **დაშლის პირასაა** და არ არის გამორიცხული, რომ, თუ პოლიტიკური ჯგუფები შეიქმნა, **პარტიის დაშლას მოჰყვეს ფრაქციის დაშლაც.**

„იმედინიუსი“

*ნუ გაგიკვირდებათ, თუ ზოგიერთი ვაიევროპელისათვის ადამიანის ცოცხლად დაწვა, დიახ ბატონო, ცოცხალი ადამიანის ცოცხლად დაწვა მაინცდამაინც დიდ დანაშაულს არ წარმოადგენს! უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში, მისთვის შესაძლოა ეს დასაშვები, ან აუცილებელი გარემოებაც კი იყოს! და აი, რატომ:*



**აქციაზე პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლისა და ავტომობილების დაწვის ბრალდებით დაკავებული ლაზარე გრიგორიადისი, რომლის გათავისუფლებასაც ნაცები, ლიბერალები და ევროპარლამენტარები ითხოვენ!**



**ჯონდი ბაღათურია**

# ზოგიერთი ვაიევროპელისათვის ადამიანის ცოცხლად დაწვა დიდ დანაშაულს არ წარმოადგენს!

**ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა, რათა ლაზარე გრიგორიადისის მახარდამჭერ აქციაში მიეღო მონაწილეობა!**



**1.** ევროპაში, **დიახ ბატონო, ევროპაში და არსად სხვაგან კაცობრიობის ისტორიაში,** რამდენიმე საუკუნე ენთო ინკვიზიციის კოცონი და ღმერთის სახელით ცეცხლზე წვავდნენ ადამიანებს!

**2.** ევროპაში, **დიახ ევროპაში და არსად სხვაგან კაცობრიობის ისტორიაში,** რამდენიმე საუკუნე იკრიბებოდა „ჯვაროსანთა“ მძარცველური „ლაშქარი“ და ღმერთის სახელით ხოცავდა მუსლიმ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, ხოცავდა და ძარცვავდა მართლმადიდებლებს მუსლიმებთან ერთად!

**3.** შუაგულ ევროპაში, **დიახ ევროპაში და არსად სხვაგან კაცობრიობის ისტორიაში,** განსხვავებული რელიგიის, თავისივე მოქალაქეებს, ევროპელებს, ოღონდ ცოტა „სხვანაირებს“, მოუწყვეს **„ბართლომეს ღამე“,** დანიშნეს ჰუგენოტების სახლები და ერთ ღამეს დახოცეს ასობით ათასი პროტესტანტი — ბავშვები, ქალები, მოხუცები!

**4.** ევროპაში, **აგერ, მე-20 საუკუნეში,** ღუმლებში წვავდნენ ადამიანებს, გაზის კამერებში ახრჩობდნენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, ქუჩებში ხოცავდნენ ხალხს, მხოლოდ იმიტომ რომ ებრაელი იყო!

**5.** შუაგულ ევროპაში, 21-ე საუკუნეში, **ევროპელები ბომბავდნენ ევროპელებს, ოღონდ „ოდნავ სხვანაირებს“, მართლმადიდებლებს; ბომბავდნენ სერბულ ქალაქებს, სკოლებს, ტელევიზიებს; ახლო აღმოსავლეთში ბომბავდნენ მუსლიმთა ქალაქებს, ქორწილებს, გასვენებებს და ხოცავდნენ უდანაშაულო ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს!**

და ყველაფერს ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ ეს ხალხი ისეთები არ იყვნენ, ისე არ ფიქრობდნენ და ისე არ ცხოვრობდნენ, როგორებიც თვითონ არიან, რაღაც „სხვანაირები“ იყვნენ!

ჩვენც **„სხვანაირები“ ვართ, არ ვართ ისეთები, როგორებიც ეს „ჯვაროსანი“, „ინკვიზიტორი“, „ბართლომეს ღამის“ და „გაზის კამერების“ მომწყობი „არიელები“ არიან. ამისაგან ღმერთმა დაგვიფაროს!**

აღარ გავაგრძელებ და აგერ დღეს, 21-ე საუკუნეში, ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონი** აქციაზე მივიდა იმ არსების მხარდასაჭერად, **რომელმაც ცოცხალ ადამიანს ცეცხლი წაუკიდა. დიახ, მან ბენზინი და ზეთი ერთმანეთში აურია** (ხანგრძლივად რომ იწვოდეს), **ბოთლში ჩაასხა, ფითილი გაუკეთა, ფითილს ცეცხლი მოუკიდა და ადამიანს ესროლა, რათა ცოცხლად დაეწვა.**

აი, ამის ჩამდენის დასაცავად თქვა ევროპარლამენტარმა **კრამონმა** — შეიძლება, სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი აქვს, მაგრამ სამარცხვინოა მისი დაკავებაო!

იმწუთშივე რომელიმე „ინკვიზიტორი კარდინალი“, „ჯვაროსანი“ ან „რაინდი“ გამახსენდა, საუკუნეების განმავლობაში ცეცხლზე რომ წვავდნენ ადამიანებს „ევროპული“, „რელიგიური ღირებულებების“ გზიდან გადახვევისთვის!





**ლაზარე გრიგორიადისის მამას – ბექა გრიგორიადისს შვილის გათავისუფლების მოთხოვნით პარლამენტთან კარავი აქვს გაშლილი!**

## კვირგვინოსნები



**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი, პარლამენტარი*

„ქართული ოცნება“ ვერ პასუხობს **მთავარ კითხვას:** რას ეფუძნება საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია — **რუსეთთან კუდის ქიცინს თუ ნატოსა და ევროკავშირს?**

„ახალი თაობა“



**დავით ქიქინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნის“ ლიდერი*

ჩვენ, ის ხალხი, ვისაც **ყელში გვაქვს ნაცმოძრაობაც,** „ქართული ოცნებაც“, ვისაც არცერთი არ გვინდა, ცალკე გადავწყვეტთ, როგორ მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა.

„ალია“



**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**რევოლუცია იქნება თუ რაც იქნება, მიიღებთ, აბა, რას იზამთ!**

„ახალი თაობა“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*

სად არის ოპოზიცია ან **ვის აბრალებენ თავიანთ წარუმატებლობას?** მხოლოდ პარლამენტის ტრიბუნიდან და ტელეეთერებიდან გვმოძღვრავენ.

„ახალი თაობა“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*

სისულელეა, რომ **ევროკავშირის სანაცვლოდ** პუტინი ვითომ მზად არის, **აფხაზეთი და სამაჩაბლო** დააბრუნოს.

„ახალი თაობა“



**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროკავშირთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*

ოპოზიციის დიდი ნაწილისთვის **კანდიდატის სტატუსი ინსტრუმენტია,** რომლის გამოყენებაც საკუთარი **დესტრუქციული გეგმების განსახორციელებლად სურთ.**

„პირველი არხი“

*გასულ კვირას მოლდოვაში გამართულ ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე უკრაინის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ შეურაცხყო საქართველო, როცა კრემლის მოკავშირე ბელარუსთან საერთო კონტექსტში მოიხსენია. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ექსპერტ* ***მაია ნიკოლეიშვილს*** *ვესაუბრებით:*



# „წმინდა წყლის ფაშისტური გამოვლინება იყო სალომე ზურაბიშვილის განცხადება, როცა მან რუსეთში მცხოვრები ქართველების ნაწილს „ნახევრად რუსები“ უწოდა!“



## *მაია ნიკოლეიშვილი:*

# ზელენსკი საკუთარი ქვეყნისა და საქართველოს მტერია!!!

— ზელენსკის პოლიტიკოსად ნამდვილად ვერ მივიჩნევ, რადგან იგი აბსოლუტური მარიონეტია იმ ძალების ხელში, რომლებსაც უკრაინელი ერი განადგურებისაკენ მიჰყავთ. ამასთან, **უკრაინის პრეზიდენტი არაჯანსაღი ფსიქიკის ადამიანია, რაც გარკვეული ნივთიერებების ზემოქმედებით არის გამოწვეული და მას ეს გარეგნობაზეც ეტყობა.**

**— ნარკოტიკების ზემოქმედებას გულისხმობთ?**

— ყველამ ყველაფერი ისედაც კარგად იცის... ზელენსკი საქართველოს მტრულ ქვეყნად აღიქვამს, რადგან ჩვენ არ ჩავჯექით ანგლოსაქსური სამყაროს ფორმულაში, რომელიც გულისხმობს, რომ ყველაფერი, რაც ამერიკულია, კარგია, ხოლო, რაც ამერიკულს არ შეესაბამება, ყველაფერი რუსულია! **მოკლედ, ზელენსკი საკუთარი ქვეყნისა და საქართველოს მტერია!**

**— თუ ზელენსკის კოლექტიური დასავლეთის მარიონეტად განვიხილავთ, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ საქართველოსა და ბელარუსის ერთ კონტექსტში მოხსენიებით უკრაინის პრეზიდენტი საკუთარი პატრონების პოზიციას ახმიანებს?**

— პირდაპირ ვთქვათ:

## ომში ჩვენი ჩათრევა და საქართველოს სასაკლაოდ გადაქცევა ბაიდენის ადმინისტრაციის დაკვეთაა!

**კელი დეგნანი,** რომელსაც ელჩის აღარაფერი შერჩა და რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ გადაიქცა, ხშირად აცხადებს, რომ უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ერთი ჯაჭვია და ეს ტრიო არ უნდა დაიშალოს. რა იგულისხმება ამაში? **უკრაინა უკვე გადააქციეს ომის პოლიგონად, მოლდოვა მთლიანად დააჩოქეს და როცა მოუნდებათ, მაშინ ჩართავენ ომში... ერთადერთი საქართველოა, რომელსაც რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში შესვლა ვერაფრით აიძულეს და ამის გამო არიან დაბოღმილები.**

ნამდვილად შექებას იმსახურებს საქართველოს ხელისუფლება და, უპირველეს ყოვლისა, პრემიერ-მინისტრი, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს საქართველოს ომში ჩათრევის მოსურნე ძალებს. ბრატისლავაში გამართულ გლობალური უსაფრთხოების სამიტზე **ირაკლი ღარიბაშვილმა** ძალიან სწორად თქვა: **ჩემი პატარა ქვეყანა არც ევროკავშირის წევრია და არც — ნატოსი, ამიტომაც დღევანდელ ტურბულენტურ გარემოში ნავიგაციას ვცდილობთ, რათა გადავრჩეთ!**

**— ბრატისლავაში გამართულ სამიტზე ღარიბაშვილმა ისიც განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრა უკრაინის ნატოსაკენ სწრაფვამ გამოიწვია... ამის კვალდაკვალ ევროპარლამენტარმა რასა იუკნევიჩიენემ ისიც კი დაწერა — ღარიბაშვილის პირით მოსკოვი ლაპარაკობსო!**

— სანამ ირაკლი ღარიბაშვილი იტყოდა, რომ უკრაინაში ომი ნატოს გაფართოების მცდელობამ გამოიწვია, ერთი წლით ადრე იგივე განაცხადა რომის პაპმა — **რუსეთის კართან ნატოს ყეფამ კრემლის მმართველს უკრაინაში შეჭრისაკენ უბიძგაო!** ეს აბსოლუტურად მართალია — **უკრაინა დღევანდელ კატასტროფამდე სწორედ ნატოსაკენ სწრაფვამ მიიყვანა, ახლა კი ომის პოლიგონად გადაქცეულ ქვეყანას ცინიკურად ეუბნებიან, რომ ნატოში მხოლოდ მას შემდეგ მიიღებენ, როცა რუსეთს დაამარცხებს!**

ისე, ვფიქრობ, რომ ბრატისლავაში ღარიბაშვილის მიერ გაკეთებული განცხადების გამო ამხელა აჟიოტაჟისა და ისტერიკის ატეხა ნაცებსა და ლიბერალებს იმ იმედგაცრუების გადასაფარად დასჭირდათ, რომელიც სალომე ზურაბიშვილის ბრიუსელში ვიზიტით იწვნიეს.

**— კერძოდ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— ჩემი აზრით, ე.წ. ნაცოპოზიციას დიდი მოლოდინი ჰქონდა, რომ ბრიუსელში წასული და ევროპარლამენტში სიტყვით გამოსული პრეზიდენტი ზურაბიშვილი მაღალი ევროპული ტრიბუნიდან კიდევ უფრო მკაფიოდ გაიმეორებდა იმას, რაც 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა — საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ მიდის, დასავლურ კურსზე უარს ამბობს და ქვეყანას რუსეთისაკენ მიაქანებსო! თუმცა, სალომე ზურაბიშვილმა ეს არ გააკეთა, პირიქით, ტონი შეარბილა და საქართველოს ხელისუფლება დაიცვა კიდეც, რამაც ნაცებისა და ლიბერალების სასოწარკვეთილი ისტერიკა გამოიწვია.

**— თქვენი აზრით, რამ აიძულა სალომე ზურაბიშვილი, ნაცოპოზიციის მოლოდინის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო?**

— შესაძლოა, ბრიუსელში სამუშაო ვიზიტით ჩასულმა ზურაბიშვილმა დაინახა, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან მიმართებაში ევროპის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა დამოკიდებულება სულაც არ არის ისეთი რადიკალური, როგორიც კუბილიუსებს, ფოტიგებს, იუკნევიჩიენეებსა და სხვა მყვირალა ბალტიისპირელ ევროპარლამენტარებს გააჩნიათ.

მოკლედ, ნაცებისა და ლიბერალების მოლოდინებს კიდევ ერთხელ გადაესხა ცივი წყალი და კიდევ უფრო სასაცილო გახდა იმაზე საუბარი, რომ ეს გაუბედურებული, გაპუწული ოპოზიცია შემოდგომაზე ე.წ. მაიდანს მოაწყობს!

**— ნაცები და ლიბერალები ძლიერ შფოთავენ იმის გამოც, რომ რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა და პირდაპირი ფრენები აღადგინა... როგორ ფიქრობთ, რეალურად, რა იწვევს მათ შეშფოთებას და მართლა არსებობს თუ არა საქართველოს „გარუსების“ საფრთხე, როგორც ამას რადიკალური ოპოზიცია აცხადებს?**

— რუსეთის მიერ საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აღდგენა და სავიზო რეჟიმის გაუქმება, უპირველეს ყოვლისა, დიდი შეღავათი და პოზიტივია რუსეთში მცხოვრები ქართველებისათვის, რომლებსაც სამშობლოსთან უფრო აქტიური და მჭიდრო კავშირის შესაძლებლობა მიეცემათ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ წმინდა წყლის ფაშისტური გამოვლინება იყო სალომე ზურაბიშვილის განცხადება, როცა მან რუსეთში მცხოვრები ქართველების ნაწილს „ნახევრად რუსები“ უწოდა. **პირდაპირ ვაცხადებ, რომ რუსეთში დიდი ხნის განმავლობაში მცხოვრები ქართველები „ნახევრად რუსები“ კი არა, ჩვენზე უკეთესი ქართველებიც კი არიან, რადგან შენარჩუნებული აქვთ ის თვისებები, რომლებიც ჩვენ, საუბედუროდ, დავკარგეთ. ისინი შვილებს ქართველებად ზრდიან, ქართულ საკვირაო სკოლებში ატარებენ, ქართულ ცეკვასა და ხალხურ სიმღერას ასწავლიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ თავიანთ შთამომავლებში ქართული სული აღაზევონ!**

და კიდევ: რუსეთში რამდენი წარმატებული ქართველიც მოღვაწეობს ბიზნესში, მეცნიერებაში, მედიცინასა თუ კულტურაში, იმის მეათასედიც არ გვყავს დასავლეთში. რუსეთში სამუშაოდ წასული დაბალკვალიფიციური ქართველი მუშახელიც კი გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე ამერიკასა თუ ევროპის ქვეყნებში გადახვეწილი ჩვენი ქალბატონები, რომლებსაც მონური შრომა უწევთ ოჯახების გამოსაკვებად. მოკლედ, რუსეთში ძალიან ძლიერი დიასპორა გვყავს, რომელსაც შეუძლია, საქართველოს სერიოზული ლობი გახდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საშუალებას არ ვიყენებთ!

**— გკითხეთ, ნაცებსა და ლიბერალებს რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენა და უვიზო მიმოსვლა ასე ძალიან რატომ არ მოსწონთ-მეთქი?**

— პირდაპირ ვთქვათ, რომ ე.წ. ნაცოპოზიციის სახით საქმე გვაქვს დასავლეთის მიერ დაქირავებულ ზელენსკის პოლიტიკურ ტყუპისცალებთან, რომლებიც უცხო ქვეყნების დაკვეთებს ასრულებენ და მხოლოდ თავიანთი ჯიბე აინტერესებთ! მათ ეშინიათ, რომ საქართველოში ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგო პროცესები არ განვითარდეს — არ დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებები აფხაზებთან და ოსებთან და არ აღდგეს აფხაზეთის რკინიგზა, რაც არამხოლოდ საქართველოსა და რუსეთის, არამედ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ჩინეთისა და ევროპის ინტერესებშიც შედის. მოკლედ, ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები — **ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში სტრატეგიულ მოთმინებას ვიჩენთო,** საქართველოს გადარჩენის ფორმულაა, ხოლო, რასაც ოპოზიციად წოდებული „მეხუთე კოლონა“ გვთავაზობს, ეს არის საქართველოს დაღუპვისა და განადგურების გზა!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი

# „უკრაინა დღევანდელ კატასტროფამდე სწორედ ნატოსაკენ სწრაფვამ მიიყვანა!“



## „კელი დეგნანი რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ გადაიქცა!“

*ევროკავშირის ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან ერთად, ამა წლის 29 მაისს დიპლომატიური დემარშით მიადგა საქართველოს ეკონომიკის მინისტრსა და ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილს. ევროპელი დიპლომატების პროტესტი და უკმაყოფილება რუსეთის მიერ საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აღდგენას უკავშირდებოდა. ყოფილ სახელმწიფო მინისტრთან, კინორეჟისორ* **გოგა ხაინდრავასთან** *საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ:*



**„დღეს ამერიკასა და ევროკავშირს უფრო სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს სჭირდება ამერიკა და ევროკავშირი!“**

**გოგა ხაინდრავა:**

# არავინ მითხრას, რომ უკრაინას ომში რაიმე წარმატება აქვს!

— ე. წ. **დიპლომატიური დემარში,** რომელიც ევროკავშირის ელჩმა, თავის 27 კოლეგასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების მიმართ უკვე მეორედ განახორციელა, თავიდან ბოლომდე სიცრუესა და ცილისწამებაზეა აგებული. **ბატონ ჰერჩინსკის პოლიტიკური სახე რომ დაკარგული აქვს, სრულიად აშკარაა, მაგრამ ვურჩევ, ღირსებასაც ნუ დაკარგავს!**

ჯერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიც არ მოუციათ და უკვე ასეთი ტონით გველაპარაკებიან ეს სამარცხვინოები, რომლებიც სააკაშვილსა და გვარამიას პოლიტპატიმრებად მიიჩნევენ, ხოლო კეზერაშვილს — დევნილ მედიამენეჯერად!

**— მაინც რატომ იწვევს აშშ-ისა და დასავლეთის ასეთ აღშფოთებას რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენა და სავიზო რეჟიმის გაუქმება?**

— იმიტომ, რომ ეს მათ ინტერესებში არ შედის! პუტინმაც სწორედ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე აღადგინა პირდაპირი ფრენები და გააუქმა სავიზო რეჟიმი. მან ძალიან კარგად იცოდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამას **კელი დეგნანის** მსგავსი უგუნური პოლიტიკოსების მხრიდან და აყლაპა კიდეც მათ ეს ანკესი.

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამერიკაც და რუსეთიც, რომლებსაც ერთმანეთის განადგურება სურთ, საქართველოს უყურებენ, როგორც ერთ-ერთ საშუალებას თავიანთი მიზნების მისაღწევად. მადლობა ღმერთს, ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად, საქართველოს ხელისუფლება მზად აღმოჩნდა, ქართველი ხალხის ნება აღასრულოს და ჩვენი სუვერენიტეტი სხვა ქვეყნების ინტერესებსა და მათგან წამოსულ დაკვეთებზე მაღლა დააყენოს!

**— როგორ ფიქრობთ, აშშ და დასავლეთი პოლიტიკური ზეწოლითა და სანქციების მუქარით მიაღწევენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან პირდაპირი ფრენები აკრძალინონ?**

— ნურავინ ნუ ელოდება, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ხალხის დამაზიანებელ გადაწყვეტილებებს მიიღებს. **ჩვენ არც ევროკავშირის წევრი ვართ, არც — ნატოსი და მათ წინაშე არავითარი ვალდებულება არ გაგვაჩნია.** ისიც კარგად გვახსოვს, როგორი მხარდაჭერა გამოგვიცხადეს ამერიკამ და დასავლეთმა 2008 წლის ომის დროს — ბევრი ცივი წყალი გამოგვიგზავნეს თვითმფრინავით, რუსეთისთვის კი არავითარი სანქცია არ დაუწესებიათ. ის კი არა, 2008 წლის 8 აგვისტოს ბუში და პუტინი ხელგადახვეულები ისხდნენ პეკინის ოლიმპიადის გახსნაზე.

საერთოდ, რაზეა საუბარი, როცა ევროკავშირის ქვეყნები თავად იყენებენ რუსეთის საჰაერო სივრცეს, რომლის გავლითაც დღეში 100 რეისი დაფრინავს ჩინეთისკენ, იაპონიისკენ და ბევრი სხვა მიმართულებით, რისთვისაც რუსეთს ფულს უხდიან. აღარაფერს ვამბობ გაცხოველებულ ვაჭრობაზე, რომელიც ევროკავშირს რუსეთთან დღემდე არ შეუწყვეტია და უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, მხოლოდ ერთ წელიწადში, 300 მილიარდი დოლარი შეიტანა რუსეთის ბიუჯეტში.

**— ზელენსკიმ გასულ კვირას განაცხადა, რომ ბელარუსი და საქართველო უკანონობაში არიან ჩათრეული! როგორ შეაფასებთ უკრაინის პრეზიდენტის მიერ საქართველოსა და ბელარუსის ერთ სიბრტყეზე დაყენებას?**

— უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან საქართველოსა და ქართველი ხალხის შეურაცხყოფა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა საქართველოდან ელჩი გაიწვიეს. გარდა ამისა, მინდა, ბატონ ზელენსკის გავახსენო ის აბსოლუტურად შეუწყნარებელი ჯამბაზობა, რომელსაც საქართველოსა და ქართველ ხალხთან მიმართებაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სჩადიოდა, როცა თვითონ რუსული ესტრადის განუყოფელი ნაწილი ბრძანდებოდა და რუსი მაყურებლის წინაშე, პუტინის გულის გასახარად მასხრობდა — ქართველებმა ომში „კაკაშკები“ ქნესო!

**საქართველოს გაიგივება ბელარუსთან, რომელსაც უკრაინის საზღვართან ჯარი უდგას და საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის ბირთვულ იარაღს ათავსებს, სრულიად სამარცხვინოა და კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ზელენსკის საქართველოს მიმართ არავითარი კეთილმეზობრული დამოკიდებულება არა აქვს.** საერთოდ, უკრაინის ხელისუფლებას, თავის პრეზიდენტიან-უშიშროების საბჭოს მდივნიან-არახამიან-დედიან-ბუდიანად, საქართველოს ბოლმა ახრჩობს!

**— საქართველომ მეორე ფრონტი რომ არ გახსნა და რუსულ ტანკებს მუხლუხოებში არ შეუვარდა, ამაზე არიან დაბოღმილი?**

— დიახ, **სწორედ იმაზე იბოღმებიან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარ ქვეყანას ის უბედურება არ დამართა, რაც დღეს უკრაინას სჭირს.** არავინ მითხრას, რომ უკრაინას ომში რაიმე წარმატება აქვს, ეს ზღაპრები **სალომე სამადაშვილმა** და **სალომე ხაბეიშვილმა ერთმანეთს მოუყვნენ.** ჩვენს თვალწინ ნადგურდება ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო, რომელსაც უკვე ჰყავს 27 მილიონი დევნილი ქვეყნის შიგნით, ქვეყნიდან წასული 7 მილიონი ლტოლვილი და 18-დან 35 წლამდე ასაკის დაჭრილი, დასახიჩრებული და დაღუპული ჯარისკაცი, რომელთა საერთო რაოდენობაც **300-400 ათასს** აღწევს. ამას დაუმატეთ მიწასთან გასწორებული ქალაქები, განადგურებული ინფრასტრუქტურა და ოკუპირებული ტერიტორიები... **აი, ასეთ დღეში ჩააგდო უკრაინა ზელენსკის, ამერიკისა და ნატოს „დიდმა კოალიციამ“!**

**— სალომე ხაბეიშვილი რომ ახსენეთ, ვის გულისხმობთ?**

— **სალომე ზურაბიშვილი** ჩემთვის **სალომე ხაბეიშვილია,** რადგან ხაბეიშვილის პოზიციაზე დადგა და ხაბეიშვილივით ლაპარაკობს! სიტყვით გამოხვიდე 17-18 წლის ბიჭების წინაშე, რომლებიც მხედრულ ფიცს დებენ და ისეთი სამარცხვინო განცხადებები გააკეთო, როგორიც 26 მაისს პრეზიდენტისაგან მოვისმინეთ, ხაბეიშვილი უნდა იყო. ამიტომაც, ამიერიდან სალომე ზურაბიშვილს სალომე ხაბეიშვილს ვეძახი. და, საერთოდ, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რას



**„უკრაინის ხელისუფლებას, თავის პრეზიდენტიან-უშიშროების საბჭოს მდივნიან-არახამიან-დედიან-ბუდიანად, საქართველოს ბოლმა ახრჩობს!“**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი სამხარაძე**
*პარლამენტარი*



**მთავარსარდალი?** ჩვეულებრივი 20-დოლარიანი **ნაცების საროსკიპო ტელევიზიების ექსპერტია!** შემარცხვენელი ჩვენი ერის! **მტერია ჩვენი სახელმწიფოსი,** დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის! გახაზული აგენტი, რომელსაც არცერთი სიტყვა არ უთქვამს, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყო, ძლიერი სახელმწიფო! პარტნიორების თანაბარუფლებიანი პარტნიორი კი არა, **შნირები, ცალ ფეხზე მდგომი მონები უნდა ვიყოთო!** მართლა ამის სულ ყველაფრის „ტყება“.

„ალია“

**მერაბ შათირიშვილი**
*„ქართული ოცნების“ თანადამფუძნებელი, მწერალი*



**სალომე ზურაბიშვილი მორიგი შეცდომაა „ქართული ოცნების“** და ჩვენი პასუხისმგებლობაცაა ის, რომ იგი, თუნდაც იმ დროს სხვა გზა არ გვქონოდა, პრეზიდენტად ავირჩიეთ. **ეს „ქალბატონი“ ბნელი აზროვნებისაა და არაქართველია თავისი მენტალობით,** დროზე მოვეგოთ გონს და რაღაც ვიღონოთ, თორემ მის ზღვარგასულობას არა აქვს სამანი.

„ალია“

**ლევან მამალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



რა სარგებელი მოუტანა **სალომე ზურაბიშვილმა** საქართველოს?! — არაფერი, გარდა იმისა, რომ მან **ქვეყნის საზიანოდ პოლარიზაცია, დაპირისპირება გააღრმავა.**

„საერთო გაზეთი“

**ელიზბარ ჯაველიძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



**სალომე ზურაბიშვილმა** იმდენი გააკეთა, რომ **საქართველოს მოღალატე ნაცებს** სათავეში მოექცა.

„საერთო გაზეთი“




# „როგორც დაგიბარებია, ისე მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, რომელიც პირადად ჩემთვის სასაცილოც არის და სამარცხვინოც!“

იტყვიან სამ ცენტად გაყიდული **სალომე სამადაშვილი, კიკუ ვაშაძე და „კიკუს კლანი“**, რომელთათვისაც საქართველო სამშობლო არასოდეს ყოფილა.

**— აშკარაა, რომ რადიკალური ნაცოპოზიციის რევოლუციური გეგმები საქართველოსათვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის არმიცემას უკავშირდება, რის შემდეგაც ისინი ე.წ. ქართული მაიდნის მოწყობასა და ხელისუფლების გადატრიალებას შეეცდებიან. როგორ ფიქრობთ, რამე გამოუვათ?**

— მხოლოდ გუშინწინდელ დღეში ჩარჩენილ კელი დეგნანს შეიძლება, ეგონოს, რომ ლომჯარია, ლიაკა რუბლოვნა და კიკუ ვაშაძე საქართველოში გადატრიალების მოწყობას შეძლებენ!

**რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დღეს ამერიკასა და ევროკავშირს უფრო სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს სჭირდება ამერიკა და ევროკავშირი!** ახლა ზუსტად ის მომენტია, როცა საქართველო, პრაგმატული თვალსაზრისით, საკვანძო ქვეყანა გახდა და ამ ქვეყნის გულის მოსაგებად ყველა იბრძოლებს! ასე რომ, **როგორც დაგიბარებია, ისე მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, რომელიც პირადად ჩემთვის სასაცილოც არის და სამარცხვინოც!**



*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

## „სალომე ზურაბიშვილი ჩემთვის სალომე ხაბეიშვილია!“



***მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილი „ჯორჯიან ეარვეისს“ დაესხა თავს, თამაზ გაიაშვილის, მისი ძმისა და მის სახელთან ასოცირებული ქართული ავიაკომპანიის წინააღმდეგ მორიგი ფრონტი გაიხსნა. ამჯერად უცხო ქვეყნის აგენტებისა და გენეტიკური მოღალატეების კლასიკურმა განსახიერებამ — ლიაკა ხოშტარიამ ერთ-ერთ თავის ხელისბიჭსა და მეთუღლუხჩეს, ვინმე გიგა ლემონჯავას გაახმოვანებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოს ვებ-გვერდს — „ომი და სანქციები“ საქართველოს ორი მოქალაქე და ორი იურიდიული პირი დაემატა. თამაზ გაიაშვილი, რომლის ინტერვიუც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა, აცხადებს, რომ კომპანია დასანქცირებული არ არის და ქართველი შადიმანები ტყუილად ზეიმობენ:***



# თამაზ გაიაშვილი: პუტინს რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა არც არასოდეს შეუწყვეტია!

— ქართველ შადიმანებს შეცდომაში შეჰყავთ უკრაინის მთავრობა, თითქოს **თამაზ გაიაშვილი** გავლენას ახდენს ამა თუ იმ სახელმწიფოში ფრენების დანიშვნა-არდანიშვნაზე და ჩვენ ვაძლიერებთ რუსეთის ეკონომიკას. სულ ოთხი თვითმფრინავი გვყავს და პირდაპირ სასაცილოა, რა გავლენა უნდა მოვახდინოთ ამოდენა რუსეთის ეკონომიკაზე. ფაქტია, რომ ეს მოღალატეები ხარობენ, თუ ქართულ ავიაკომპანიებს პრობლემები შეექმნებათ და ქვეყანა თავზე დაგვემხობა! გაგახსენებთ, როცა შვეიცარიის ავიაკომპანია „სვისეარი“ გაკოტრდა, მთელი შვეიცარია ტიროდა, მაგრამ ამ აგენტებს უხარიათ, თუ საქართველოს ძირს გამოუთხრიან და ქართულ ავიაკომპანიებს მართლაც დაასანქცირებენ!

**— ბატონო თამაზ, სინამდვილეში რა ხდება? გავრცელებული ინფორმაცია ყალბია?**

— ცხადია, ეს ყველაფერი სიყალბეა! ამათ ისიც კი არ იციან, რომ ფრენებს ორ ქვეყანას შორის ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიწყებს და ვერც შეწყვეტს რომელიმე ავიაკომპანია. ეს საკითხი სამთავრობო ხელშეკრულებით რეგულირდება. აქედან გამომდინარე, „ჯორჯიან ეარვეისი“ და მისი გენერალური დირექტორი **დავით გაიაშვილი** ხელმძღვანელობენ საერთაშორისო რეგულაციებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. რაც შემეხება მე, **თამაზ გაიაშვილს**, დაახლოებით 15 წელია, „ჯორჯიან ეარვეისის“ არც დამფუძნებელი და არც გენერალური დირექტორი ვარ და წარმოვადგენ „ჯორჯიან ეარვეისის“ საფრენოსნო განყოფილების დირექტორს. აქედან გამომდინარე, **ის დოკუმენტაცია, რაც ჩვენმა მოღალატეებმა უკრაინელებს მიაწოდეს, თავშივე გაყალბებულია!** კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რა ეკონომიკური ეფექტი უნდა მოიტანოს ჩვენმა ოთხმა თვითმფრინავმა, ამ მოღალატეებს სიხარულის ყიჟინა რომ აქვთ ატეხი-

გაგრძელება
მე-12 გვერდზე

## „ჩვენ ჩვენი სიტყვა ვთქვით და სალომე ზურაბიშვილს ჩვენს თვითმფრინავზე არ ავუშვებთ!“



**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



**რაც ზურაბიშვილმა 26 მაისს იკადრა,** ეს ძალიან სამარცხვინო, უღირსი საქციელი იყო. **პრეზიდენტები ასე არ იქცევიან.** ასეთი რამ **მარგველაშვილსაც არ უკადრია.** მას ინტელექტი მაინც აქვს. წარმოიდგინეთ, ტრიბუნასთან პრეზიდენტის ტყავში გადაცმული **ჩერგოლეიშვილი** იდგა და ლაპარაკობდა.

„საერთო გაზეთი“

**ზაურ ნაჭყებია**
*ჟურნალისტი*



ვიდრე თავისი უტიფარი და მზაკვრული განცხადებებით თავზე დაგვამხობს ქვეყანას, **მთელმა საქართველომ უნდა მოითხოვოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი.** ასევე საზოგადოების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, **სალომე ზურაბიშვილი გამოცხადდეს ქვეყნის მოღალატედ!**

„საერთო გაზეთი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**ზურაბიშვილის** მიმართ საზოგადოების კრიტიკა იმდენად მწვავე იყო, რომ მან **მთაწმინდაზე გამართულ წვეულებაზე მისვლაც კი ვერ გაბედა.** ეს იყო ერთ-ერთი ნიშანი, რომ **ამ ქალბატონს ხალხის მხარდაჭერა არა აქვს.** საერთო-სახალხო მხარდაჭერით არჩეული პრეზიდენტი 2023 წელს **სახალხოდ იქნა მოძულებული.**

„რეზონანსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ჩვენთვის ამოცანა იყო, რომ **პრეზიდენტი ყოფილიყო ზეპარტიული.** ამ ამოცანას, სამწუხაროდ, ვერ ასრულებს, რადგან რაღაც ეტაპზე, **ფადი ასლის განცხადებებს რომ ემსგავსება პრეზიდენტის განცხადებები,** ეს უხერხულობა ცხადია, არის.

„რეზონანსი“

*დასაწყისი მე-11 გვერდზე*

ლი — არიქა, „ჯორჯიან ეარვეისსა“ და თამაზ და დავით გაიაშვილებს ასანქცირებენო? ნატოს წევრი თურქეთის ავიაკომპანია „თურქეთის ავიახაზები“, რომლის ავიაპარკიც ხუთასზე მეტ თვითმფრინავს ითვლის და რომელიც რუსეთში ყოველდღიურად ოცდაათ რეისზე მეტს ასრულებს, ნამდვილად მოახდენს გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია? იგივე უნდა ითქვას არაბეთის ქვეყნების, აზერბაიჯანის, სომხეთის, შუა აზიისა და, საერთოდ, აზიისა და აფრიკის სახელმწიფოების ავიახაზებზე, რომელთა თვითმფრინავებიც რეგულარულად დაფრინავენ რუსეთში. ამაზე რატომღაც თვალს ხუჭავენ ისინი, ვინც ასე გააფთრებით ებრძვის პატარა ქართულ ავიაკომპანიას.

**— ანუ ოფიციალურად ავიაკომპანიის დირექტორი არ ხართ, მაგრამ თქვენს დასანქცირებას მაინც ითხოვენ?**

— დიახ, ამდენი წელია, მხოლოდ საფრენოსნო განყოფილების დირექტორი ვარ, ანუ მფრინავთა ხელმძღვანელად ვმუშაობ, მაგრამ ამათ იმდენი ტვინიც კი არა აქვთ, დოკუმენტებში კარგად ჩაიხედონ. რაც შეეხება ჩემს ძმას — **დავით გაიაშვილს,** კომერციული მიმართულებით მას სხვები ჰყავს დაქირავებული და დასასანქცირებელი არაფერი ჩაუდენია.

რაც შეეხება რეალურ მდგომარეობას, არავითარი სანქციები ჯერჯერობით დაწესებული არ არის და, **სიმართლე თუ გაინტერესებთ, უკრაინაში ფრენას ჩვენ საერთოდ ვერიდებით.** ასე რომ, ეს არის რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის ვებ-გვერდი, რომელთანაც ქართველ შადიმანებს აქვთ კავშირი. მათ უკრაინელ კოლეგებთან ერთად ჭიქაში ქარიშხალი ატეხეს და მეტი არაფერი!

**— იქ ვალერი კვარაცხელიას შვილისა და „აირზენა საქართველოს“ დასანქცირებაზეც ილაპარაკეს!**

— ეს საერთოდ სისულელეა! იმ ბიჭს აეროპორტში თავისი ფირმა აქვს და რა შუაშია მისი დასანქცირება, ყოვლად გაუგებარია! საქართველოში არსებობს აგენტების გუნდი, რომელიც უკავშირდება უკრაინელ ნაცებს და აგორებენ ათასნაირ სკანდალს. მოვუწოდებ — კარგად წაიკითხონ 2019 წელს გამოცემული პუტინის ბრძანება! იქ რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აკრძალვაზე ლაპარაკი არ არის, საუბარია მხოლოდ რეკომენდაციაზე, რომელიც რუსულ ავიაკომპანიებს მიეცათ — **საქართველოში აღარ იფრინოთო!** ჩვენ, ქართულ ავიაკომპანიებს, რუსეთში ფრენის უფლება მაშინაც გვქონდა და ბაქოს, თურქეთისა და ერევნის გავლით დავფრინავდით კიდეც, როცა საქმე ეხებოდა პრივატულ და ჩარტერულ რეისებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **პუტინს რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა არც არასოდეს შეუწყვეტია! მაშინ ჩვენი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია იყო და არც მას გამოუცია რაიმე ბრძანება, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლას აკრძალავდა.**

**— იმედია, გახარია, ახლა სხვანაირად არ ალაპარაკდება!**

— ეს გახარიას გადასაწყვეტია, მაგრამ მთავარი ყველამ გაიგოს — ჩვენ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის არასოდეს გვიღალატია. ოცდაათ წელზე მეტია, ჩემი კომპანია არსებობს, გამოვიარეთ აფხაზეთის ომი, 2008 წლის აგვისტოს ომი, პანდემია და ქართველ ხალხს ყოველთვის გვერდში ვედექით. სამაგიეროდ, ამას ვერ



*თამაზ გაიაშვილი:*

**საქართველო ასეთ მოღალატე და სამარცხვინო პრეზიდენტს არ იმსახურებს!**

**სალომე ზურაბიშვილი არის უცხოელების პრეზიდენტი და კეთილი ინებოს და უცხოური ავიაკომპანიით ისარგებლოს, ჩვენ მაგას არ მოვემსახურებით!**

**სანამ სალომე ზურაბიშვილი ქართველ ხალხსა და ჩვენს მფრინავებს ბოდიშს არ მოუხდის, მანამ ჩვენი თვითმფრინავების ბორტზე მაგის ფეხი არ იქნება!**

**„ისე, ძალიან მაინტერესებს, რა სიკეთე მოაქვს ამ ქალბატონს ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ამდენ ფულს ვახარჯავთ?“**

**„ვინმემ ამიხსნას, რა აზრი აქვს თბილისსა და მოსკოვს შორის ფრენების შეწყვეტას, როცა ორ ქვეყანას შორის რკინიგზის გარდა თითქმის ყველანაირი ტრანსპორტი მოძრაობს?“**

**„დღეს თავად რუსეთია დაინტერესებული აფხაზეთისა და ცხინვალის დანარჩენ საქართველოსთან კონსოლიდაციით!“**



„ა-დ“. 2023 წლის №25

# „სააკაშვილი თვითმფრინავში ჟურნალისტებთან ერთად დისკოთეკებს აწყობდა და თავზე ჰქონდა გადამხობილი ყველაფერი!“



სააკაშვილი თვითმფრინავში რუს ჟურნალისტებთან ერთად



შევარდნაძე თვითმფრინავში ქართველ ჟურნალისტებთან ერთად

ვიტყვი ამ მოღალატეებზე, რომლებიც უკრაინაში ცრუ ინფორმაციებს აგზავნიან და ჩვენს „გაშავებას“ ცდილობენ.

**— თქვენ შევარდნაძის მფრინავიც იყავით და სააკაშვილისაც... როგორი მგზავრები იყვნენ? გქონიათ თუ არა ექსტრემალური სიტუაციები და როგორ იქცეოდნენ ისინი საფრთხის დროს?**

— შევარდნაძე ჭკუადამჯდარი, დაღვინებული და სერიოზული კაცი იყო, ხოლო სააკაშვილი რაც იყო და რაც არის, მთელმა ქვეყანამ იცის და ჩემი დამატება აღარ სჭირდება! (იცინის).

**— სააკაშვილი თვითმფრინავში სვამდა და მერე მთვრალი პილოტების კაბინაში მართლა შემოდიოდა?**

— აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი... (იცინის). სააკაშვილი თვითმფრინავში ჟურნალისტებთან ერთად დისკოთეკებს აწყობდა და თავზე ჰქონდა გადამხობილი ყველაფერი! რაც შეეხება ექსტრემალურ სიტუაციას, ანუ ე.წ. „ჩეპეს“, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში და მათ შორის, თვითმფრინავით მგზავრობის დროსაც შეიძლება შეიქმნას, მთელმა მსოფლიომ ნახა, რა დღეში იყო სააკაშვილი გორში, მაგრამ შევარდნაძეზე ვერავინ იტყვის, რომ მშიშარა კაცი იყო. ამაში პირადად დავრწმუნდი, როცა ნიუ-იორკიდან საათ-ნახევრის გამოსული ვიყავით და ატლანტის ოკეანის თავზე მოვფრინავდით. **როცა თვითმფრინავის კაბინაში დაახლოებით თეფშისოდენა საქარე მინა ამოვარდა და მგზავრებს შორის პანიკა ატყდა, არცერთს არ ჰქონდა ნორმალური სახე, მხოლოდ შევარდნაძე იყო მშვიდად.**

**— საქარე მინა რამ ჩატეხა?**

— საუბარი მაქვს მცირე ზომის საქარე მინაზე, რომელიც ამოვარდა. თვითმფრინავში მინები, როგორც წესი, ორმაგია და ერთი მინა საღი იყო. არ ვიცი, რა მოხდა, ვერც ვერაფერს გამორიცხავ... სამი საათი კიდევ უნდა გვეფრინა. მივიღე გადაწყვეტილება, ირლანდიაში, შენონის აეროპორტში დავმჯდარიყავით. მივედი შევარდნაძესთან და ვუთხარი — ბატონო ედუარდ, თქვენთვის ახალ ეკიპაჟს და სათადარიგო თვითმფრინავს გამოვიძახებ, მე კი ამ თვითმფრინავს საქართველოში თქვენ გარეშე გადმოვაფრენ და მერე შევაკეთებ-მეთქი! შევარდნაძემ მკითხა — მე რომ ამ თვითმფრინავში არ ვიჯდე, შენ მარტო გაფრინდებოდიო? — კი, გავფრინდებოდი-მეთქი! — ჰოდა, არ არის ახალი თვითმფრინავი საჭირო, გავფრინდეთ ამ თვითმფრინავით, რაც იქნება, ის იქნებაო! წამოვედით და თბილისში მშვიდობიანად დავეშვით. მაშინ შევარდნაძის სიმშვიდემ ბევრი რამ განაპირობა, თორემ თვითმფრინავის მგზავრებმა რომ გაიგეს, მინა ჩატყდა, პანიკა დაიწყო. მგზავრები შევარდნაძეს რომ მშვიდსა და აუღელვებელს უყურებდნენ, იძულებული გახდნენ, დაწყნარებულიყვნენ! კიდევ იყო ერთი შემთხვევა... ზუსტად ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთხელ იმ თვითმფრინავში, რომელშიც შევარდნაძე იჯდა, ელვა შემოვიდა და გავიდა. შევარდნაძეს არც მაშინ შეშინებია, ყველაზე მშვიდად გამოიყურებოდა. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბატონი ედუარდი უშიშარი კაცი იყო!

**— თვითმფრინავს მეხი დაეცა?**

— არა, მეხი რომ დაცემოდა, ვერ გადავრჩებოდით! (იცინის). აი, არ ვიცი, ხომალდში ელვა შემოვიდა და გავიდა... იცით, რაშია საქმე? შევარდნაძეს ერთი თვისება ჰქონდა — პროფესიონალებს ენდობოდა! ამიტომაც იყო მშვიდად... მან კარგად იცოდა, რომ, რაც ადამიანს შეეძლო ხომალდის გადასარჩენად, მე, როგორც პროფესიონალი, ყველაფერს გავაკეთებდი!

**— სააკაშვილი არ გენდობოდათ?**

— არა, მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ სააკაშვილი ძალიან აჟიტირებული იყო... მაგის დროს თვითმფრინავში რამე „ჩეპე“ არ მომხდარა!

**— კიდევ კარგი, თორემ ყველაფერს თქვენ დაგაბრალებდათ და დაგიჭერდათ!**

— *(იცინის).*

**— სალომე ზურაბიშვილსა და თქვენ შორის ურთიერთობა დათბა? ამ რამდენიმე დღის წინათ, ბრიუსელში რომ ჩაფრინდა, ზურაბიშვილმა თქვენი მომსახურებით ისარგებლა?**

— ჩვენ სიტყვა ვთქვით და სალომე ზურაბიშვილს ჩვენს თვითმფრინავზე არ ავუშვებთ! სანამ ქალბატონი ზურაბიშვილი ქართველ ხალხს ბოდიშს არ მოუხდის, მანამდე ჩვენს ბორტზე მისი ფეხი არ იქნება!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

**„ნიუ-იორკიდან საათ-ნახევრის გამოსული ვიყავით და ატლანტის ოკეანის თავზე მოვფრინავდით, როცა თვითმფრინავის კაბინაში დაახლოებით თეფშისოდენა საქარე მინა ამოვარდა და მგზავრებს შორის პანიკა ატყდა. არცერთს არ ჰქონდა ნორმალური სახე, მხოლოდ შევარდნაძე იყო მშვიდად!“**

# გენერალისიმუსი

№29-30 (197-198) ★ 2023 წლის 5 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან




## ნიკოლოზ მჟავანაძე: რუსეთსა და საქართველოს შორის თვისობრივად ახალი გეორგიევსკის ტრაქტატი უნდა გაფორმდეს!

★ არის ასეთი აზრი!

***„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ საქართველოში დიდი პოლიტიკური ცვლილებები გარდაუვალია:***

— მოგეხსენებათ, წინა კვირას ამერიკის მიერ დაფინანსებულმა და მართულმა აგენტურამ საქართველოში ერთი ამბავი ატეხა — **მოლდოვაში ვიზიტის დროს ირაკლი ღარიბაშვილი ზელენსკის არ მიესალმაო!** არადა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს რატომ უნდა ექეთებინა რევერანსები იმ პრეზიდენტისათვის, რომელმაც დააქცია და გაანადგურა უკრაინა? **ყოჩაღ, ირაკლი, რომ ამ პოლიტიკური მძორის — ზელენსკისაკენ არ გაიხედე!** შენ შენს ერს იცავ, ხოლო ეს ნაძირალა ზელენსკი საცოდავ უკრაინელებს რუსებს ახოცვინებს და მიწასთან გაასწორა მთელი ქვეყანა.

ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ: **შორს არ არის ის დრო, როცა ზელენსკის უკრაინელები ზუსტად ისე დაკიდებენ ფეხებით, როგორც იტალიელებმა მუსოლინი დაკიდეს თავის საყვარელთან ერთად და მერე მის გვამს მთელი იტალია აფურთხებდა!**

უკრაინისგან აღარაფერია დარჩენილი და ეს ულამაზესი და აყვავებული ქვეყანა დაღუპულია. მისი, როგორც სახელმწიფოს არსებობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პუტინმა გააკეთა განცხადება, რომ ბელგოროდში მომხდარი ამბების შემდეგ ტერორისტებს არ დაელაპარაკება და საქმეს ბოლომდე მიიყვანს. აი, ასეთ დროს გამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ანალენა ბერბოკი** და განაცხადა — **ქვეყანას, რომელიც ომობს, ნატოში ვერ მივიღებთო!** ხორვატიის პრეზიდენტმაც არ დამალა გულისწყრომა — **მაღიზიანებს, როცა ჩემს ქვეყანაში „სლავა უკრაინეს!“ გაიძახიანო!** ეს რომ ვინმემ ჩვენთან თქვას, მაშინვე „პუტინის აგენტად“ შერაცხავენ... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ზელენსკის უკრაინელი ერი ჩამოკიდებს, თუ ჰიტლერივით თვითონ არ მოიკლა თავი,** რადგან ეგ ცოცხალი არავის სჭირდება! **ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველო გადაარჩინა, თორემ ჩვენ უკრაინაზე უარესი გველოდებოდა!**

**— ვართ თუ არა ბოლომდე გადარჩენილები, ეს ღმერთმა უწყის, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ჯერჯერობით მართლაც ეროვნული, სწორი და პრაგმატულია!**

— ხალხი, რომელიც ნაცსექტას უჭერს მხარს, ხვდება, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა არ შეიძლება! ამიტომაც ვერ გამოჰყავთ ხალხი ამ მოღალატეებსა და აგენტებს, თორემ აქამდე მიწასთან ვიქნებოდით გასწორებული. მაკრონის განცხადებამაც ძალიან გვიშველა — **საქართველო და უკრაინა ნატოსკენ სწრაფვის გამო დაისაჯნენ და ჩვენ ისინი ვერ დავიცავითო!**

## „ირაკლი ღარიბაშვილს აქვს შანსი, „პატარა კახის“ გმირობა გაიმეოროს და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით საქართველო იხსნას!“

ირაკლი ღარიბაშვილმა მართლაც სამშვიდობოს გაიყვანა ეს ქვეყანა, თორემ

### აქ რომ, კონჩიტების დედოფალი და ამერიკელების მიერ „დავერბოვკებული“ გიორგი გახარია ანდა ბლუყუნა გიორგი კვირიკაშვილი ყოფილიყო პრემიერი, საქართველო გადაიქცეოდა მეორე ბუჩად და მარიუპოლად!



ფაქტია, ქვეყნის გაერთიანებისკენ რაღაც ნაბიჯები გადაიდგა, რუსეთთანაც ფრენები აღდგა, დაძაბულობაც ნელ-ნელა იხსნება... ნაცები ისეთ აგონიაში არიან, იმაზე დარდობენ, **აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ დავიბრუნოთ, რაღა გვეშველებაო?!** წარმოგიდგენიათ, რა დონის მოღალატეებთან გვაქვს საქმე?



**— მოგეხსენებათ, ეს თემა პირველად უსამშობლო და ამერიკის აგენტმა ფადი ასლიმ შემოაგდო!**

— **ხათუნა ლაგაზიძემ,** რომელიც მართლაცდა „ბროლის ბუს“ ჰგავს, უარესი რამ თქვა და ოპოზიციას ჰკითხა — **თუ რუსეთი პროვოკაციაზე წავა და აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დააბრუნებს, მოფიქრებული გაქვთ, რა უნდა გააკეთოთო?** ე.ი.

### ხალხი, რომელსაც „ქართველები“ ჰქვია, თურმე, წინასწარ გლოვობს იმაზე, რომ შესაძლოა, საქართველო გაერთიანდეს!

საზოგადოებას გავახსენებ იმ დროს, როცა **რუსლან გილაევის** რაზმი გადასხეს აფხაზეთში... მაშინ **გიორგი ბარამიძე** გამოვიდა და განაცხადა — **კახა თარგამაძის დაბრუნებული აფხაზეთი არ გვინდაო!** არ გამოვრიცხავ, ეს აგენტები და ფულზე გაყიდულები გამოვიდნენ და აქცია ჩაატარონ — **რუსეთის მიერ დაბრუნებული აფხაზეთი და სამაჩაბლო არ გვინდაო!**

ეს ჭკუიდან გადასული ქალი — **სალომე ზურაბიშვილი,** რომელმაც მოახერხა ის, რომ დღეს მთელი საქართველო აგინებს, განაცხადა — **ჩვენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს არ გავყიდითო!** ეს განცხადებები კეთდება მაშინ, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პირდაპირ კრემლის გზავნილს გვაცნობს — **ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთიანი სახელმწიფო უნდა ააშენონო!** ირაკლი ღარიბაშვილს აქვს შანსი, „პატარა კახის“ გმირობა გაი-


*გაგრძელება მე-2 გვერდზე*




## «ყოჩაღ, ირაკლი, რომ ამ პოლიტიკური მძორის — ზელენსკისაკენ არ გაიხედე!“

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# შორს არ არის ის დრო, როცა ზელენსკის უკრაინელები ზუსტად ისე დაკიდებენ ფეხებით, როგორც იტალიელებმა მუსოლინი დაკიდეს თავის საყვარელთან ერთად და მერე მის გვამს მთელი იტალია აფურთხებდა!

დასაწყისი პირველ გვერდზე



მეორის და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით საქართველო იხსნას!

სხვათაშორის, **სულ მალე გეორგიევსკის ტრაქტატის 240 წელი სრულდება და ვაპირებ, მონაწილეობა მივიღო საზეიმო ღონისძიებაში, რომელიც რუსეთში გაიმართება.** 600 ათასი ქართველი იყო დარჩენილი ერეკლე მეფის დროს და ტრაქტატმა საქართველო გადაარჩინა, რადგან 1989 წლის მონაცემებით, 5 მილიონ 600 ათასი გავხდით.

დღეს იმავე სიტუაციაში ვართ, რაც ერეკლეს დროს გვჭირდა. ამიტომ რუსეთ-საქართველოს შორის თვისობრივად **ახალი გეორგიევსკის ტრაქტატი** უნდა გაფორმდეს! მაშინაც და ახლაც ირაკლი მართავდა საქართველოს და ირაკლი ღარიბაშვილს რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად უნიკალური შანსი ეძლევა!

ამას ხვდებიან ეს მოღალატეები და იმიტომაც არიან გამწარებულები — აქაოდა, ქვეყანა რომ გაერთიანდეს, ჩვენ რაღა გვეშველებაო! **წარმოგიდგენიათ, რა დონის აგენტურა შემოუსიეს ქვეყანას?** ეს საakaშვილის სექს-დივები, ხომ ხედავთ, რა დღეში არიან და რას ამბობენ — **ლეიბები გავშალოთ, ქუჩაში გავწვეთო!** სანამ ესენი, ეს უცხო ქვეყნის აგენტები, არ განადგურდებიან, ჩვენი საშველი არ იქნება!

**— ივერი მელაშვილს რომ საქართველოს საზღვრებზე შესტკივა გული, ამაზე რას იტყვით?**

— ეს მოღალატეები საქართველოს საზღვრებზე ალაპარაკებენ კაცს, რომელმაც ქართული მიწები რუსეთსაც გადასცა, აზერბაიჯანსაც და თურქეთსაც! სწორედ **ივერი მელაშვილია** ამ მოღალატეებისა და შუბლისძარღვგაწყვეტილი ხალხის სახე. **ამერიკამ, როგორც ავღანეთში, ვიეტნამსა და სირიაში მოიმტვრია კისერი, ისე მოიმტვრევს კისერს უკრაინაშიც, რომელიც ამ ნაძირალა ზელენსკის დააქცევინეს.**

მთელმა მსოფლიომ ნახა, თუ რა განაცხადა ნატოს წევრი თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა — ამერიკელებს გავანადგურებთო! მთელ მსოფლიოს ეზიზღება ამერიკა და ჩვენ რომ ახლა ნატოს დროშები ვაფრიალოთ, რუსეთს რომ თავი დავანებოთ, თურქეთიც, აზერბაიჯანიც, სომხეთიც და ირანიც ჩვენი დაუძინებელი მტრები გახდებიან, რომლებიც ბოლოს მოგვიღებენ!

**— მიშა მშვილდაძემ სადღაც ზუსტად ასე დაწერა — ბაირამ დუდუკში გაგვედო, კიდევ ხუთი წელი თურქეთში ერდოღანი იქნებაო!**

— მაგათ ბაირამ დუდუკშიც აქვთ გადებული და გაროღვეულებიც არიან უკვე, რადგან, ხომ ხედავთ, რა დღეშია ამოდენა ამერიკა? **ეს საცოდავი ბაი-**

## ★ არის ასეთი აზრი!

დენი უკვე ფეხზე ველარ დგება!

**ძვირფასო ნაცსექტანტებო, თქვენი ადგილი არის ევროპისა და ამერიკის გეი-კლუბებში და აქედან თვითმფრინავების ბორბლებზე ჩამოკიდებულები რომ გაიქცევით, სწორედ იმ დაწესებულებებში მოგიწევთ დასაქმება სტრიპტიზის მოცეკვავეებად და ოფიციანტებად.**

სხვათაშორის, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკრაინას უკვე დაავალდებულა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონოს! აქედან გამომდინარე, არ გაგიკვირდეთ, თუ **ბადრი შუბლაძე და მიშა მშვილდაძე** კიევში დაქორწინდებიან!

*ესაუბრა*

*დიტო ჩუბინიძე*

**„ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკრაინას უკვე დაავალდებულა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონოს!“**





**„არ გაგიკვირდეთ, თუ ბადრი შუბლაძე და მიშა მშვილდაძე კიევში დაქორწინდებიან!“**

# ვერა

*2023 წლის 30 მაისს კასპის რაიონის სოფელ მეტეხში მიწას მიაბარეს 97 წლის ქალბატონი. ეს ამბავი, ალბათ, ფართო საზოგადოების ყურადღებას არც მიიპყრობდა, რომ არა ხანდაზმულის ვინაობა — ის ვერა პუტინა გახლდათ, რომელიც ათეული წლების მანძილზე ირწმუნებოდა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მისი შვილია და ამ აზრს ეთანხმებოდა სოფელ მეტეხის უფროსი თაობის აბსოლუტური უმრავლესობაც, რომელთა თვალწინ პატარა ვოვა 10 წლის ასაკამდე, ლამის მეოთხე კლასამდე, იზრდებოდა!*



**ძვირფასო მკითხველო, ჩვენ არ ვაპირებთ მტკიცებას, რომ საქართველოში წამოჩიტული სწორედ ის ყმაწვილი გახდა მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს, რუსეთის პრეზიდენტი,** თუმცა, ის მართლაც რუსეთის პირველი პირის მოსახელე და მოგვარე გახლავთ, რომელმაც საქართველოში ბავშვობა გაატარა და, როგორც ადგილობრივებმა გვიამბეს, „აი ია“-ზე აღიზარდა. მავანი იმასაც შენიშნავს, რომ მისი ასაკი და გარეგნობაც ემთხვევა „რუსთ ხელმწიფის“ პარამეტრებს.

**ისტორია ასე დაიწყო:** კასპის რაიონის სოფელ მეტეხის მკვიდრი **გიორგი ოსეფაშვილი** სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და ახალშერთული მეუღლე **ვერა პუტინა** ჩამოიყვანა. საქართველოში დასახლებიდან 1 წლის შემდეგ ვერას დედა ესტუმრა და 2 წლის ვოვაც ჩამოუყვანა, რომელიც დედის გვარზე იმყოფებოდა.

ნაწყვეტი გაზეთ **„კვირის პალიტრასთან“ ვერა პუტინას** 2001 წლის ინტერვიუდან:

## ★ მითი თუ სინამდვილე?

*— დავიბადე და გავიზარდე პერმის ოლქის ქალაქ ოჩორაში. სასწავლებელი რომ დავამთავრე, პრაქტიკაზე ტაშკენტში გამაგზავნეს. იქ ერთი ბიჭი შემიყვარდა, **პლატონი** ერქვა. მასაც ძალიან ვუყვარდი და მპირდებოდა, ცოლად მოგიყვანო. ორსულად ვიყავი, როცა თავისი ქალაქიდან ამანათი მიიღო. გავხსენი. შიგ წერილი იდო. ამ წერილით გავიგე, რომ იგი ცოლშვილიანი ყოფილა. ძალიან გავბრაზდი, დანახვა აღარ მინდოდა მისი, მაგრამ ბავშვს ხომ ვეღარ მოვიცილებდი?.. მერე გაჩნდა ვალოდია. ვზრდიდი ჩემს ვოვას და ვიყავი ჩემთვის. **არ გასულა დიდი დრო და „ტანცებზე“ გავიცანი ქართველი სამხედრო, რომელიც მალე უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. ეს გახლდათ გიორგი ოსეფაშვილი, ჩემი დანარჩენი ხუთი შვილის მამა.** მას დანახვისთანავე შევუყვარდი და ცოლობა მთხოვა. არ დავუმალე, რომ შვილი მყავდა, მაინც არ დაიხია უკან და დავთანხმდი.*

*ვალოდია მესამე წელიწადში იყო, როდესაც მეტეხში ჩამომიყვანეს... **სულ არ გასჭირვებია ქართულად ალაპარაკება. წყნარი, ჩუმი ბიჭი იყო. ძალიან უყვარდა თევზაობა და ჭიდაობა.** ამხანაგებთან ჩხუბი არასოდეს მოსვლია. **აქედან 10 წლისა რომ წავიყვანე ჩემს მშობლებთან, რუსული ორი სიტყვაც არ იცოდა...***

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ქალბატონმა ვერამ 10 წლის ვოვა რუსეთში დააბრუნა, ის ბავშვთა სახლში აღმოჩნდა. შემდეგ მისი კვალი იკარგება, სავარაუდოდ, გააშვილეს... მაგრამ, 1999 წელს მეზობელთან გადასულმა ქალბატონმა ვერამ ანაზდად, ტელეეკრანზე თვალი მოჰკრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს **ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინს,** რომელიც მანამდე საჯარო სივრცეში არ ჩანდა, ვინაიდან უშიშროების სტრუქტურებში მუშაობდა. ტელეეკრანზე დანახული მამაკაცი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მის ღვიძლ შვილს, პატარა ვოვა პუტინს, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტი იყო, აღარ ენახა... ქალს გული წაუვიდა, თუმცა, მეზობელი მიზეზს ვერ მიხვდა. მერე კი სოფელმაც ამოიცნო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატში სწორედ ის ყმაწვილი, რომელიც მათ თვალწინ გაიზარდა!

●

რამდენიმე წლის წინათ ამ სტრიქონების ავტორი შემთხვევით შევხვდი ვოვა პუტინის დას, ქალბატონ **ლუბა ოსეფაშვილს,** რომელიც ერთ-ერთ ეკლესიაში ღვთისმსახურებას ესწრებოდა. წირვის შემდეგ დიდხანს ვისაუბრეთ ვოვას ბავშვობაზე. **ქალბატონ ლუბას ეჭვი არ ეპარება, რომ რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი სწორედ მისი დიდი ხნის უნახავი უფროსი ძამიკოა, რომელთანაც დაძმური სიყვარული და ადრეული ბავშვობის ტკბილი მოგონებები აკავშირებს.** თავის მხრივ, ქალბატონი ლუბაც, იერით ძალიან ჰგავს



**„შეუძლებელია, არ აგონდებოდეს მშობლიური კუთხე, სოფლის განაპირას, ჭალასთან მდებარე სახლი, რომელშიც ბავშვობა გაატარა!“**

# პუტინას რეკვიემი

ვლადიმერ პუტინს.

რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი რომ მეტეხში გაზრდილი პატარა ვოვა პუტინია, ეს მოსაზრება დამიდასტურა მისმა ბავშვობის მეგობარმაც, პატიმარმა, რომელიც ზონაზე გავიცანი, როცა შეიარაღებული გადატრიალების ცილისმწამებლური ბრალდებით სააკაშვილის რეჟიმისგან მოსჯილ წლებს ვიხდიდი. **პატიმარმა მიამბო, რომ ბავშვობა ვოვა პუტინთან ერთად გაატარა და გაიხსენა ერთი პასაჟი:** თანატოლები სათევზაოდ წასულან. ვოვას ანკესი მოუქნევია, მაგრამ უნებურად ნემსკავი თითში გარჭობია. ბავშვები იძულებულნი გამხდარან, ნემსკავი ძმაკაცის სხეულიდან ამოეძროთ, კაუჭს კი ხორცის ნაფლეთები ამოჰყოლია. სისხლი თქრიალით სდინებია ტკივილით გამწარებულ ყმაწვილს და მას მერე თითზე ნაიარევიც დარჩენია... — „ეს ნაიარევი დღემდე აუცილებლად ექნება შერჩენილი რუსეთის პრეზიდენტს" — მითხრა პატიმარმა.

**ნაიარევის შესახებ ინფორმაცია დამიდასტურა მეტეხის მკვიდრმა, მსოფლიო ჩემპიონმა სამბოში, კასპის რაიონის ყოფილმა გამგებელმა ოლეგ იაძემ:**

— ვოვას თითში მართლაც შერჭობია ანკესის კაუჭი. სხვა ბავშვებთან ერთად იქვე იყო მისი მეზობელი და თანატოლი, რომელსაც ბავშვები „ციგანაანთ გოგიას" ეძახდნენ. გოგიამ თავის თავზე აიღო ტრავმირებული ძმაკაცისთვის პირველადი „სამედიცინო" დახმარების გაწევა: — ვოვა, გვერდზე გაიხედე — მიაძახა და როცა ატირებულმა ყმაწვილმა იარას მოარიდა თვალი, კაუჭი ელვის უსწრაფესად ამოგლიჯა სხეულიდან...

**პატარა ვოვას მსგავსად, რუსეთის ამჟამინდელ პრეზიდენტსაც უყვარს თევზაობა, ჭიდაობა, მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესს და მისი სიარულის მანერაც ერთი-ერთში ემთხვევა ყმაწვილი ვოვას სიარულს. უფრო მეტიც — მეტეხელები ირწმუნებიან, რომ ახლახან გარდაცვლილი ვერა პუტინაც ზუსტად იმგვარად დადიოდა** (ჯარისკაცივით, ხელის აყოლებით), **როგორც რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი!**

ასაკშიც ხომ დამთხვევაა, ოღონდ მცირე სხვაობით: პატარა ვოვას კლასელები და, შესაბამისად, ვოვაც, 1950 წელს არიან დაბადებული; ხოლო რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის **ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინის** დაბადების თარიღი 1952 წლის 7 ოქტომბერია!

ერთი უცნაურობა ის გახლავთ, რომ ვოვა პუტინის კლასელთაგან არცერთ მათგანს არ შემორჩა ბავშვობის ფოტოალბომი კლასის საერთო ფოტოთი. არადა, 28 ბავშვი სწავლობდა ვოვას კლასში და ვერცერთი მათგანი ვერ იხსენებს, რა ვითარებაში დაკარგეს საერთო ფოტოები. არის ვარაუდი, რომ უშიშროების სამსახურმა იზრუნა, თუმცა, ვოვას ბავშვობისდროინდელი ორი ფოტო მაინც შემორჩა.

**ოლეგ იაძე:** — ამ ფოტოებზე ერთში — 3 წლის, მეორეში კი 9 წლის ვოვაა აღბეჭდილი. 2000-იან წლებში ის აღმოაჩნდა ვოვას მამინაცვლის **გოგი ოსეფაშვილის** ძმას, რომელიც გორში იყო ჩასიძებული. როგორც ვიცი, ეს ფოტოები ჩეჩნებს ჩაუვარდათ ხელში და სტამბოლში ექსპერტიზაზე წაუღიათ. ექსპერტიზამ ფოტოები ვლადიმერ პუტინის 15 წლის და 30 წლის ასაკში გადაღებულ ფოტოებს შეადარა და გამოიტანა დასკვნა, რომ ისინი ერთსა და იმავე ადამიანს ეკუთვნის!

**მერაბ გეჯაძე**, ***ვოვას ბავშვობის მეგობარი:*** — ამდენი დამთხვევა, უბრალოდ, გამორიცხულია. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სწორედ ის პატარა **ვოვა პუტინია,** რომელსაც ბავშვობაში ვიცნობდი! გამხდარი ბიჭი, სწორი თმებით, კეპით, თბილი ქურთუკით — ასეთი მახსოვს! ერთადერთი რუსი იყო, რომელიც ჩემ გვერდზე კლასში სწავლობდა. სხვათაშორის, კარგად სწავლობდა, 4-იანი არ მიუღია. ქალბატონ ვერას სხვა შვილებიც საკმაოდ ნიჭიერები ჰყავდა!

**ოლეგ იაძე:** — წლები გავიდა და **მეტეხში გაზრდილი ბავშვი, რომელმაც ენა ქართულად ამოიდგა და რომლის მშობლიური, სამეტყველო ენა ქართული გახლდათ, ქართულ ენაზე სწავლობდა და ურთიერთობდა — პლანეტის უზარმაზარი, ძლევამოსილი იმპერიის პრეზიდენტი გახდა.**

## მე დარწმუნებული ვარ, ვლადიმერ პუტინს მშობლიური ქართული ახლაც კარგად ახსოვს და შესაძლოა, დღემდე ქართულად აზროვნებს.

შეუძლებელია, არ ახსოვდეს ყმაწვილობა, როგორ ერთობოდა ბავშვობის მეგობრებთან ერთად, როგორ თევზაობდა, ჭიდაობდა, თამაშობდა... შეუძლებელია, არ აგონდებოდეს მშობლიური კუთხე, სოფლის განაპირას, ჭალასთან მდებარე სახლი, რომელშიც ბავშვობა გაატარა. სწორედ ბავშვობიდან გამოჰყვა მას ბუნების, სპორტის, თევზაობის, ცხენზე ჯირითის სიყვარული. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ხასიათის ის შტრიხები, რასაც მსოფლიოს პოლიტიკური წრეები განცვიფრებაში მოჰყავს, ძველი თაობის მეტეხელებისთვის კარგად არის ცნობილი.

ჩემი სამშობლო უსაზღვროდ მიყვარს, ბოლო პერიოდში საქართველოს თავს დამტყდარი ტრაგედიების ნამდვილ მიზეზებსაც კარგად ვაცნობიერებ, მაგრამ...

## ნეტავ, საქართველოს ჰყავდეს საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე მოამაგე ისეთი პრეზიდენტი, როგორიც ვლადიმერ პუტინია რუსეთისთვის!

ვითარება იცვლება. **რუსეთსა და საქართველოს შორის დათბობის ხანა იწყება და მინდა, მჯეროდეს, ყოველივე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით დაგვირგვინდება!** არ გამოვრიცხავ, მას შემდეგ, რაც ეს აღსრულდება, სრულიად საქართველომ კასპის რაიონის სოფელ მეტეხში ჩამოსული და დედის საფლავთან მუხლმოყრილი რუსეთის პრეზიდენტი იხილოს!

## ოლეგ იაძე:

## არ გამოვრიცხავ, სრულიად საქართველომ კასპის რაიონის სოფელ მეტეხში ჩამოსული და დედის საფლავთან მუხლმოყრილი რუსეთის პრეზიდენტი იხილოს!



***მეტეხელები ირწმუნებიან, რომ ახლახან გარდაცვლილი ვერა პუტინაც ზუსტად იმგვარად დადიოდა** (ჯარისკაცივით, ხელის აყოლებით), **როგორც რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი!***



ვერა პუტინა



## მერაბ გეჯაძე:

## ამდენი დამთხვევა, უბრალოდ, გამორიცხულია!




ვერა პუტინას მეუღლის – გიორგი ოსეფაშვილის საფლავი



ზაზა დავითაიას ფოტო

ვერა პუტინა მეუღლისა და შვილის საფლავებს შორის დაკრძალეს

## ბოლოთქმა

შეიძლება, უბრალოდ, დამთხვევაა, მაგრამ **ვერა პუტინა** საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების დღეს, 26 მაისს, გარდაიცვალა. მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა, ქართველი ერის წარმომადგენლის ცხოვრებით იცხოვრა და სამუდამო განსასვენებელიც კურთხეულ ქართულ მიწაში პოვა. **ღმერთმა მიუტევოს ცოდვები და აცხონოს ახალშესვენებულის სული!**

*მოამზადა*

***ზაზა დავითაიამ***

# სვიმონ მასხარაშვილი:

# ბერია გენიალური შემსრულებელი იყო, მაგრამ, როგორც ბრძანებების გამცემი ლიდერი, სუსტი აღმოჩნდა!



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი მიიჩნევს, რომ იმ საბედისწერო შეცდომათა ნუსხაში, რომელმაც ლავრენტი ბერიას განადგურება განაპირობა, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ვლადიმერ დეკანოზიშვილის პერსონას უჭირავს:***

— 1953 წლის მაის-ივნისში, როცა საბჭოთა კავშირს ოკუპირებულ გერმანიაში პირველი სერიოზული პრობლემა შეექმნა, კრემლში ბერიას გვერდით არ იდგა ამ პრობლემის უსწრაფესი გზით მომგვარებელი **ვლადიმერ დეკანოზიშვილი.** ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ლავრენტი მასაც აღარ ენდობოდა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა დეკანოზოვის ჩამოშორება საგარეო ურთიერთობების სფეროსთვის, რაშიც ის პროფესიონალი იყო... დეკანოზოვის ადგილი კრემლში ავტომატურად დაიჭირა ნაძირალა სქოლასტიკოსმა **მიხეილ სუსლოვმა,** რომელმაც, ფაქტობრივად, მთელი აღმოსავლეთ გერმანია ააბუნტა და ბერიას მახე დაუგო.

დღევანდელი გადასახედიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბერია თითქოს საკუთარ თავს ებრძოდა. მართლაც, ყველა სერიოზული პიროვნება, რომელიც მის კადრად ითვლებოდა, ლავრენტიმ დააქვეითა ან მიმართულება შეუცვალა! ეს ეხებათ **ვსევოლოდ მერკულოვს, ვლადიმერ დეკანოზიშვილს, სერგო გოგლიძეს, მიხეილ გვიშიანს...** იბადება კითხვა — რატომ? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — იმიტომ, რომ „მეგრელთა საქმის" მსვლელობის დროს თითოეული ზემოხსენებული პიროვნება, მინიმუმ, დუმდა და ამ სამარცხვინო საქმეს არ აპროტესტებდა! არადა, ამ დროს ბერიამ ციხიდან გამოუშვა „მეგრელთა საქმის" გამო დაპატიმრებული **ალექსანდრე მირცხულავა,** რომელიც საქართველოს ცეკას პირველ მდივნად დანიშნა; ასევე გაათავისუფლა **მიხეილ ბარამია,** რომელსაც ბოლომდე ენდობოდა; იგივე ეხება **პეტრე შარიასაც** და ასე შეწყდა „მეგრელთა საქმე"...

ბერიას დაცვის ერთ-ერთმა წევრმა **ოთარ ჩაჩიბაიამ** მითხრა — 1953 წელს ლავრენტიმ პირად დაცვაში მხოლოდ იმ ჩეკისტების შვილები აიყვანა, რომლებიც „მეგრელთა საქმის" გამო ტყუილუბრალოდ გაწირეს და ყველანი სამეგრელოდან იყვნენო! მოკლედ, ბერიას ბანაკში აღმოჩნდა ის ხალხი, რომელიც **ნიკოლოზ რუხაძის, ვლადიმერ დეკანოზოვის, ვსევოლოდ მერკულოვის, სერგო გოგლიძის, მიხეილ გვიშიანისა** და სხვა გავლენიანი ქართველების მტერი იყო. აქედან გამომდინარე, ის ადამიანები, რომლებსაც ბერიას წინააღმდეგ მოქმედი **სერგეი კრუგლოვი და ივან სეროვი, ნიკიტა ხრუშჩოვი და გიორგი მალენკოვი** უნდა გაენეიტრალებინათ, ლავრენტიმ ჩამოიშორა და მხოლოდ „მეგრელთა საქმის" მსხვერპლთ ენდობოდა! შესაბამისად, ისინი, რომლებიც „მეგრელთა საქმის" ინსპირატორები იყვნენ, ელოდებოდნენ საშინელ შურისძიებას და ჰქონდათ განცდა, რომ მათ თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა. **ამიტომ ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ 1953 წლის ივნისში ბერიას განადგურება შესაძლოა, „მეგრელთა საქმის" ინსპირატორებსა და ფიგურანტებს, მათ შორის, ქართველ ჩეკისტებსაც გაუხარდათ, რადგან პოლიტბიუროშიც და საქართველოს ცეკაშიც ხმები დადიოდა — ბერიას რომ დასცლოდა, ყველას გაანადგურებდაო!** ეს ხმები არ იყო უსაფუძვლო... აბა, გავიხსენოთ, რას ეძღვნებოდა 1953 წლის 26 ივნისს დანიშნული პრეზიდიუმის სხდომა? ცხადია, საბჭოთა კავშირის უშიშროების ყოფილი მინისტრის **სემიონ იგნატიევის** ცეკას შემადგენლობიდან გაგდებას და დაპატიმრებას, რასაც ბერია კატეგორიულად მოითხოვდა. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ იგნატიევის მოადგილე **მიხეილ რიუმინი** და საქართველოს უშიშროების მინისტრი **ნიკოლოზ რუხაძე,** რომელმაც „მეგრელთა საქმე" აღძრა, უკვე დაპატიმრებული იყვნენ...

## რუხაძის დაპატიმრება უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ „მეგრელთა საქმესთან" სტალინს არავითარი კავშირი არ ჰქონდა და ბელადი გადატანილი ინსულტის შემდეგ გონს მოვიდა თუ არა, მაშინვე დაინახა, რომ გიორგი მალენკოვი „მეგრელთა საქმით" ბერიას კი არა, მთელ საქართველოს ებრძოდა და ანტიქართულ ისტერიას აღვივებდა.

**— ვსევოლოდ მერკულოვმა ბერიას შესახებ, მგონი, დახვრეტის წინ საინტერესო რამ თქვა!**

— **ვსევოლოდ მერკულოვის** დედა იყო ულამაზესი ქართველი არისტოკრატი **ქეთევან წინამძღვრიშვილი,** ხოლო მამა — რუსი ოფიცერი, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამოჩენილი მამაცობისთვის წმინდა სტანისლავის სახელობის ორდენით დააჯილდოვეს. 1941 წლის 3 თებერვლიდან 1946 წლის 15 მარტამდე, მთელი დიდი სამამულო ომის განმავლობაში, **მერკულოვი** სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი, ანუ მინისტრი იყო. იგი გახლდათ ძალიან განათლებული კაცი, შესანიშნავი მწერალი, მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა საბჭოთა კავშირის თეატრების სცენაზე. 1950 წლის 27 ოქტომბრიდან 1953 წლის 22 მაისამდე **მერკულოვი** სახელმწიფო კონტროლის თავმჯდომარე იყო. მიუხედავად ამისა, 1953 წლის მარტში ის ლავრენტი ბერიას ეახლა თხოვნით — **თუნდაც დაბალ თანამდებობაზე გადამიყვანე, მაგრამ შენთან მამუშავეო!** ბერიამ მეგობარს თხოვნაზე კატეგორიული უარი უთხრა, რაც იყო გამოუსწორებელი შეცდომა, რადგან მისნაირი ერთგული ძმაკაცი არ ჰყავდა...

1953 წლის 23 დეკემბერს ულამაზესი და უნიჭიერესი **ვსევოლოდ მერკულოვი** „ბერიას საქმეზე" დახვრიტეს, ხოლო მისი ოჯახი და მოხუცი დედა **ქეთევან წინამძღვრიშვილი** ყაზახეთში გადაასახლეს! დახვრეტის წის მერკულოვმა მისცა ჩვენება, სადაც განაცხადა — როგორც ჩანს, იმ სქემაში, რომლის საშუალებითაც ბერია ხელისუფლებაში უნდა მოსულიყო, ჩემი ადგილი აღარ იყო! აქედან დასკვნა — **თუ ბერიას საბჭოთა კავშირში მისი უახლოესი მეგობრის ვსევოლოდ მერკულოვის ადგილი აღარ იყო, რომელიც 1950-1953 წლებში უშიშროებაში საერთოდ აღარ მუშაობდა და არც „მეგრელთა საქმესთან" ჰქონია რამე შეხება, ბუნებრივია, იქ ველარ იქნებოდა ვერც სერგო გოგლიძის, ვერც ვლადიმერ დეკანოზიშვილის, ვერც მიხეილ გვიშიანისა და ვერც ივან სეროვისა და სერგეი კრუგლოვის ადგილი.** აღარაფერს ვამბობთ, **გიორგი მალენკოვის** შესახებ, რომელიც ბერიას დაუძინებელი მტერი იყო და „მეგრელთა საქმე" სწორედ მან „შემოაგდო"... ამიტომაც ვაცხადებ:

„მეგრელთა საქმე" იყო ძალიან ვერაგი კაცის მოფიქრებული, რომელმაც გააპო ქართული უშიშროება, გააპო ქართული პოლიტიკური ელიტა, ბერიას შესძინა მტრები, ჩამოაშორა ძველი მეგობრები და დატოვა დაუცველი!

**— ჩვენ, ალბათ, უფრო მეტი უნდა ვისაუბროთ ვლადიმერ დეკანოზიშვილის შესახებ, რომელიც, მერკულოვის მსგავსად, 1953 წლის 23 დეკემბერს „ბერიას საქმის" გამო დახვრიტეს და დღემდე რეაბილიტირებული არ არის!**

— **ვლადიმერ დეკანოზიშვილის** პერსონას ლავრენტი ბერიას მიერ დაშვებულ საკვანძო მნიშვნელობის შეცდომებში გამორჩეული ადგილი უჭირავს. მამამისი გახლდათ ძალიან წარმატებული ბიზნესმენი, რომელიც ბაქოში მოღვაწეობდა და ეკუთვნოდა თავადაზნაურულ წრეს. **ვლადიმერ დეკანოზიშვილი** 1936 წლამდე უკვე იყო საქართველოს ერთ-ერთი ცეკას მდივანი და ცეკას ბიუროს წევრი. 1937-1938 წლების რეპრესიებში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და



ლავრენტი ბერია

## ისტორიკოსის თვალით



ნიკოლოზ რუხაძე

## „უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრეტილი ყველა პირი, რომელიც „ბერიას საქმეს" შეეწირა, ლავრენტის ან ჩამოშორებული, ანდა დაქვეითებული ჰყავდა!"

## „ბერიას დაცვის ერთ-ერთმა წევრმა ოთარ ჩაჩიბაიამ მითხრა – 1953 წელს ლავრენტიმ პირად დაცვაში მხოლოდ იმ ჩეკისტების შვილები აიყვანა, რომლებიც „მეგრელთა საქმის“ გამო ტყუილუბრალოდ გაწირეს და ყველანი სამეგრელოდან იყვნენო!“

ხმები იმის შესახებ, თითქოს **დეკანოზოვი** შედიოდა „ტროიკაში“, რომელიც ხალხს ხვრეტდა, სისულელეა.

1938 წელს, როცა ბერია მოსკოვში გადაიყვანეს, **დეკანოზოვი** დაინიშნა „ენკავედეს“ მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსად და საბჭოთა კავშირის კონტრდაზვერვის შეფად. ბერიას მინისტრობის დროს ის გახდა მთელი საბჭოთა დაზვერვის შეფი და საკავშირო ცეკას წევრობის კანდიდატი. მთელი 1939 წლის განმავლობაში **ნიკოლაი ეჟოვისა** და მისი ჯალათების წინააღმდეგ პროცესებს სწორედ **დეკანოზიშვილი** უძღვებოდა. მოგეხსენებათ, როგორც კი ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის „ენკავედეს“ ბოსი გახდა, ციხეებიდან გამოუშვა დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი. ეს იყო „ეჟოვშჩინას“ დროს ნაწამები და გაუბედურებული ხალხი. ვინც უამრავი ადამიანი ტანჯა, სწორედ იმათი გამსამართლებელი და მამხილებელი ვლადიმერ დეკანოზიშვილი იყო. მოგეხსენებათ, 1937 წლის ზაფხულიდან 1938 წლის შემოდგომამდე საბჭოთა კავშირში მძვინვარებდა „ეჟოვშჩინა“, როცა ნიკოლაი ეჟოვმა ტოტალური რეპრესიების ფონზე სტალინს კინაღამ გადატრიალება მოუწყო! ერთი სიტყვით, **ვლადიმერ დეკანოზიშვილი** კოლოსალური გამოცდილების პიროვნება იყო, რომელიც 1940 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის **ვიაჩესლავ მოლოტოვის** მოადგილე გახდა...

**— პარალელურად დეკანოზიშვილი საბჭოთა კავშირის ელჩი იყო ფაშისტურ გერმანიაში!**

— დიახ, **დეკანოზოვი** პირადად სტალინმა დანიშნა ფაშისტურ გერმანიაში საბჭოთა კავშირის ელჩად, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაც შეუნარჩუნა, ანუ დეკანოზიშვილს ყველაზე სტრატეგიული მიმართულება ჩააბარეს და ურთიერთობის დალაგება მიანდეს იმ ქვეყანასთან, რომელმაც 1939 წლის 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომი წამოიწყო და დღე-დღეზე საბჭოთა კავშირსაც მოადგებოდა თავისი არმადით.

**— დეკანოზოვი რომ პირადად სტალინის კადრი იყო, ეს ფაქტი 1941 წლის 1 მაისის დემონსტრაციაზეც დადასტურდა, როცა ბელადმა ის ბერლინიდან მოსკოვში საგანგებოდ იმისთვის ჩამოიყვანა, რომ პარადის მსვლელობისას ტრიბუნაზე თავის გვერდით დაეყენებინა და ამით ჰიტლერისთვის პირდაპირ მიენიშნებინა — დეკანოზოვის მეშვეობით გერმანიის ზრახვების შესახებ ყველაფერი ვიციო...**

— ცხადია, სწორედ ასე იყო... უფრო მეტიც, **ვლადიმერ დეკანოზიშვილის** ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1941 წლის მაის-ივნისში ის ამაოდ ითხოვდა ჰიტლერთან შეხვედრას, რადგან საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის ურთიერთობაში 180 უხეში ფაქტი დაფიქსირდა. ჰიტლერი დეკანოზიშვილს მაშინ არ შეხვდა, თუმცა, 1941 წლის 22 ივნისს, დილის 04:00 საათზე, როცა ომი იწყებოდა, **ვლადიმერ დეკანოზიშვილი** სასწრაფოდ გამოიძახეს ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ **იოახიმ ფონ რიბენტროპთან,** რომელმაც მას ომის გამოცხადების ნოტა გადასცა და განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირი უხეშად არღვევდა გერმანიასთან გაფორმებული ე.წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით გათვალისწინებული შეთანხმების პუნქტებს.

**ვლადიმერ დეკანოზიშვილი** რიბენტროპს არათუ შეეპასუხა, არამედ ფაშისტური გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო და სულ ბოდიშები ახდევინა... ყველაზე მთავარი ის გახლდათ, რომ ფაშისტური გერმანიის ვიცე-კანცლერი **რიბენტროპი** დეკანოზიშვილის პრეტენზიებს ეთანხმებოდა და სულ რევერანსებითა და დანანებით საუბრობდა იმის შესახებ, რომ ამ საშინელი ომის გაჩაღების წინააღმდეგი იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირთან დაპირისპირების თავიდან აცილება ვერ შეძლო!



ვლადიმერ დეკანოზიშვილი (დეკანოზოვი)

„გერმანიაში საბჭოთა კავშირის ელჩობასთან და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეობასთან ერთად დეკანოზიშვილი 1940 წელს კურატორობას უწევდა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში ახალი მთავრობების ფორმირებას, არჩევნების ჩატარებას და შემდეგ სამივე რესპუბლიკის საბჭოთა კავშირში გაერთიანებას!“

არ დაგვავიწყდეს, რომ ვლადიმერ დეკანოზიშვილი ხელმძღვანელობდა კიდევ ერთ სტრატეგიულ მიმართულებას — ბალტიისპირეთისა და ლიეტუვის გაერთიანებას საბჭოთა კავშირში. მოგეხსენებათ, მარშალ **იოსეფ პილსუდსკის** ვილნიუსი დაკავებული ჰქონდა. პოლონეთის დამარცხების შემდეგ ეს ტერიტორიები გათავისუფლდა. მოკლედ, გერმანიაში საბჭოთა კავშირის ელჩობასთან და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეობასთან ერთად **დეკანოზიშვილი** 1940 წელს კურატორობას უწევდა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში ახალი მთავრობების ფორმირებას, არჩევნების ჩატარებას და შემდეგ სამივე რესპუბლიკის საბჭოთა კავშირში გაერთიანებას.

**— დეკანოზიშვილს შთამომავლობა დარჩა?**

— დიახ, მის ვაჟს ცოლად ჰყავდა აკადემიკოს **პეტრე შარიას** ქალიშვილი. დეკანოზიშვილის შვილიშვილი გახლავთ ჟურნალისტი **ჟოლა თევდორაძე,** რომელსაც ახლოს ვიცნობ... ომის დაწყების შემდეგ დეკანოზიშვილი გაცვალეს გერმანიის ელჩზე საბჭოთა კავშირში **ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგზე,** რომელიც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახლდათ და ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირთან ომს. მოგეხსენებათ, **შულენბურგი** 1944 წლის 20 ივლისის იმ შეთქმულების მონაწილე იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ჰიტლერის მოკვლას. შულენბურგი სწორედ ამის გამო დააპატიმრეს და 1944 წლის ნოემბერში დახვრიტეს.

1947 წლამდე **დეკანოზიშვილი** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ რჩებოდა, ხოლო 1943 წელს ხელმძღვანელობდა იმ კომისიას, რომელმაც „მგიმოს“ პირველი ნაკადის მსმენელები — **რეზო თაბუკაშვილი, მელორ სტურუა** და სხვა ცნობილი პიროვნებები შეაგროვა. 1947-1949 წლებში დეკანოზოვი ვსევოლოდ მერკულოვთან ერთად ხელმძღვანელობდა იმ კომისიას, რომელსაც დამარცხებული გერმანიისთვის დაწესებული რეპარაციები უნდა შეედგინა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 1941 წლიდან 1952 წლის ოქტომბრამდე **დეკანოზოვი** რჩებოდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას წევრად... აი, ასეთი გავლენების მქონე ადამიანი, ასეთი იშვიათი თვისებებისა და გამოცდილების მქონე ზეპროფესიონალი 1949 წელს ნელნელა გავიდა აქტიური პოლიტიკური ავანსცენიდან და მხოლოდ ფორმალურად დარჩა პოლიტიკაში, როცა ბულგარეთთან ურთიერთობის რაღაც ჯგუფს ჩაუდგა სათავეში.



გიორგი მალენკოვი

**— რა იყო ვლადიმერ დეკანოზიშვილის წასვლის მიზეზი?**

— მიზეზი ერთი იყო —

**დაიწყო სტალინის ინსულტების პერიოდი, როცა ბელადი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და გიორგი მალენკოვი და მისი ხროვა ნელ-ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად ცდილობდნენ, უმაღლეს ეშელონებში თავიანთი გავლენები მოეპოვებინათ.**

მოგეხსენებათ, სწორედ 1949 წელს აგორდა **„ლენინგრადის საქმე“,** დაიწყო დიდი განხეთქილება პარტიაში და ა.შ. აი, ასეთი ბრწყინვალე კადრი, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების რეალური მენეჯერი გახლდათ და **მოლოტოვზე** ათი თავით მაღლა იდგა, ბერიამ მოსკოვიდან თბილისში გადმოისროლა და 1953 წლის 15 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა. კაცი, რომელიც რეალურად ხელმძღვანელობდა მთელ საბჭოთა დაზვერვას, პირდაპირ პასუხისმგებელი იყო სტალინის წინაშე, ჰქონდა სამეურნეო და საგეგმო საქმიანობის პრაქტიკა, პირადად ხელმძღვანელობდა მთელი ევროპის კომუნისტურ მოძრაობებთან ურთიერთობას, ჯალათებისგან გაწმინდა მთელი საბჭოთა კავშირი და ნიჭიერი კადრებისგან დააკომპლექტა „მგიმოს“ პირველი ნაკადი, **ლავრენტი ბერიამ** 1953 წელს აქტიურ პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ დააბრუნა, მაგრამ დააბრუნა არა კრემლში, არამედ გადმოისროლა პერიფერიაში, თბილისში, საიდანაც ის ვერავითარ პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიდა.

**დეკანოზოვი,** რომელსაც გერმანელ კომუნისტებთან უნდა დაელაგებინა ურთიერთობა, რათა 1953 წლის მაის-ივნისში ცნობილი პროცესები არ განვითარებულიყო, ავტომატურად ჩაანაცვლა კრემლში მყოფმა ნაძირალა **მიხეილ სუსლოვმა,** რომელიც ბერიამ პოლიტბიუროდან გამოიყვანა, მაგრამ ცეკას მდივნად დატოვა.

**— საბოლოო ჯამში, რას იტყვით ბერიას, როგორც პოლიტიკოსის შესახებ?**

— აშკარაა, რომ ბერია გენიალური შემსრულებელი იყო, მაგრამ, როგორც ბრძანების გამცემი ლიდერი, სუსტი აღმოჩნდა! მას არ აღმოაჩნდა მასშტაბური სახელმწიფოებრივი ხედვა და სწორად ვერ შეარჩია კადრები, რაც ყოველთვის იყო სტალინის კოზირი. **ფიგურალურად თუ ვიტყვით, ბერია გენიალური იყო მანამ, სანამ სტალინი ცოცხლობდა!** უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრეტილი ყველა პირი, რომელიც „ბერიას საქმეს“ შეეწირა, ლავრენტის ან ჩამოშორებული, ანდა დაქვეითებული ჰყავდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „ვლადიმერ დეკანოზიშვილის პერსონას ლავრენტი ბერიას მიერ დაშვებულ საკვანძო მნიშვნელობის შეცდომებში გამორჩეული ადგილი უჭირავს!“

***საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ კიდევ შარშან გამოცხადებული მასშტაბური პროექტი, რომელიც წყალტუბოს რეაბილიტაციასა და ერთ დროს სახელგანთქმული კურორტისათვის ძველი დიდების დაბრუნებას გულისხმობს, თანდათან იკრებს ძალას.*** *მთავრობის კონცეფცია წყალტუბოს აღორძინებაში 500 მილიონი ლარის კერძო ინვესტიციის ჩადებას გულისხმობს და ამ მიზნით, ეკონომიკის სამინისტრო კერძო სექტორთან აქტიურად მუშაობს.* ***აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს, როგორც კურორტის, განვითარება 70 წლის წინათაც აქტუალური იყო, რასაც იმდროინდელი ქართული საბჭოთა პრესაც უბამდა ფეხს და, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, წყალტუბოს სერიოზულად აპიარებდა.*** *70 წლის წინათ, 1953 წელს, რეაბილიტირებულმა წყალტუბომ ქალაქისა და საკავშირო მნიშვნელობის კურორტის სტატუსი მიიღო.* ***იმავე წელს წყალტუბოს მეორედ ესტუმრა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომელმაც 2 წლით ადრე, 1951 წელს, წყალტუბოში არამხოლოდ დაისვენა, არამედ იმკურნალა კიდეც.*** *საქართველოს დამსახურებული ექიმი* ***ამბროსი კირტავა*** *(1903-1983) რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კურორტ წყალტუბოს ბალნეოლოგიურ სამსახურს.* ***1951 წელს იგი დაინიშნა ახალაშენებული № 6 სააბაზანოს მთავარ ექიმად, რომელშიც იმავე წელს იმკურნალა იოსებ სტალინმა.*** *ვფიქრობთ,* ***ამბროსი კირტავას*** *მოგონებები მკითხველს ბევრ უცნობ ინფორმაციას მიაწვდის.*



# ამბროსი კირტავა
# სტალინი

***მას შემდეგ, რაც სტალინი წყალტუბოში ისვენებდა, დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მასზე ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა და დაიწერა. სტალინის პიროვნების შესწავლისათვის ყოველ წვრილმანს ექნება მნიშვნელობა. წყალტუბოში მისი სტუმრობის შესახებ კი თითქმის არაფერია თქმული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე იაკოვლევის წიგნში „ცხოვრების მიზანი“ აღნიშნულ ფაქტს, რომ სტალინისათვის წყალტუბოში გაზეთები და ფოსტა უნდა ჩამოეტანათ, მის მიერ შექმნილ იაკ-12 თვითმფრინავით, რომელსაც 50 მეტრის სიგრძის ბილიკზე შეეძლო დაჯდომა.***

ვფიქრობ, სტალინის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი მომავალშიც მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას. გარდა ამისა, ის ხომ ისეთი ქართველი იყო, რომელიც მაინცდამაინც არ ანებივრებდა მშობელ ხალხს თავისი სტუმრობით და, ალბათ, არ უნდა დარჩეს ასახვის გარეშე მისი წყალტუბოში მკურნალობის ფაქტიც.

სტალინს წყალტუბოში პირველად 1931 წლის სექტემბერში უმკურნალეს, მაშინ მას უცხოვრია იმ შენობაში, რომელშიც ამჟამად ბავშვთა სანატორიუმია. **ცნობილია, რომ ბავშვობის პერიოდში პატარა სოსო ეტლს დაეჯახა და მარცხენა მკლავი დაუზიანდა. ეს ტრავმა შემდგომში ხშირად იწვევდა კიდურის სახსრის ყრუ ტკივილს.**

წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა **ლავრენტი ბერიამ.** შესაძლებელია ყოველივე ეს გაგონილი ჰქონდა სტალინსაც და როდესაც მედიკამენტური საშუალებებით მკურნალობის საქმეში დადებით შედეგს ვერ მიაღწიეს, **ბერიამ სტალინს წყალტუბოში მკურნალობა ურჩია, რაც მას, ალბათ, ბელადზე ზრუნვაშიც კი ჩაეთვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1931 წელს, სტალინის წყალტუბოში მკურნალობიდან ერთი თვის შემდეგ, ბერია 31 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა.**

წყალტუბოში სამკურნალოდ და დასასვენებლად ხშირად ჩამოდიოდა ბერიას მეუღლე **ნინა გეგეჭკორი.** ჩვენ ერთმანეთს ბავშვობიდანვე ვიცნობდით, რადგან მარტვილში ოთხწლიან სკოლაში ერთად ვსწავლობდით და შემდგომ, მისი წყალტუბოში მკურნალობის დროს ხშირად ვხვდებოდით. **ერთხელ ნინამ საუბარში მითხრა, რომ სტალინს წყალტუბოში მკურნალობა თავიდანვე ლავრენტიმ ურჩიაო.**

როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა სტალინისათვის კურორტ წყალტუბოს განაპირას **სოფელ გვიშტიბის** საზღვარზე, ოცდაათიან წლებში პატარა სახლის აგება, რომელსაც შემდგომში სახელმწიფო აგარაკი უწოდეს. ამ აგარაკის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, აქვე ცხოვრობდა და აგარაკს პატრონობდა ლავრენტი ბერიასთან დაახლოებული პიროვნება **ვარდენ ჩიქოვანი,** რომელიც აქ კურორტ გაგრიდან გადმოუყვანიათ. მომდევნო წლებში ვარდენი კურორტ წყალტუბოს სამმართველოს უფროსი გახდა.

აგარაკს სტალინის სახელს უკავშირებდნენ, თორემ სინამდვილეში იგი **ლავრენტის** უფრო ეკუთვნოდა. აქ ყოველთვის რამდენიმე გლეხი მუშაობდა. ჰყავდათ მსხვილფეხა საქონელი, ცხენები, ეწეოდნენ მეურნეობას და მოსკოვში გზავნიდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. **ნინა გეგეჭკორიც** თავისი თანმხლები პირებით წყალტუბოში ყოფნის დროს ხშირად ამ აგარაკზე ცხოვრობდა. ვარდენის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი საქმისათვის თავდადებული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული კაცი იყო. მას კლასიკური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ კარგად ერკვეოდა საკურორტო საქმიანობაში და მედიცინაშიც ავლენდა საკმაო ცოდნას.

**1949 წლის დასაწყისში, ვმუშაობდი რა კურორტის სააბაზანოების გაერთიანების მთავარ ექიმად, ვარდენმა მაცნობა, რომ შემოდგომისთვის ველოდებით დიდი თანამდებობის სტუმარს და ამისათვის სასწრაფოდ საჭიროა № 3 სააბაზანოს მივაშენოთ ორი საბაზანო კაბინა თავისი მისაღებით.**

მშენებლობა სწრაფი ტემპით წარიმართა და მალე უკვე მზად იყო კომფორტაბელურად მოწყობილი, მარმარილოთი მოპირკეთებული სააბაზანო, რომელსაც ლუქსი ვუწოდეთ. სექტემბერში წყალტუბოს ესტუმრა **ლაზარე მოსეს ძე კაგანოვიჩი,** რომელმაც იმკურნალა ამ ლუქსში. კაგანოვიჩი სალმიანი და ძალზე თავისუფალი კაცი აღმოჩნდა. **იგი ხშირად მესაუბრებოდა კურორტის საჭირბოროტო საკითხებზე, მისი განვითარების პერსპექტივაზე. ჰქონდა შეხვედრები ვარდენ ჩიქოვანთანაც.** წასვლის წინ მან კურორტის ხელმძღვანელობას აღუთქვა დახმარება, ახალი სააბაზანოსა და სასტუმროს მშენებლობის საკითხის მთავრობაში დასმის შესახებ.

დეკემბერში მოსკოვში ვიყავი კურორტოლოგთა საკავშირო შეკრებაზე. ჩამოვიდა ვარდენი, მომძებნა და მითხრა: **„გამომიძახეს, ჩამოტანილი მაქვს ახალი სააბაზანოს და სასტუმროს პროექტები. ამ საღამოს ჯანმრთელობის მინისტრთან უნდა შევიდე. შენც წამოდი, შეიძლება საჭირო გახდე“.**

ასეც მოვიქეცით; სამინისტროში გაირკვა, რომ საჭიროა პროექტების გაცნობა სტალინისათვის, მისი რეზოლუცია, მშენებლობის ვადების დადგენა და ასიგნებათა საკითხის გადაწყვეტა.

ვარდენი მოსკოვში კარგა ხანს დარჩა, ხოლო როდესაც წყალტუბოში დაბრუნდა, თან ჩამოიტანა სტალინის მიერ ხელმოწერილი პროექტები. **სტალინის სტუმრობის შემდეგ, კაგანოჩივის მორიგი მკურნალობის დროს, მისგან შევიტყვე, რომ მან არ ჩათვალა № 3 სააბაზანოს მინაშენი ლუქსი სტალინის მკურნალობისათვის შესაფერის ობიექტად და ამიტომ მოსკოვში დასვა საკითხი ახალი სააბაზანოსა და სასტუმროს მშენებლობის შესახებ. ყოველივე ამან სტალინის ჩამოსვლა წყალტუბოში ორი წლით გადადო.**

ხშირად მიფიქრია, თუ რამ განაპირობა სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში სტალინის წყალტუბოში მკურნალობის აუცილებლობა. **ჩემი აზრით, მოხუცებულობაში მას უმატა სახსრების ტკივილმა, რადგან სტალინი თამბაქოსაც ხშირად ეწეოდა, თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს შენობაში — კაბინეტში ატარებდა. ვარჯიში, ფიზიკური დატვირთვა ალბათ არ უხერხდებოდა ან მხოლოდ გასეირნებით კმაყოფილდებოდა;** ასევე ცნობილია, რომ სტალინი მედიცინის მიმართ მაინცდამაინც სიმპათიით არ იყო განწყობილი; უფრო სახალხო მედიცინას სცემდა პატივს, აგრეთვე ასაკობრივი ცვლილებების გამო უთუოდ იქნებოდა დაავადებული **ათეროსკლეროზით,** რაც გამოიწვევდა სისხლის მიმოქცევის შესუსტებას და ჟანგბადით ორგანიზმის კვების დაქვეითებას. **ტყუილად კი არ ფიქრობენ, რომ გარდაცვალების წინ ტვინში სისხლის ჩაქცევა შეიძლება გამოიწვია წინა საღამოს ცხელი წყლის აბაზანის მიღებამ, რასაც იგი ხშირად მიმართავდა, როდესაც შეუძლოდ იყო.**

შეიძლება, ბოლო ხანებში სტალინი შეიპყრო ნოსტალგიამ, რადგან ცნობილია, რომ ამავე პერიოდში გარდა წყალტუბოსა და ბორჯომისა, მან ზღვის სანაპიროზე დასვენების დროს მიიღო და რამდენიმე დღე თავისთან სტუმრად ჰყავდა **კანდიდ ჩარკვიანი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სპარტაკ ბაღაშვილი** და სხვები.

1950 წლის იანვარში წყალტუბოში ჩამოიყვანეს მშენებელთა უზარმაზარი არმია 4 ათასი კაცის შემადგენლობით. მშენებლობას უძღვებოდა **შალვა მაისურაძე.** ვმუშაობდი რა ამ დროს სააბაზანოების გაერთიანების მთავარ ექიმად, **დამევალა, ახალი № 6 სააბაზანოს მშენებლებისათვის გამეწია კონსულტაცია პროექტში პრაქტიკული ცვლილებების ან საჭირო გაუმჯობესების შეტანის მიზნით. მართლაც, მშენებლებმა ჩვენი მრავალი წინადადება მიიღეს და განახორციელეს.**

ისინი მუშაობდნენ სამ ცვლად და დეკემბერში სააბაზანო მიიღო სახელმწიფო კომისიამ, რომლის შემადგენლობაში მეც შევდიოდი. შედგა დასამთავრებელ სამუშაოთა სია, რაც მშენებლებმა პირნათლად შეასრულეს. აგრეთვე დასრულდა ხუთსართულიანი სასტუმრო „თბილისის“ მშენებლობა.

**1951 წლის მაისში № 6 სააბაზანო ექსპლოატაციაში შევიდა. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით იგი დანარჩენი სააბაზანოებიდან დამოუკიდებელ ობიექტად დამტკიცდა და მის მთავარ ექიმად მე განმაწესეს და პერსონალური ხელფასი დამინიშნეს.**

№ 6 სააბაზანო წარმოადგენს უაღრესად თანამედროვე, არქიტექტურულად სრულყოფილ, ლამაზ და მდიდრულად გაფორმებულ ნაგებობას. იგი მოიცავს სამ დიდ აუზს. 50 ინდივიდუალურ სააბაზანო კაბინას და მრავალ სამკურნალო კაბინეტს. შენობის კედლები, მთავარი შესასვლელის ვესტიბიულის სვეტები მოპირკეთებულია ბუნებრივი და ხელოვნური მარმარილოთი, აუზებში დაგებულია მოზაიკა, კარ-ფანჯრები დამზადებულია ძვირფასი ჯიშის ხის მერქნისაგან; გამოყენებულია ფერადი მინა, გრანიტი, დადგმულია უცხო ლამპიონები, მდიდრული ავეჯი. შენობის მთავარ სვეტებიან შესასვლელს გარედან აქვს ბარელიეფი, რომელზეც გამოსახულია სტალინთან მშრომელების შეხვედრის ეპიზოდი.

**1951 წლის ივნისში კურორტის ხელმძღვანელებისათვის უკვე ცნობილი გახდა, რომ სტალინი მალე ჩამოვიდოდა წყალტუბოში. ეს იმითაც ვიგრძენით, რომ მთელი პერსონალი შეგვამოწმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა.**

რამდენიმე თანამშრომელი გადაიყვანეს სხვა სააბაზანოში. პირადად მე თავაზიანად დამეკითხნენ, რა ურთიერთობა გაქვთ ამა და ამ პიროვნებებთანო. ჭეშმარიტების დადგენის შემდეგ, მშვიდობიანად დამშორდნენ. შემდეგ გვესტუმრა ექიმთა ჯგუფი მოსკოვიდან. მათთან წარმადგინა კურორტის უფროსმა **ვარდენ ჩიქოვანმა.** ურთიერთგაცნობისა და მცირედი საუბრის შემდეგ სტუმრებმა რიგრიგობით დამისვეს შეკითხვები: თუ რა დაავადებების დროს იძლევა წყალტუბო უარყოფით ჩვენებებს. მისახელებდნენ ადამიანის ორგანოებს და მეკითხებოდნენ, თუ როგორ მოქმედებს მათზე წყალტუბოს წყლები, მიზანშეწონილია თუ არა წყალტუბოში მკურნალობის შემდეგ ზღვის აბაზანები და სხვა. **გაკვრით დამისვეს კითხვა აბაზანების ზემოქმედების შესახებ მაღალ არტერიულ წნევაზე. მე მოკლედ ვუპასუხე, რომ ფრთხილი მიდგომაა საჭირო.** მაშინ ერთ-ერთმა სტუმარმა განმიმარტა: **ეს, რა თქმა უნდა, სტალინს არ ეხება, მაგრამ ჩვენ მე-4 სამმართველოს ექიმები, უნდა გავერკვეთ, რომ ვიცოდეთ, მომავალში ვის ვურჩიოთ წყალტუბოში მკურნალობა.** ამიტომ გთხოვთ, უფრო ფართოდ გაგვიშუქოთ, რას ურჩევთ მაღალი წნევის მატარებელ ავადმყოფებს, თუ მათი მკურნალობა წყალტუბოში სხვა მხრივ აუცილებელიაო. მე ვუპასუხე, რომ ასეთ დროს ვიყენებთ ოთხკამერიან აბაზანებს, როდესაც მხოლოდ კიდურებზე ვაღებინებთ წყლის პროცედურებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბაზანებს კაბინაში ან აუზში ვუნიშნავთ, ვაფრთხილებთ, რომ წყლის ზემოთ დაიჭირონ გულის არე. ვაკვირდებით აბაზანის მიღების წინ და შემდგომ წნევის ცვალებადობას. საჭიროების შემთხვევაში, ვამცირებთ პროცე-




*„წყალტუბოში მკურნალობამ სტალინზე რომ კარგად იმოქმედა, ყველაზე მეტად იქიდან ჩანდა, რომ მისი მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, წყალტუბოში ზედიზედ იწყეს ჩამოსვლა მთავრობის წარმომადგენლებმა თავიანთი მეუღლეებით“, —* ***წერს ექიმი ამბროსი კირტავა თავის მოგონებაში.*** *და აი, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ზუსტად 70 წლის წინათ, 1953 წლის 7 ივნისს გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს სტატიას, წყალტუბოს, როგორც უნიკალური და უებარი საბჭოთა კურორტის შესახებ.*

## მოსკოვიდან წყალტუბოში მომავალი ქარო...

# წყალტუბოში

დურის ხანგრძლივობას.

საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, დაათვალიერეს № 6 სააბაზანო, მადლობა გადამიხადეს და წავიდნენ. **ამ საუბრის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ სტალინს აწუხებდა მაღალი არტერიული წნევა. იმასაც მივხვდი, რომ სტალინის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება აკრძალული იყო; ახლაც არ მესმის, რად სჭირდებოდათ ასეთი კონსპირაცია.**

აგვისტოს პირველ რიცხვებში წყალტუბოში ჩამოვიდა სტალინი. ქუთაისიდან დამირეკეს, რომ ქალაქში ჩაიქროლეს მთავრობის მანქანებმა. სულ მალე წყალტუბოში რკინიგზის სადგურზე ჩამოდგა სპეციალური მატარებელი. შეიკრიბა ხალხი, მაგრამ სტალინი არ ჩანდა. იგი იმ დროს, თურმე, უკვე აგარაკზე იყო. მატარებელს კი ჩამოჰყვა ორასამდე თანმხლები პირი, მომსახურე პერსონალი და დაცვა. **როგორც შემდგომში გავიგეთ, სტალინი ქუთაისის მახლობლად მატარებლიდან ავტომანქანაში გადამჯდარა. თუმცა, ასე გვითხრეს, თვითმფრინავით ჩამოფრინდა მახლობელ სამხედრო აეროდრომზეო.**

სხვათაშორის, წყალტუბო-ქუთაისის ახალი საავტომობილო გზაც ამ პერიოდში იქნა გაყვანილი, როგორც ჩანს, ესეც სტალინის სტუმრობას უკავშირდებოდა.

იმ წელს საქართველოში ცხელი ზაფხული იდგა. როგორც აღვნიშნე, სახელმწიფო აგარაკი წყალტუბოში სტალინის პირველად ჩამოსვლის შემდეგ აიგო, ამიტომ იგი ამ აგარაკზე პირველად იყო. ძველი, **პატარა სახლის გვერდით ახალიც დაახვედრეს, მაგრამ აუტანელი სიცხის გამო სტალინმა გადაწყვიტა, სანამ სიცხეები იდგა, ბორჯომში დაესვენა.**

ჩვენ წყალტუბოში განვაგრძეთ სამზადისი. კურორტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გადაწყვეტილი გვქონდა, სტალინს ემკურნალა მე-6 სააბაზანოს ჩრდილოეთ მხარეს მდებარე ლუქსში, რომელიც შედგება ერთი აუზის, ერთი სააბაზანო კაბინისა და მისაღები ოთახისაგან; აქვს აგრეთვე იზოლირებული შესასვლელი. ჩვენ ეს მხარე ავირჩიეთ იმ მოსაზრებით, რომ იგი, სამხრეთ ფრთაზე მდებარე ასეთივე ლუქსისაგან განსხვავებით, უფრო სწრაფად ივსებოდა წყლით, რადგან დიდი დიამეტრის მილები, რომლითაც წყალი ბურღილებიდან მოედინებოდა, შენობაში აქეთა მხრიდან შემოდის. წყლის ტემპერატურაც, მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ აქ მეტია, ვიდრე სამხრეთ მხარეს.

**როდესაც სტალინის დაცვის მუშაკებმა № 6 სააბაზანო და მისი შემოგარენი დაათვალიერეს, მათ უსაფრთხოების თუ ხალხთან ნაკლები კონტაქტის მიზნით აირჩიეს სააბაზანოს სამხრეთით მდებარე ლუქსი. მათ თავიანთი მოსაზრება გაამართლეს იმით, რომ ამ მხარეს მისასვლელი გზა ჩიხს წარმოადგენს, ხოლო სააბაზანოს ჩრდილოეთ მხარეს ჩაუდის გზა, რომელიც მას აკავშირებს სხვა სააბაზანოებთან და ხალხმრავალია.**

ჩვენ ავუხსენით, რომ სამხრეთით მდებარე ლუქსის წყლით შევსების დროს გვაქვს შეფერხება დამსვენებელთა პროცედურებზე გატარების საქმეში. დაცვის უფროსმა თავაზიანი ღიმილით გვითხრა — **ისე უნდა გააკეთოთ, რომ დააკმაყოფილოთ ჩვენი თხოვნა და არ დაუშვათ შეფერხება დამსვენებელთა მომსახურებაშიო.** მე ვუპასუხე, რომ ეს მოსახერხებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობას ჩავატარებთ დილით, ისე, რომ აუზის ავსება მოვახდინოთ ბალნეოპროცედურების დაწყებამდე ან საღამოს, პროცედურების დამთავრების შემდეგ. ეს წინადადება მოიწონეს და მიიღეს. გადაწყდა, ან დილით, ან საღამოთი, როგორც თვითონ **სტალინი** ისურვებდა.

**სექტემბრის პირველ რიცხვებში სტალინი ბორჯომიდან წყალტუბოში დაბრუნდა. დაგვირეკეს და გაგვაფრთხილეს, ხვალ დილით, 9 საათზე, გვესტუმრება ბალნეოპროცედურის მისაღებადო.**

დილით, როდესაც დაცვა მოვიდა, ჩვენ უკვე ყოველივე მზადყოფნაში გვქონდა. კურორტის მხრიდან სტალინის მიღება დაგვევალა მე და კურორტის მთავარ ექიმს **დიმიტრი ჩახნაშვილს.** ჩვენთან იყო აგრეთვე მედდა **თამარ რონიშვილი.** დაგვარიგეს, რომ, თუ იქნება შეკითხვები მკურნალობის № 6 სააბაზანოსთან დაკავშირებით, პასუხს გასცემს **ამბროსი ქირტავა,** ხოლო, თუ კითხვა შეეხება საერთოდ კურორტს, მაშინ უპასუხებს **დიმიტრი ჩახნაშვილიო.**

ჩვენ ვიდექით ლუქსის მისაღებ ოთახში, 9 საათს ოდნავ გადასცილდა, **კარი გაიღო და შემოვიდა სტალინი, ხოლო შემდეგ მისი თანმხლები პირები. ჩვენ — მედპერსონალს თეთრი ხალათები გვეცვა. სტალინი ჩვენგან გარკვეულ დისტანციაზე შეჩერდა. თავის დახრით მოგვესალმა და შეგვეკითხა: „საით წავიდე?“ მე ვუპასუხე: „თქვენგან მარცხნივ არის აუზი, ხოლო აქ პატარა სააბაზანო კაბინაა. ორივე მზად არის, თქვენი სურვილით შეგიძლიათ აირჩიოთ“.** სტალინი ოდნავ შებრუნდა და გაეშურა კაბინისაკენ, მას გაჰყვა პატარა ტანის გენერალი **პოსკრებიშევი.** ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთობლივად გავაცილეთ სტუმარი. მის სახეზე შეიმჩნეოდა მხოლოდ სიმშვიდე. გვითხრეს, რომ ხვალაც დილით ამავე დროს მოვიდოდნენ.

მეორე დღეს ოდნავ დაგვიანებით ჩამოვიდნენ, ჩვენ ჩვეულებრივად დავხვდით. **სტალინი ისევ თავის დახრით მოგვესალმა, ჩაილაპარაკა: „ახლა აქ ვნახოთ,“ კაბინის შესასვლელს გვერდი აუარა და აუზისაკენ გაეშურა. აუზში 20 წუთი დაჰყო. ამის შემდეგ ყველა პროცედურა აუზში მიიღო.**

წყალტუბოში აბაზანის მიღების დროს ავადმყოფებს ვურჩევდით, ტანი ისე დაეჭირათ, რომ წყალს მთლიანად დაეფარა სხეული, ხოლო გულის არე წყლის ზედაპირზე მაღლა ამოეწიათ. აუზს აქვს იდაყვის ჩამოსაყრდნობი საფეხური, მაგრამ ამდაგვარ პოზაში ტანის წყალში დაჭერა მთლად მოხერხებული არ არის. **ეტყობა, სტალინს ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გაუჩნდა, მან მოითხოვა დახრილი საზურგე. მეორე დღესვე დავახვედრეთ ხის ერთმანეთზე დაცილებული ღეროებისგან დამზადებული ზურგის მისაყრდნობი. მისივე მოთხოვნით, მოსკოვიდან ჩამოიტანეს თავქვეშ დასადები წითელი ღრუბლის მოზრდილი ნაჭერი.**

მეოთხე დღეს **პოსკრებიშევმა** დამირეკა, რომ დღეს ვერ ჩამოვალთო. შემდგომში ამიხსნეს, ბელადი მოსკოვს ელაპარაკებოდა, დააგვიანდა და, რადგან დანიშნულ დროს გადაუცილდა, სააბაზანოში ჩამოსვლაზე უარი თქვაო.

ჩემი აზრით, **დაგვიანება გამოწვეული იყო წყალტუბოს აბაზანების ძილის მომგვრელი ზემოქმედებით. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, სტალინი ღამით გვიანობამდე მუშაობდა და დილით შედარებით გვიან დგებოდა. როგორც ეტყობა, წყალტუბოს აბაზანებმა იმდენად იმოქმედეს, რომ გვთხოვეს ბალნეოპროცედურების საღამოს საათებში გადატანა.**

სტალინის № 6 სააბაზანოში ყოფნის დროს, გარეთ დაცვის მუშაკები, დამსვენებლების მსგავსად, ხელზე პირსახოცგადადებული დადიოდნენ, ზოგიერთნი გაზონებში დადგმულ სკამებზე ისხდნენ. თუ ვინმე მოისურვებდა სააბაზანოს სამხრეთ შესასვლელისაკენ წამოსვლას, მასთან მივიდოდა ერთ-ერთი მუშაკი და ეტყოდა: **„არ არის საჭირო, ნუ შეაწუხებთ ბელადს, ის ხომ დასასვენებლად ჩამოვიდა.“** სააბაზანოდან წრიულ გზაზე გასასვლელთან და ქ. წულუკიძისაკენ მიმავალი გზის ასახვევში, სადაც ავტომანქანა სიჩქარეს უკლებდა, როგორც გადმომცეს, ხალხი მაინც იკრიბებოდა. იყო, თურმე, შემთხვევები, როდესაც სტალინი ხელის აწევით ესალმებოდა ხალხს და მაშინ იქუხებდა ტაში.

**სტალინმა წყალტუბოში სულ 9 აბაზანა მიიღო. ისმის კითხვა: შეეძლო თუ არა ასეთ ხანმოკლე მკურნალობას რაიმე მნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური ეფექტი მოეხდინა.** ვფიქრობ, რომ — არა, მაგრამ მცირე გაუმჯობესება სისხლძარღვთა სისტემაში, განსაკუთრებით ძილის დარეგულირება, აგრეთვე ფსიქოლოგიური ფაქტორი და სამუშაოდან განტვირთვა, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედებდა.

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ წყალტუბოში ზოგიერთმა მუშაკმა თავს უფლება მისცა, ეამბა, ვითომდა, მასთან საუბრის ეპიზოდები და მის მკურნალობაში თავისი მონაწილეობა დაეკვეხნა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.** ჩვენ, ყველანი, როგორც დამხვდურნი, ისე თანმხლები პირები მოწოდებული ვიყავით, დაგვეცვა სიწყნარე და მკურნალობისთვის შეგვექმნა საუკეთესო პირობები.

**წყალტუბოში მკურნალობამ სტალინზე რომ კარგად იმოქმედა, ყველაზე მეტად იქიდან ჩანდა, რომ მისი მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, წყალტუბოში ზედიზედ იწყეს ჩამოსვლა მთავრობის წარმომადგენლებმა თავიანთი მეუღლეებით.**

**ნინა ბებეჭკორი** თავს მთავრობად არ თვლიდა, მაგრამ ჩვენთვის იგი ერთობ საპატიო სტუმარი იყო. ჩვეულებრივ, ყოველთვის მეუღლის გარეშე ისვენებდა და ტრადიციისათვის არც ახლა უღალატნია. სტალინის გასტუმრების შემდეგ ძალიან მალე გვეწვია.

მოვიკითხეთ ერთმანეთი და მკურნალობა დავუნიშნე. როდესაც ჩვენი თავისუფალი საუბრის გამო თანმხლებ ექიმ **მარღანიას ქალს** გაკვირვება შეატყო, ნინამ აუხსნა: **„მე და ამბროსი გეგეჭკორში ბავშვობის დროს ერთად ვსწავლობდით“.**

მეორე დღეს, აბაზანის მიღების წინ, საუბრის დროს, ნინას შევეკითხე: **„ბელადი როგორ ბრძანდება წყალტუბოში მკურნალობის შემდეგ? თქვენ ახლოს ხართ მასთან და გეცოდინებათ“. „რას იზამს, ზის და იქექება ბებერი,“** — მიპასუხა. მე ამის გამგონეს, ტანში გამაჟრჟოლა. **ამის მოსმენა კი არა, გაფიქრებაც ვერ წარმომედგინა. იმხანად ბევრჯერ მიფიქრია, თუ რატომ მიპასუხა ნინამ ასე, შემდგომში კი ყოველივე ნათელი გახდა!**



**„ამ საუბრის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ სტალინს აწუხებდა მაღალი არტერიული წნევა. იმასაც მივხვდი, რომ სტალინის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება აკრძალული იყო!“**





# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲖᲘᲠᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ★

## ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲘᲬᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ – ЧК, ГПУ, НКВД. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ НКГБ. ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ МВД, МГБ. ᲠᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲥᲛᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ?



ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲫᲔᲠᲟᲘᲜᲡᲙᲘ · ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲛᲔᲜᲟᲘᲜᲡᲙᲘ · ᲰᲔᲜᲠᲘᲮ ᲘᲐᲒᲝᲓᲐ · ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲔᲟᲝᲕᲘ · ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐ

ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲠᲥᲛᲔᲕᲐᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ: **1917 წლის დეკემბერში,** ხელისუფლებაში ბოლშევიკების მისვლისთანავე, ჩამოყალიბდა **ВЧК** (სრულიად რუსეთის ბანდიტიზმთან და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო კომისია). ეს იყო ხელისუფლების დაცვის სამსახური, ისეთივე, როგორც SS — **ჰიტლერულ გერმანიაში.** მას სათავეში **ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲫᲔᲠᲟᲘᲜᲡᲙᲘ** ჩაუდგა, რომელიც ამავე დროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო. **1922 წელს,** სსრკ-ის შექმნის შემდეგ, როდესაც „საგანგებო ზომების" აუცილებლობა მოისპო და ბოლშევიკებმა ძალაუფლება გაიმაგრეს, **ВЧК ГПУ**-დ (მთავარი პოლიტიკური სამმართველო), მოგვიანებით კი **ОГПУ**-დ (გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველო) გადაკეთდა, რომელიც ოფიციალურად საკავშირო შინსახკომთან არსებობდა, ფაქტობრივად კი, დამოუკიდებელი უწყება იყო და შტატებითა და უფლებამოსილებით მნიშვნელოვნად აჭარბებდა **НКВД**-ს. მისი ხელმძღვანელი **ᲯᲔᲠ ᲛᲔᲜᲟᲘᲜᲡᲙᲘ** იყო, მერე — **ᲘᲐᲒᲝᲓᲐ. 1934 წელს, Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ინიციატივით, **ГПУ НКВД**-ს შეერწყა და სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველო დაერქვა. გაერთიანებული უწყების პირველი სახალხო კომისარი **ᲰᲔᲜᲠᲘᲮ ᲘᲐᲒᲝᲓᲐ** იყო. **1936 წელს** იგი **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲔᲟᲝᲕᲛᲐ** შეცვალა. **1938 წლის დეკემბრიდან** სახკომი **ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐ** გახდა.

**1941 წლის 3 თებერვალს** ჩეკისტური უწყება ორ დამოუკიდებელ სახალხო კომისარიატად გაიყო — **НКВД**, რომელსაც უწინდებურად **ᲑᲔᲠᲘᲐ** მართავდა და **НКГБ** (სახელმწიფო უშიშროება), სადაც **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ** ძველი თანამოსაგრე და მოადგილე ვსევოლოდ მერკულოვი დანიშნა.

რა აზრი ჰქონდა ამ გაყოფას? **НКВД**-ს ქვეყნის შიგნით სრული სადამსჯელო და დაცვის ძალაუფლება, ნაწილობრივ კი, დაზვერვაც შეუნარჩუნდა. მაგრამ მსოფლიოში უკვე გიზგიზებდა მეორე მსოფლიო ომის ხანძარი, **„რიბენტროპ-მოლოტოვის" პაქტის და გერმანიასთან ხელშეკრულების შემდეგ უკვე გაიყო პოლონეთი, „გათავისუფლდა" დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია.** მოხდა **ბუკოვინისა** და **ბესარაბიის** ოკუპაცია, გასაბჭოვდა **ლატვია, ლიტვა, ესტონეთი** და ახალ ტერიტორიებზე უზარმაზარი სამუშაო იყო ჩასატარებელი მტრის აგენტურის გასაუვნებლად, საეჭვო და არასაიმედო პირთა დეპორტაციისათვის. გარდა ამისა, **НКВД**-ს საგანგებო სამმართველოს თვალსაჩინო საბჭოთა ხელმძღვანელების დაცვა დაევალა.

თუმცა, **НКГБ**-ს დიდხანს არ უარსებია. **1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერულ გერმანიასთან ომი დაიწყო. და უკვე 20 ივლისს სტალინმა კვლავ გააერთიანა ორი უწყება ერთიან НКВД-ში (სახკომი — ბერია, პირველი მოადგილე — მერკულოვი), რითიც სადამსჯელო, სადაზვერვო და დივერსიული ძალები ერთ მძლავრ მუშტად შეკრა. ჩვენი აზრით, წითელი არმიის პირველი წარუმატებლობისა და უკან დახევის პირობებში, ეს გადაწყვეტილება მართებული და გონივრული იყო.**

მაგრამ სიტუაცია იცვლება. **სტალინგრადისა** და **კურსკის** შემდეგ წითელი არმია ყველა ფრონტზე კონტრშეტევაზე გადადის და **ჰიტლერულ ვერმახტს მესამე რაიხის საზღვრებისაკენ მიერეკება.** ახალი სიტუაცია ახალ (უფრო სწორად, ძველ) გადაწყვეტილებას კარნახობს — ორი უწყების გაყოფას. დღეს თუ არა — ხვალ წითელი არმია გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების ოკუპაციას მოახდენს და დღის წესრიგში ისევ ზემოთ ხსენებული უზარმაზარი სამუშაოს ჩატარება დადგება. პირველ ხანებში ორ უწყებას კვლავ **ᲑᲔᲠᲘᲐ** და მერკულოვი ხელმძღვანელობენ. ამასთან, საგულისხმოა, რომ სამხედრო კონტრდაზვერვა **ᲡᲛᲔᲠᲨ**-ი (სიკვდილი ჯაშუშებს) **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ НКВД**-დან გამოჰყო, პირადად დაიქვემდებარა და სათავეში გენერალ-პოლკოვნიკი **ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲐᲑᲐᲙᲣᲛᲝᲕᲘ** ჩაუყენა. ომის შემდეგ სახალხო კომისარიატები შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებად გარდაიქმნა, რომლებსაც, შესაბამისად, **გენერალ-პოლკოვნიკი ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲙᲠᲣᲒᲚᲝᲕᲘ** (ბერიას ერთ-ერთი მოადგილე) და ჩვენთვის უკვე ცნობილი **ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲐᲑᲐᲙᲣᲛᲝᲕᲘ** ხელმძღვანელობდნენ. **ᲑᲔᲠᲘᲐ** ამ სამუშაოს ჩამოაცილეს და იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში მთლიანად ატომურ პროექტზე გადაერთო.

ორმა განცალკევებულმა უწყებამ **1953 წლის მარტამდე** იარსება. **5 მარტს, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** გარდაცვალებამდე დაახლოებით ორი საათით ადრე, მისი თანამოსაგრეების გადაწყვეტილებით ისინი კვლავ ერთ — შინაგან საქმეთა სამინისტროში გაერთიანდა. მინისტრიც ისევ ლავრენტი ბერია გახდა. **იმავე წლის 26 ივნისს, ᲑᲔᲠᲘᲐᲡ** მკვლელობის შემდეგ, პატრონის „გაყიდვის" საფასურად, მინისტრის პორტფელი მისმა **პირველმა მოადგილემ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲙᲠᲣᲒᲚᲝᲕᲛᲐ** მიიღო.

ასეთია საბჭოთა ოხრანკის ხილული მეტამორფოზები. მისი ჩეკისტური არსი კი **1917 წლის დეკემბრიდან** არ შეცვლილა.

## ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲚᲓᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲒᲣᲓᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲬᲔᲠᲡ: „ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲐᲛ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲯᲘᲣᲢᲘᲗ ᲙᲐᲠᲚ ᲛᲔ-12-Ს ᲓᲐ ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ." ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲒᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘᲗ, ᲠᲐ ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲨᲘ – Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲣ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ?

დავიწყოთ იმით, რომ **ᲰᲐᲘᲜᲪ ᲒᲣᲓᲔᲠᲘᲐᲜᲘ ფელდმარშალი** არ ყოფილა, მისი არმიული წოდება **გენერალ-პოლკოვნიკი** გახლდათ. თუმცა, მართალი ბრძანდებით, ის უმაღლესი კლასის მხედართმთავარი იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა, სჯობნიდა კიდეც ბევრ **ჰიტლერელ ფელდმარშალს.** გერმანიაში მას **„სატანკო შეტევების მოცარტს"** უწოდებდნენ. ახლა მის გამონათქვამზე ვისაუბროთ. გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ, რომელსაც პირადად **ᲐᲓᲝᲚᲤ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ** ახორციელებდა, უგუნური სიჯიუტით მართლაც აჯობა **ᲙᲐᲠᲚ ᲛᲔ-12-ᲡᲐ** და **ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲡ.** ისტორიაში მესამედ იქნა დაშვებული ტრაგიკული შეცდომა — ომი ისეთ გიგანტურ ქვეყანასთან, როგორიც რუსეთი ან სსრკ (ეს, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა) იყო. ამასთან, **ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡᲐ** და **ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ** შემთხვევაში ეს ომი თვითმკვლელური აღმოჩნდა, რამეთუ ორ ფრონტზე მიმდინარეობდა.

კიდევ რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ომში გამარჯვებას? ჯერ ერთი, თვალუწვდენელ სივრცეებზე გადაჭიმულმა ტერიტორიამ, რომელიც დედაქალაქის და მსხვილი სამრეწველო ცენტრების ჩაბარების შემთხვევაშიც კი ომის გაჭიანურების შესაძლებლობას იძლეოდა. მეორე — ადამიანურმა რესურსმა, რომელიც ორჯერ ან სამჯერ აჭარბებდა გერმანიისას. სხვათაშორის, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ** გენერალ შტემენკოსთან საუბრისას საგანგებოდ გაუსვა ხაზი ამ მომენტს: **„ჰიტლერმა ადამიანთა რესურსი ამოწურა"** (შტემენკო. „გენერალური შტაბი ომის წლებში"). **და მესამე — წითელი არმია ბევრად სჯობნიდა ვერმახტს საბრძოლო ტექნიკის რაოდენობითა და ხარისხით.** სხვათაშორის, ცნობილი **T-34-ის** მსგავსი ტანკი გერმანელებს პროექტშიც არ ჰქონიათ. მათ არც მძიმე ან მცურავი ტანკები ჰქონდათ.

რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ხელმძღვანელობამ და არმიისა და ხალხის თავდადებამ. განა სწორედ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ,** როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, არ შეუწყო ხელი მძლავრი სამხედრო ინდუსტრიის შექმნას? განა სწორედ მან არ შეძლო, მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ ფანტასტიკურად მოკლე დროში გადაესროლა მრეწველობა ურალში? ძნელია, არ დააფასო **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ,** როგორც **უმაღლესი მთავარსარდლის** როლი. ყველა გადამწყვეტი ბრძოლა, რომლებმაც **ᲕᲔᲠᲛᲐᲮᲢᲡ ხერხემალი გადაუტეხა** (მოსკოვის დაცვა, სტალინგრადის ბრძოლა, კურსკის რკალი), **მისი სტრატეგიული გენიის წყალობით მოვიგეთ.** და აქ, **ᲙᲐᲠᲚ ᲛᲔ-12-ᲘᲡ, ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ** და **ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ** სახელების ჩამოთვლასთან დაკავშირებით, უნებლიეთ კიდევ ერთი ანალოგია წარმოიშობა, რომელიც დიდ რუსულ ომებში სამი ქართველის როლს ეხება — **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ — პოლტავის ომში, ᲞᲔᲢᲠᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡᲐ — ბოროდინოს ბრძოლაში და ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐ — მთელ დიდ სამამულო ომში.**



*სამივე დიდ რუსულ ომში გადამწყვეტი როლი სამმა ქართველმა შეასრულა: პეტრე პირველმა — პოლტავის ომში, პეტრე ბაგრატიონმა — ბოროდინოს ბრძოლაში და სტალინმა — დიდ სამამულო ომში.*

## ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲢᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲝᲗᲮᲒᲖᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ?



**საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 1934 წლის თებერვალში დაარსდა.** ჯილდოს სტატუტის თანახმად, მის მისაღებად საგმირო საქმის ჩადენა იყო აუცილებელი. პირველი გმირები გახდნენ მფრინავები, რომლებმაც ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ყინულის ხორგებს შორის მოყოლილი საბჭოთა ყინულმჭრელი „ჩელუსკინის" ეკიპაჟი გადაარჩინეს. ამ წოდების შემდეგი მფლობელები გახდნენ საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები (ოფიციალურად მათ მრჩევლებს უწოდებდნენ), რომლებმაც ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გმირებისთვის **„ოქროს ვარსკვლავი"** მაშინ ჯერ არ არსებობდა. წოდების მიღებისას მათ **ლენინის ორდენს და საპატიო სიგელს გადასცემდნენ. „ოქროს ვარსკვლავი" საგანგებო ბრძანებულებით დაარსდა 1939 წლის 1 აგვისტოს.** პირველად იგი მომავალ მარშალ (მაშინ კომდივი, დღევანდელი გენერალ-მაიორი) **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲟᲣᲙᲝᲕᲡ** მიენიჭა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის გაერთიანებული ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებისათვის იაპონელებზე ხალხინ-გოლზე. ეს **1939 წლის 29 აგვისტოს** მოხდა. ამის შემდეგ **„ვარსკვლავი"** იმათაც გადასცეს, ვისაც გმირის წოდება ადრე მიენიჭა.

**1937 წელს** დაარსდა შრომის გმირის წოდება, რომელიც **1938 წელს** სოციალისტური შრომის გმირის წოდებად გარდაიქმნა. მისი პირველი მფლობელები გახდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, რომლებმაც ბევრად გადააჭარბეს საწარმოო ნორმებს. **1939 წელს** დაარსდა ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო",** რომელიც შრომის გმირებს ლენინის ორდენთან ერთად გადაეცემოდა. **1939 წლის დეკემბერში** სოციალისტური შრომის გმირობა **Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ** მიენიჭა.

აღსანიშნავია ისიც, რომ **ლენინის ორდენს** მხოლოდ პირველი გმირობის მიღებისას გადასცემდნენ. ორივე ჯილდოს სტატუტი ითვალისწინებდა ორგზის გმირის სამშობლოში მისი ბიუსტის აღმართვას.

**ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** სიცოცხლეში სამი სამგზის გმირი არსებობდა — მარშალი **ᲟᲣᲙᲝᲕᲘ** და ორი მფრინავი-ასი — **ᲙᲝᲟᲔᲓᲣᲑᲘ** და **ᲞᲝᲙᲠᲘᲨᲙᲘᲜᲘ. მარშალ ᲠᲝᲙᲝᲡᲝᲕᲡᲙᲘᲡ** ორი ვარსკვლავი ჰქონდა. დანარჩენ მარშლებს და ბევრ გენერალს — თითო. ომის შემდეგ, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲗᲐᲜ** შეუთანხმებლად, თანამოსაგრეებმა მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს, მაგრამ ბელადმა ჯილდოზე უარი თქვა და განაცხადა, რომ პირადი გმირობა არ ჩაუდენია. **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** მუდმივად მხოლოდ ერთ ჯილდოს ატარებდა — ოქროს **„ნამგალს და უროს".**



**ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** გარდაცვალების შემდეგ გმირის წოდებამ გაუფასურება დაიწყო. პირველი ნაბიჯი ამისაკენ **მარშალი ᲟᲣᲙᲝᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ** წარსული დამსახურებისათვის და **50 წლის** იუბილესთან დაკავშირებით მეოთხე გმირობის მინიჭებით გადაიდგა. ამგვარად, დაირღვა ჯილდოს სტატუტი — წოდება მხოლოდ გმირობის ჩადენისას ენიჭება. მოხდა კიდევ ერთი დარღვევა — სტატუტის მიუხედავად, **ᲟᲣᲙᲝᲕᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ** ორდენი გადასცეს. ეს **1956 წლის 1 დეკემბერს** მოხდა. ამის შემდეგ საბჭოთა მხედართმთავრებისა და კომუნისტი ბობოლებისათვის დარღვევები ჩვეულ პრაქტიკად იქცა. მხოლოდ ორ მაგალითს მოგიყვანთ. **1977 წლის 28 ოქტომბერს, 60 წლის იუბილის აღსანიშნავად, გმირის წოდებას მარშალი ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲝᲒᲐᲠᲙᲝᲕᲘ იღებს, 1978 წლის 27 ოქტომბერს — 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით — თავდაცვის მინისტრი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲣᲡᲢᲘᲜᲝᲕᲘ.** მართლაც, განა გმირობა არ არის სამოცდაათ წლამდე მიღწევა, თანაც კრემლის დარბაზებსა და ნომენკლატურულ სანატორიუმებში?

უდავოა, რომ ჟუკოვისეული მიდგომა ყველაზე ნაყოფიერი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისთვის აღმოჩნდა. იგი **1906 წლის 19 დეკემბერს** იყო დაბადებული. აი, მისთვის გმირობის მინიჭების ქრონოლოგია: **1966 წლის 18 დეკემბერი, 1976 წლის 18 დეკემბერი, 1978 წლის 19 დეკემბერი და 1981 წლის 19 დეკემბერი.** ოთხგზის გმირი. შედეგად **ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲟᲣᲙᲝᲕᲡ** დაეწია და გაასწრო კიდეც — მას ერთი ზედმეტი **„ნამგალი და ურო"** ჰქონდა, რომელიც **1961 წლის 19 დეკემბერს,** ისევ საკუთარ დაბადების დღეზე მიიღო.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ
2023 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, № 29–30 (197–198)

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
**„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www.asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**
ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# ტახირის ძაღლმა ქართულ პოლიციას შეუღრინა!



გიორგი არველაძე



ტახირ არველაძე

***წინა კვირას „პოლიციელის დღეს“ სააკაშვილის ტვინმოკლე დოქსოპულომ და ნაცსექტის მიერ მიტაცებული „იმედის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ საქართველოს პოლიცია ლანძღვა-გინებით აიკლო და სოციალურ ქსელებში ასეთი რამ დაწერა —*** *„პოლიციელებო, პოლიციის დღეს არ გილოცავთ. იმიტომ, რომ პოლიცია აღარ ხართ. ხართ ძაღლობა. ძაღლობას კი პოლიციის დღის მილოცვა არ ეკუთვნის. ხო, სანამ რუსი ბორენკას ხელისბიჭები ხართ, ძაღლობად დარჩებით!“*

George Arveladze
8h ·

პოლიციელებო, პოლიციის დღეს არ გილოცავთ.
იმიტომ, რომ პოლიცია აღარ ხართ. ხართ ძაღლობა. ძაღლობას კი პოლიციის დღის მილოცვა არ ეკუთვნის.

ხო, სანამ რუსი ბორენკას ხელის ბიჭები ხართ, ძაღლობად დარჩებით!

## აი,

## ასეთი ამორალური კაცუნა, ასეთი ტახირ არველაძის შვილი შეურაცხყოფს პოლიციას, რომელზეც საქართველოს სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება დგას და „ძაღლობას“ უწოდებს იმ ბიჭებს, რომლებმაც ლაზარე გრიგორიადისისა და მისთანა ჰეროსტრატეებისგან ქვეყანა ბევრჯერ გადაარჩინეს გადაბუგვას!

რა სინდის-ნამუსით ლანძღავს პოლიციას **გიორგი ტახირის ძე არველაძე,** რომელიც კანონი რომ კანონობდეს, **სწორედ პოლიციელებს უნდა შეეთრიათ ვირის აბანოში და კარი მჭიდროდ მიეგმანათ,** ეს ერთი საკითხია! მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, გიორგი არველაძის სახით ისეთი რა **მოდარაჯე ძაღლი** გამოზარდა **საბჭოთა ცეკას ინსტრუქტორ-ინსპექტორმა და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ტახირ არველაძემ,** რომ ამერიკის ელჩები წლებია, მხოლოდ მის სახლში ცხოვრობენ და არველაძეების ნაძარცვ-ნაალაფარ ქონებას მილიონობით ამერიკული დოლარით ზრდიან?

**ამერიკელ დიპლომატებს რომ სინდის-ნამუსი ჰქონდეთ, სააკაშვილის მიერ მიტაცებული და დარბეული „ტელეიმედის“ მმართველად ნათრევი გიორგი არველაძის ოჯახში არათუ ღამეს არ გაათევდნენ, არამედ ჰაერსაც არ გააფუჭებდნენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ სააკაშვილის პირისფარეშმა გიორგი არველაძემ ამერიკის მთელი ელჩიონი თავის სახლში შემოიხუნა, იმის პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულებაა, რომ „ტელეიმედის“ დამფუძნებელი და ცნობილი მეცენატი ბადრი პატარკაციშვილი სწორედ ამერიკელებმა მოკლეს და ჟვანიას „გასუხარების“ შემდეგ სააკაშვილს პოლიტიკური მინდორი უკვე მეორეჯერაც მოუსუფთავეს!**

**„ტაჭინის“, ანუ სეზამის ჭალვის** შესახებ ვიცით, რომ უგემრიელესი ნუგბარია... რაც შეეხება **ტახირის ჭალვას,** ანუ იმავე **გიორგი არველაძეს,** იგი ფრიად ეგზოტიკური „ხილია“, რომელმაც მცირე ზომის მიუხედავად, იშვიათი სისწრაფით მიიზიდა მიხეილ სააკაშვილის კარის „ბუზები“... „ბუზების“ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ **ტახირ არველაძეც** ძველი და თანაც გამოცდილი „ბუზია“, რომელიც კვაჭი კვაჭანტირაძის მსგავსად, შეძრომ-გამოძრომის დიდოსტატად სწორედ სამტრედიაში დაიბადა. საკმარისია, მის ბიოგრაფიას თვალი გადაავლოთ, მაშინვე მიხვდებით, თუ რატომ აგინებს მთელი ნაცსექტა **გიორგი არველაძეს,** რომელიც სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებზე ჯღავილს დუბაიში ნებივრობას ამჯობინებს. **2006-2008 წლებში, როცა სააკაშვილის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იყო, მინახავს არაბულ სამოსში გამოწყობილი გიორგი არველაძის ფოტო, რომელიც სწორედ დუბაიში ეძლეოდა განცხრომას და პირში ჩილიმგარჭობილი და უკანალში სააკაშვილის მიერ ჭიტლაყამოცხებული სასიამოვნოდ კრუტუნებდა.**

დიახ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ხელისბიჭებს შორის **გიორგი ტახიროვიჩი** ერთ-ერთი გამორჩეული ნაძირალა გახლდათ, რომლის უკანალზეც სააკაშვილი ფეხსაცმელებს აპრიალებდა და შიგადაშიგ პანღურსაც უთავაზებდა ხოლმე. **არველაძე სააკაშვილის წიხლს ისე მიეჩვია, ხელის ჩამორთმევის ნაცვლად ნაცფიურერს უკანალით ესალმებოდა და თათბირზე უკუსვლით, წაკუზული და საპანღურედ გამზადებული შედიოდა.**

გაგანია ბრეჟნევის ეპოქაში **მამა ტახირი** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პარტკომისიის თავმჯდომარე, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე გახდა, ხოლო 1982 წელს თბილისის საქარხნო რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ტახტი დაიდგა...

როცა პლაჟზე მონებივრე ბრეჟნევისა და შევარდნაძის შესახებ ცნობილი ანეკდოტი გავრცელდა, სადაც ლეონიდე შევარდნაძეს ეუბნება — **„ედუარდ ამბროსოვიჩ, ეტო უჟ სლიშკომ!“** — ტახირი ფარულად ამერიკელების მხარეს გადავიდა, თუმცა, კომპარტიის კიბეზე აღმასვლას ძველებურად განაგრძობდა.

ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ არის, ვის მხარეს დაიჭერდა **მამა ტახირი** 1992 წლის 11 ოქტომბერს ე.წ. „იმედის არჩევნებით“ დაკომპლექტებულ შევარდნაძის პარლამენტში... ბანდიტებით სავსე კანონმდებლების თვალწინ ტახირი, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძეს ემთხვია და პირში მისი ჯიქანი ჩაიდო. ასე აღმოჩნდა ის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიაში და ასე დაიწყო დიდი აღებ-მიცემობა საქართველოს დაქცევის ხარჯზე არველაძეების ოჯახის ასაშენებლად. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ **ტახირი და ტახიროვიჩი** დღემდე წარმატებით ძოვენ და ძოვენ!

ჩვენ ზუსტად ვიცით, რა უბედურება დააწიეს ქვეყანას **ტახიროვიჩებმა, ვასილიჩებმა და იმ მიკირტუმ გასპარიჩებმა,** რომლებიც ყველა ხელისუფლებას მოერგნენ, ყველგან შეძვრნენ და დღესაც ყველგან მიესვლებათ, რადგან ნაძარცვ-ნაალაფარიც შერჩათ და არაკაცობაც, ხოლო ოქროთი დატვირთული ვირი ნებისმიერ ციხე-სიმაგრეს რომ აიღებს, ამის შესახებ ჯერ კიდევ **ალექსანდრე მაკედონელის მამამ — ფილიპე მაკედონელმა** გაგვაფრთხილა 2400 წლის წინათ!

მოკლედ, ყველაფრიდან ჩანს, რომ გიორგი არველაძე ერთი ჩვეულებრივი კორუმპირებული პარტიული ვირთხისა და ცეკას ინსტრუქტორ-ინსპექტორის ოჯახში გაიზარდა, რათა საბოლოოდ სააკაშვილის ძუძუსაც დასწაფებოდა და უკანალში ნაცპრეზიდენტ მიხუილიოს შიბლეტებიც გაერჭო. **ასე იქცა გიორგი „მედიამენეჯერად“, რომელმაც სააკაშვილის ცნობილ „ბუზებთან“ — ეკა წამალაშვილთან და ნათია კობერიძესთან ერთად „მოდელირებული ქრონიკა“ დადგა!**

აი, ასეთი **ამორალური კაცუნა,** ასეთი **ტახირ არველაძის შვილი** შეურაცხყოფს პოლიციას, რომელზეც საქართველოს სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება დგას და **„ძაღლობას“** უწოდებს იმ ბიჭებს, რომლებმაც ლაზარე გრიგორიადისისა და მისთანა ჰეროსტრატეებისგან ქვეყანა ბევრჯერ გადაარჩინეს გადაბუგვას!

აღარაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა დღეში იყო სააკაშვილის, მერაბიშვილისა და მეგის ქარდავას პოლიცია მაშინ, როცა გიორგი ტახიროვიჩ არველაძეს უკანალში სააკაშვილის ფეხი ჰქონდა გარჭობილი.

**ნიკუტა გვარამიამ მამამისს — ანზორ გვარამის გულზე ძაღლი დაამარხა!**

**ამ ხელისუფლებამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, როცა „მოდელირებული ქრონიკის“ ავტორი და მიტაცებული „იმედის“ უსტაბაში არ დამარხა!**

ასე რომ მომხდარიყო, არველაძე ქართულ პოლიციას ვერ შეუღრენდა!

***დიტო ჩუბინიძე***



**მიხეილ სააკაშვილი და გიორგი არველაძე**

**ამ ხელისუფლებამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, როცა „მოდელირებული ქრონიკის“ ავტორი და მიტაცებული „იმედის“ უსტაბაში, ტახირის ძაღლი — გიორგი არველაძე არ დამარხა!**



# იგორ კვესელავა: ე.წ. „საქართველოს ელიტური ინტელიგენცია“ გენერალ გივი კვანტალიანთან ერთად სომხეთიდან ზვიად გამსახურდიას მოტაცებას გეგმავდა, რათა პირველი პრეზიდენტი თბილისში ჩამოეყვანათ და დაეხვრიტათ!

დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წ. №11-15,16-17, 18-19, 20-21,22-25

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობის ამსახველ სისხლიან ქრონიკებს იხსენებს და აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდია რუსეთ-ამერიკის გარიგებასა და ფარულ შეთანხმებას საფრთხეს უქმნიდა. სწორედ ამის გამო, როგორც ბარიერი და ხელისშემშლელი ფაქტორი, პირველი პრეზიდენტი გაანეიტრალეს, დაამხეს და ბოლოს მისი ფიზიკური ლიკვიდაციაც მოახდინეს:***

— აფხაზეთის ომი რა შედეგითაც გინდა დამთავრებულიყო, გალის რაიონი არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაკარგულიყო! მაგრამ **1993 წლის 24 სექტემბერს ზვიადის ჩამოსვლამ, რაც უდავოდ შეცდომა იყო,** შევარდნაძეს ხელ-ფეხი გაუხსნა და სტიმული მისცა, რათა საბოლოოდ დასდგომოდა ეროვნული ღალატის გზას. ეს ფაქტი შევარდნაძემ სათავისოდ გამოიყენა და სასწრაფოდ ჩააბარა არამარტო სოხუმი, არამედ მთელი აფხაზეთის ტერიტორიიდან მოხსნა ქართული შეიარაღებული ფორმირებები და გამოაცხადა სრული კაპიტულაცია. სწორედ ამან გამოიწვია ჯერ ოჩამჩირისა და შემდეგ მთელი გალის რაიონის დაკარგვა.

ზვიად გამსახურდიაზე საუბრისას ხშირად ავიწყდებათ ის, რაც 1992 წლის 12 მარტს გროზნოში მოხდა. სწორედ ამ დღეს ჩეჩნეთის დედაქალაქში შეიკრიბა საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც საგანგებო დადგენილებით გააუქმა ყველა ის გადაწყვეტილება, საერთაშორისო შეთანხმება თუ ხელშეკრულება, რომელსაც თბილისში მოკალათებული ხუნტა ოდესმე მიიღებდა! ასე რომ, **იურიდიულად, 1992 წლის 12 მარტის შემდეგ შევარდნაძის, სააკაშვილისა და დღევანდელი ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი შეთანხმება და ხელმოწერილი დოკუმენტი ბათილია!**

ამ სესიამ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის კრიმინალური გადატრიალების მონაწილე დეპუტატებსა და მათ ხელშემწყობებს — **ვაჟა ადამიას, აკაკი ასათიანს, დავით ბერძენიშვილს, თენგიზ დიხამინჯიას, დავით ქუპრეიშვილს, ავთანდილ იმნაძეს, მერაბ ურიდიას, ნოდარ ნათაძეს, მაია ნათაძეს, ირაკლი მელაშვილს, რუსლან ღონღაძეს, გია ხავთასსა და ვახტანგ ჯაშს** უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსი შეუწყვიტა. ასე რომ, ეს ხალხი უზენაესი საბჭოს დეპუტატებად 1992 წლის 12 მარტის შემდეგ აღარ იწოდება...

**— ზვიად გამსახურდიაზე, როგორც პოლიტიკოსზე, რას იტყვით? მისი მაგინებლები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკურად ბეცი იყო და მოსალოდნელი პროცესები ვერ განჭვრიტა!**

— ზვიად გამსახურდიამ უზუსტესად განჭვრიტა ის ბატალიები, რომლებიც 1992 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაიწყო. ჯერ კიდევ გროზნოში ყოფნისას მან იწინასწარმეტყველა, რომ ბალკანეთში განვითარებული მოვლენები იყო ევროპის ამერიკანიზაციის დაწყების სიგნალი და დაბეჯითებით აცხადებდა, სისხლისღვრის უკან ამერიკის სპეცსამსახურების მოქმედებას. ზვიად გამსახურდია არც იმას მალავდა, რომ რუსეთ-ევროპის ურთიერთობაში მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იყო. ზვიადი არ ცდებოდა — იუგოსლავიაშიც, საქართველოშიც და უკრაინაშიც, რომელსაც დღეს ჩვენ თვალწინ ანადგურებენ და მიწასთან ასწორებენ, ომის გამჩაღებელი და სისხლისღვრის მთავარი ინსპირატორი გახლდათ და გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატები! რუსეთი მაშინ ნაკლებად აცნობიერებდა ამ საფრთხეს, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ უზუსტესი პოლიტიკური დიაგნოზი დასვა.

**— მაინც რას გულისხმობთ?**

— ამ საკითხებზე არსებობს გამსახურდიას არაერთი გახმაურებული ინტერვიუ, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც მისი პირადი მძღოლის **ზურაბ ოქროცვარიძის** მემუარებში დაიწერა. იგი თავის წიგნში — **„მძღოლის სარკიდან დანახული სიმართლე“** — იხსენებს საუბარს ზვიად გამსახურდიასთან ჩეჩნეთში, როცა პრეზიდენტმა ასეთი რამ თქვა:

*„**მე დევნილად არც — კიტოვანს, არც — იოსელიანსა და არც შევარდნაძეს გადავუქცევივარ! რომ არ ყოფილიყვნენ ეს პიროვნებები, გამოინახებოდა სხვა გვარები, სხვა პიროვნებები, რომლებიც მასონების ამ დავალებას ისევე შეასრულებდნენ, როგორც ეს გააკეთეს მათ.** გურამ, შენ, ალბათ, არ იცი, ამერიკის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** რატომ თქვა, რომ გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდისო! არ გეგონოს, ეს მდინარის დინება იყოს, **ეს არის მასონური მოძრაობის დინება,** რომელსაც მე შევეწინააღმდეგე ჩემი ეროვნული იდეებითა და მოქმედებით. რას ნიშნავს მასონები, რა სურთ მათ? აი, ეს არის, პირველ რიგში, თქვენთვის გასარკვევი! მე შევეცდები, ისეთი ენით აგიხსნათ, რომ თქვენთვის ყველაფერი იოლად გასაგები გახდეს. დღეს მსოფლიოში ყველა წამყვან, დიდ სახელმწიფოს მართავენ მასონები. მან ჩამოგვითვალა ძალიან ბევრი სახელმწიფო, რომლებსაც მართავდნენ მასონები, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც. **მათ სურთ, რომ მთელი დედამიწის ზურგზე შეიქმნას ერთი სალაპარაკო ენა, ერთი რწმენა, ერთი ფულადი ერთეული და არ იყოს ეროვნებები.** უნდა არსებობდეს ერთი ერი. აი, ეს არის მასონების ერთადერთი და ძირითადი დევიზი. ამიტომ კიდევ გიმეორებთ, რომ არ ყოფილიყვნენ კიტოვანი, იოსელიანი და შევარდნაძე, ისინი გამონახავდნენ პიროვნებებს, რომლებსაც დაეყრდნობოდნენ და ამ საქმეს მაინც გააკეთებინებდნენ. კიდევ ამბობენ, რომ თითქოს მე ვიჩქარე და ყველაფერი უცბად მოვინდომე, თითქოს ვლანძღავდი ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფოების მეთაურებს და რომ ეროვნული პოლიტიკა არ მიმყავდა ისე, როგორც საჭირო იყო. **განვაცხადე, რომ ჩვენთვის არ იქნება არც ევროპა, არც — ამერიკა, არც — რუსეთი, ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ ჩვენ თავს, რა თქმა უნდა, მათთან უნდა გვქონოდა მჭიდრო ურთიერთკავშირები თანაბარ დონეზე, რომ კაცი უმეზობლოდ არ ვარგა.***



საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი. თბილისი, 1991 წელი.

> „ზვიადი არ ცდებოდა — იუგოსლავიაშიც, საქართველოშიც და უკრაინაშიც, რომელსაც დღეს ჩვენ თვალწინ ანადგურებენ და მიწასთან ასწორებენ, ომის გამჩაღებელი და სისხლისღვრის მთავარი ინსპირატორი გახლდათ და გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატები!“

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, **არცერთ მტერზე ნაკლები, ზვიადზე და ჩვენს ოჯახზე არ დაუშავებია ჩემს ბიოლოგიურ დედას, რასაც დღევანდელი დღის ჩათვლით აგრძელებს, ამჯერად ჩემი დაუძლურებული ძმის წინააღმდეგ.** ყოველდღიურად არ წყდება მისი აბსურდული სარჩელები, რომელიც ანელებს ცოტნეს რეაბილიტაციას.

„ალია“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**უუნარო ოპოზიცია** უცხოელ პარტნიორებს უფრო მეტს ელაპარაკება, ვიდრე საკუთარ ხალხს. ვერ მიხვდნენ იმას, რომ **ქართველი ხალხის მხარდაჭერის გარეშე,** რეალურად, რაც არ უნდა დიდი იყოს საერთაშორისო მხარდაჭერა, **შეუძლებელია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ძალაუფლებას ჩამოაშორონ.**

„ახალი თაობა“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ვიცოდით, რომ ნაციონალური მოძრაობა იყო **უსამშობლო ადამიანების პოლიტიკური პარტია** და ახლა გავიგეთ, რომ **ეჭვიანი ადამიანების პოლიტიკური პარტიაც** ყოფილა.

„TV იმედი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



ერთადერთი სწორი გზა იქნება **დემარში საკუთარი მთავრობის მიმართ** — ხალხი კონკრეტულ საბაბს ელოდება, რასაც თავად „ქართული ოცნება“ მისცემს.

„პალიტრანიუსი“

# „სოსო ცისკარიშვილი 1992 წლის იანვარ-თებერვლის დღეებში თენგიზ სიგუას ურჩევდა – დასავლეთ საქართველოში საჩვენებლად ერთი-ორი პრეფექტი დავხვრიტოთ და ხალხი დაშინდებაო!“


გივი კვანტალიანი


თენგიზ სიგუა


სოსო ცისკარიშვილი

*მინდა ის ვთქვა, რომ არათუ ვიჩქარე, არამედ კიდევაც ბევრი ვერ მოვასწარი საქართველოს საკეთილდღეოდ. ვგრძნობდი, რომ ეს ასე მოხდებოდა, ამიტომაც ვიჩქარე და გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, ჩავატარეთ რეფერენდუმი, ისტორიული სამაჩაბლო აღვადგინეთ... ეს ყველაფერი ისტორიის კუთვნილებად დარჩება. აი, ჩემი სიჩქარის მიზეზი!“*

ვფიქრობ, ყველაფერი ისე ნათლად არის გადმოცემული და ისე ზუსტად არის შეფასებული თანამედროვე მსოფლიო ქაოსი, რომ კომენტარი ზედმეტია!

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ აფხაზეთის შესახებ. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილმა შეფმა რემი ვაშაკიძემ, რომელიც შევარდნაძემ ციხეში ტანჯა, „ასავალ-დასავალთან“ საუბრისას განაცხადა, რომ აფხაზეთის ომი ედუარდ ამბროსოვიჩმა ამერიკელებთან შეთანხმებით დაიწყო! ეთანხმებით?**

— ვეთანხმები, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იყო! ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ძალიან განათლებული პიროვნება გახლდათ, კარგად იცოდა, რომ დიდი სახელმწიფოების — ამ შემთხვევაში რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ხშირად ეფუძნებოდა ფარულ გარიგებებს. **ზვიადი ნათლად ხედავდა, რომ შევარდნაძის უკან ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა და ამერიკელების მიერ მართული რუსეთის ხელისუფლება იდგნენ.** პარალელურად, მას წინ ედო **გორბაჩოვის ცნობილი მუქარა — „თქვენ აფხაზეთსა და ცხინვალში პრობლემები გექნებათ!“** შექმნილ სიტუაციაში დიდი იყო იმის ალბათობა, რომ საქართველოს ხარჯზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის მომხდარიყო გარიგება.

**— რა უნდა ყოფილიყო გარიგების საგანი?**

— გარიგების საგანი უნდა ყოფილიყო ის, რაც ზვიადს გორბაჩოვმა უხსენა — **აფხაზეთი და სამაჩაბლო!**

**— ანუ რა ფორმა ექნებოდა ამ გარიგებას?**

— რუსეთი ამერიკას დაუთმობდა საქართველოს, მაგრამ შეინარჩუნებდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ავტონომიებს, რაც გორბაჩოვმა ზვიად გამსახურდიასთან საუბარში ახსენა! მოვლენები სწორედ ამ სცენარით განვითარდა, ხოლო ზვიად გამსახურდია, როგორც რუსეთ-ამერიკის ფარული შეთანხმების ბარიერი და ხელის შემშლელი ფაქტორი, გაანეიტრალეს, დაამხეს და ბოლოს მისი ფიზიკური ლიკვიდაციაც მოახდინეს! მანამდე ე.წ. „საქართველოს ელიტური ინტელიგენცია“ გენერალ **გივი კვანტალიანთან** ერთად სომხეთიდან ზვიად გამსახურდიას მოტაცებას გეგმავდა, რათა პირველი პრეზიდენტი თბილისში ჩამოეყვანათ და დაეხვრიტათ! ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შეიარაღებული ოპოზიცია თბილისიდან ცოცხალი ზვიად გამსახურდიას გაშვებას არ აპირებდა. ასე რომ, ზვიადის ცოცხლად გაღწევა ალმოდებული მთავრობის სასახლიდან იყო არა „ოპოზიციის კეთილი ნება“, არამედ სასწაული! ზვიადის წინააღმდეგ ავრცელებდნენ უბინძურეს ჭორებს. აი, მაგალითად, იგივე **თენგიზ სიგუა,** რომელსაც ცოცხალი თავით არ უნდოდა შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა, გადატრიალებისთანავე აცხადებდა, რომ ეროვნული ბანკის საცავებიდან ზვიად გამსახურდიამ 40 კილოგრამი ოქრო გაიტაცა. ორი თვის შემდეგ სიგუამ ეს ბრალდება უსირცხვილოდ უარყო. აღმოჩნდა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას 4 კილოგრამი ოქროს ეკვივალენტი გადარიცხული ჰქონდა საფრანგეთის ეროვნული ზარაფხანისთვის, რათა ქართული ეროვნული ვალუტის გამოშვება ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

**— ზვიადი გენერალ გივი კვანტალიანს როგორ უნდა მოეტაცებინა?**

— სხვათაშორის, **კვანტალიანი** ზვიად გამსახურდიამ დააწინაურა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა. პარალელურად, იგი მილიციის უმაღლესი სკოლის რექტორიც გახლდათ. ზვიადის მოტაცების სპეცოპერაცია ძალიან სერიოზულად მუშავდებოდა და მასში მონაწილეობდა ერთი სომეხი აგენტიც. როგორც აღმოჩნდა, იჯევანიდან ზვიადის მოტაცება შეუძლებელი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოდან სომხეთში ზვიად გამსახურდიას 120 კაცი გაჰყვა, რომლებიც მზად იყვნენ, პრეზიდენტისთვის თავი გაეწირათ.

**— ე.ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ ქვეყნის დამაქცევრებმა ზვიად გამსახურდიას 1992 წლის 6 იანვარს „დერეფანი კი არ მისცეს“, არამედ მისი ლიკვიდაცია იგეგმებოდა და პრეზიდენტი შემთხვევით გადარჩა?**

— ცხადია! ბესო ქუთათელაძის ღალატი, რომელმაც პუტჩისტებს სატელევიზიო ანძა ჩააბარა; სასტუმრო „ივერიის“ სახურავიდან მთავრობის სასახლეზე „ნურსის“ ტიპის რაკეტებით მიტანილი იერიში; უნივერმაღ „თბილისის“ მეოთხე სართულიდან კანონიერი ხელისუფლების დამცველების წინააღმდეგ **ვაჟა ადამიასა** და მისი ბანდის შეტევა, რომლებმაც თავისუფლების მოედანზე უზენაესი საბჭოს დეპუტატი **არკადი მარკოზია** მოკლეს; 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, როცა ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლება თბილისს ტოვებდნენ, „იკარუსის“ მარკის ავტობუსში უიარაღო ადამიანების, მათ შორის, სამაჩაბლოელი ვაჟკაცის, სახელოვანი **ბოგი ბაბროშვილის** დახვრეტა, რომლის თავიც ოს სეპარატისტებს 5 კილოგრამ ოქროდ ჰქონდათ შეფასებული, ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციას!

**— შეგიძლიათ, გვითხრათ, გადატრიალების დღეებში ვინ როგორ ებრძოდა გამსახურდიას ხელისუფლებას?**

— ეს დიდი და უმძიმესი თემაა, მაგრამ რამდენიმე საშინელ ფაქტს მოვიტან! სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების დღეებში რესპუბლიკის ყოფილ სამხედრო კომისარს, გენერალ **ლევან შარაშენიძეს** სისტემატური კავშირი ჰქონდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოვალეობის შემსრულებელ **სუფიან ბეპაევთან,** რომელიც ოპოზიციას იარაღს აწვდიდა. სწორედ შარაშენიძე ეზიდებოდა ბანდიტებთან რუსულ იარაღს. იმავე გენერალ შარაშენიძის აღიარებით, 1991 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდიას მოუსპეს სატელეფონო კავშირის შესაძლებლობა. მანამდე პრეზიდენტი „ვეჩეთი“ უკავშირდებოდა მოსკოვს, გროზნოსა და სხვა საჭირო ობიექტებს.

1991 წლის 31 დეკემბერს **ალექსი ინაურის** ყოფილმა მოადგილემ **ოთარ ხატიაშვილმა,** რომელიც ეროვნული ხელისუფლების დროს ხანმოკლე დროით უშიშროების მინისტრიც იყო, მეამბოხეებს მიასწავლა ის ჭა, სადაც სატელეფონო კაბელი გადიოდა... იმ ავბედითი დღეებიდან ოცდათორმეტი წელი გავიდა და ჩადენილი დანაშაულებისთვის არც არავინ დაუპატიმრებიათ და პასუხიც არავის არაფერზე უგია! **ხალხს ისეთი რამეები აქვთ ჩადენილი, გარეთ ვერ უნდა გამოდიოდნენ, მაგრამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!**

**— მაგალითად, ვის რა აქვს ჩადენილი?**

— პროფესორი **სოსო ცისკარიშვილი** ხომ იცით?

**— რატი ამაღლობელის სიმამრზე მეკითხებით?**

— დიახ! 1992 წლის იანვარ-თებერვლის დღეებში, როცა ბანდიტებმა ძალაუფლება ხელში აიღეს და საშინელი ხოცვა-ჟლეტის მიუხედავად, ხალხის პროტესტი არ წყდებოდა, **სოსო ცისკარიშვილი** თენგიზ სიგუას ურჩევდა — **დასავლეთ საქართველოში საჩვენებლად ერთი-ორი პრეფექტი დავხვრიტოთ და ხალხი დაშინდებაო!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



## „იურიდიულად, 1992 წლის 12 მარტის შემდეგ, შევარდნაძის, სააკაშვილისა და დღევანდელი ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი შეთანხმება და ხელმოწერილი დოკუმენტი ბათილია!“

## კვირგვინოსნები

**ნინო ნიშნიანიძე**
*სამართლის დოქტორი, პროფესორი*



დიდი **მიხეილ ჯავახიშვილი** ამბობდა, **თუ ქვეყანა უნდა იყოს თავისუფალი, მას სჭირდება დამოუკიდებელი სასამართლო.** დაგვიანებული მართლმსაჯულება დღევანდელ სასამართლო სისტემას ძალიან მძიმე ტვირთად აწვება, ამიტომ **მოსამართლეთა რიცხობრივ გაზრდას ხელს შევუწყობ,** რათა დროული და ეფექტიანი მართლმსაჯულება განხორციელდეს.

„ახალი თაობა“

**მამუკა გიორგაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



რუსეთის **დაშლაზე** საუბარი ნაადრევია. ამ ეტაპზე მისი **ჩამოშლა და დაშლა** არც დასავლეთს აწყობს და არც — ჩინეთს. 18 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე სახელმწიფოს **დაშლა** მარტივი არ არის.

„ახალი თაობა“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



დამოუკიდებლობის დღეს **პრეზიდენტის გამოსვლა 10-დან 9 საკითხში ჩემი, როგორც მოქალაქის პოზიციას ემთხვევა,** ოღონდ, როცა სიტყვა საქმეში არ გადადის, მის სიტყვას ფასი ეკარგება.

„ინტერპრესნიუსი“

**ბადათერ არაბული**
*პოეტი*



სამწუხაროდ, საქართველოს **პრეზიდენტების არჩევაში** არ უმართლებს.

„საერთო გაზეთი“

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!




დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-25



***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***

## გია ხუხაშვილი: პატარკაციშვილის გარემოცვაში იყვნენ ადამიანები, ვინც მასთან „გასაწეწად“ მივიდნენ!

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში აანალიზებს **2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის** შემდეგ სააკაშვილის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომისა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შუქ-ჩრდილებს:

***„მიშამ ჩათვალა, დასწრებაზე ეთამაშა, სანამ ჯერ კიდევ ჰქონდა ამის შანსი — გადადგა და დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები...***

***მას ესმოდა, რომ საზოგადოებაში არსებულ პროტესტს შეეძლო, კვლავ აეკრიფა კრიტიკული მასა და ქვეყანაში მოკლე ხანში კვლავ მიგვეღო მორიგი 7 ნოემბერი...***

***რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მას აძლევდა შანსს, წარმატების შემთხვევაში მოეხდინა სრული თუ არა, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ყველას თვალში.***

***მისი გათვლა ემყარებოდა იმასაც, რომ საარჩევნო პროცესში ადვილად შეძლებდა მისი რეალური კონკურენტების დისკრედიტაციას და დამარცხებას. ასეთი კონკურენტი კი მას ორი ჰყავდა — ბადრი პატარკაციშვილი და ლევან გაჩეჩილაძე“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 93).*

შეიძლება ითქვას, **სააკაშვილმა** მაშინ ზუსტად გათვალა, მითუმეტეს, რომ მისი მთავარი კონკურენტები —**პატარკაციშვილიც და გაჩეჩილაძეც** არ იყვნენ პოლიტიკოსები:

***„საქმე ის გახლდათ, რომ გაჩეჩილაძე არანაირად არ შეესაბამებოდა პოლიტიკოსის იმ სტანდარტს, რომელიც დასავლეთისთვის გასაგები და მისაღები იქნებოდა. ამიტომ, მიშა თვლიდა, რომ ასეთი ალტერნატივის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ევროპა და ამერიკა ფსონს ისევ მასზე დადებდა და ბევრ რამეზე დახუჭავდა თვალს.***

***ქვეყნის შიგნითაც, სისტემისა და სხვადასხვა ინტერესჯგუფის გაგებით, ლევანი ერთგვარი უცხო სხეული იყო, რომლის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში დაიწყებოდა სავარაუდო „დიდი გადანაწილების“ პროცესი, რაც არავის ინტერესებში არ შედიოდა“*** *(იქვე, გვ. 94).*

მემუარისტი ობიექტურად აღწერს, რომ სააკაშვილის გათვლით, **ბადრი პატარკაციშვილის** ჩართვა საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ მაშინდელი ნაცხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან სააკაშვილისთვის უმნიშვნელოვანესი იყო, პატარკაციშვილს ოპოზიციური ხმები წაერთმია ლევან გაჩეჩილაძისათვის და ყველაფერი პირველ ტურშივე დასრულებულიყო. მეორე ტურის შემთხვევაში, ოპოზიციური ხმები გაერთიანდებოდა და მიშას გამარჯვება სათუო გახდებოდა:

***„ბადრის გარემოცვა ყოველმხრივ ცდილობდა, ეთამაშა მის ამბიციებზე, დაერწმუნებინა, რომ ხალხს ის უყვარდა და არჩევნებს პირველში თუ არა, მეორე ტურში აუცილებლად მოიგებდა. მასთან, რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად სჯეროდათ ამის, მაგრამ უმრავლესობა მაინც პროცესში „გამორჩენას“ ელოდებოდა.*** *იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წაუგებელ თამაშს, ე.წ. „უეჭველს“ თამაშობდნენ მარტივი გათვლით — თუ ბადრი მოიგებდა, ისინი კარგად ისარგებლებდნენ ამით და, თუ წააგებდა, ამაშიც სარგებელს ნახავდნენ,* ***რადგან დამარცხებული ბადრი საკმაოდ „მსუყე ლუკმა შეიძლება გამხდარიყო „გასაწეწად“*** *(იქვე, გვ. 95).*

ანუ ხუხაშვილი ღიად აცხადებს, რომ პატარკაციშვილის გარემოცვაში მოღალატეები იყვნენ და იმასაც იხსენებს, როგორ სთხოვა მას ბადრიმ საარჩევნო შტაბში ჩართვა:

***„ბადრი, რა თქმა უნდა, დამიკავშირდა და მითხრა, რომ გადაწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მთხოვა, პროცესში ჩავრთულიყავი. მე ვუთხარი — ჩემი ჩართვა გამორიცხულია, რადგან მიმაჩნია, რომ მისი ამ პროცესში ჩართვა სერიოზული შეცდომაა. რისიც არ მჯეროდა, იმაში ვერ მივიღებდი მონაწილეობას და მასაც არ ვურჩევდი ამ ნაბიჯის გადადგმას.***

***შესაბამისი არგუმენტები წერილობით მივაწოდე.***

***ათი მიზეზი დავუსახელე, თუ რატომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა და რატომ იყო ეს ხელისუფლების ინტერესებში. მივწერე, რომ მესმის, რატომ არის ნაწყენი ლევან გაჩეჩილაძეზე, მაგრამ ახლა ემოციების აყოლის დრო არ იყო“*** *(იქვე, გვ. 96).*

**ხუხაშვილი** დეტალურად იხსენებს იმ სქემას, რომლითაც ის ბადრი პატარკაციშვილს უხსნიდა, რატომ უნდა გაერთიანებულიყო საერთო-ოპოზიციურ კანდიდატთან —**ლევან გაჩეჩილაძესთან:**

***„თუ საარჩევნოდ რესურსების გაერთიანება მოხდებოდა და ლევანი-ბადრის ტანდემი შეიკვრებოდა, ეს შექმნიდა ერთგვარ სინერგიას და მთლიანად გააერთიანებდა და გააქტიურებდა საპროტესტო ელექტორატს, რომლის საერთო მოცულობა იმ მომენტისათვის უკვე საგრძნობლად აჭარბებდა სახელისუფლებო რესურსს. საინფორმაციო პოლიტიკაც, რომელიც ძირითადად „იმედის“ პლატფორმაზე უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული, უფრო გასაგები და მიზანმიმართული იქნებოდა“*** *(იქვე, გვ. 96).*

მართალია, მემუარისტი არ წერს, რომ ბადრი პატარკაციშვილის გარემოცვაში შეგზავნილმა სუს-ის აგენტურამ სერიოზულად იმუშავა **ლევან გაჩეჩილაძისაგან** „მტრის ხატის“ შექმნაზე, მაგრამ იმას კი აღნიშნავს, როგორ იჭეირა სააკაშვილმა ორი ოპოზიციური ლიდერის დაპირისპირებით:

***„რაც შეეხება მის წყენას და ერთგვარ შიშს, რომ ლევანის გამარჯვების შემთხვევაში შესაძლოა „გადაგდებული“ დარჩენილიყო, ვუხსნიდი, რომ ეს გამორიცხული იყო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლევანი დაიცავდა გარკვეულ შეთანხმებებს, არამედ იმიტომ, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის ბადრის მხრიდან სერიოზული ზურგის გარეშე ვერ შეძლებდა მისდამი მტრულად განწყობილ სისტემაზე კონტროლის დამყარებას...***

***მისმენდა, მაგრამ პროცესს მაინც ინერციით მიჰყვებოდა.***

***შედეგად, ხელისუფლებამ მოახერხა, რომ ბადრი და ლევანი ჯერ კონკურენტებად ექცია, მერე — ოპონენტებად, ბოლოს კი, როდესაც თავიანთი მთავარი იარაღი — კოდუას მიერ ლონდონში გაკეთებული ჩანაწერები — გამოაქვეყნეს, საერთოდ ჩაეტეხა ხიდი მათ შორის“*** *(იქვე, გვ. 96).*



**„ათი მიზეზი დავუსახელე, თუ რატომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა და რატომ იყო ეს ხელისუფლების ინტერესებში. მივწერე, რომ მესმის, რატომ არის ნაწყენი ლევან გაჩეჩილაძეზე...“**

**ხუხაშვილი** იმასაც აღიარებს, რომ ამაოდ ცდილობდა **პატარკაციშვილის** დარწმუნებას, სააკაშვილის სასარგებლოდ გამოგდის თამაშიო და ბოლოს სასოწარკვეთილმა საერთოდ უარიც კი თქვა ბადრისთან ურთიერთობაზე:

***„მოკლედ, ხელი ჩავიქნიე და შევწყვიტე ბადრისთან ურთიერთობა...***

***20 თუ 21 დეკემბერს მივიღე მისგან შეტყობინება, თხოვნა, რომ კიდევ ერთხელ ამეხსნა კარგად მისთვის, რატომ უნდა მოეხსნა თავისი კანდიდატურა და, იქნებ შეეცვალა კიდეც თავისი გადაწყვეტილება...***

***აღარ ვუპასუხე...***

***იმდენჯერ და იმდენნაირად მქონდა ეს მისთვის ახსნილი „ვაშლებით და მსხლებით“, რომ უაზროდ ჩავთვალე ამ დისკუსიის თავიდან გახსნა“*** *(იქვე, გვ. 97).*

ამის შემდეგ მემუარისტი არ მალავს თავის სინანულს და ერთგვარი აღსარებასავით წერს:

## „ამის შემდეგ მე ბადრი აღარ მინახავს და ჩემი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია მაშინდელი საქციელი...“

***„ამის შემდეგ მე ბადრი აღარ მინახავს და ჩემი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია მაშინდელი საქციელი... სულ ვფიქრობ, იქნებ ის ჩემგან ითხოვდა ერთგვარ მაშველ რგოლს და ამაზე უარი ვუთხარი...***

***ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, რაც არ უნდა გაბრაზებულები ვიყოთ ჩვენს მეგობრებზე, ოჯახის წევრებზე, არასოდეს არ უნდა ვუთხრათ უარი დახმარებაზე, რაც არ უნდა მყარი არგუმენტები გვქონდეს იმ მომენტში. ყოველთვის შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რისი გამოსწორებაც შეუძლებელი გახდება და მთელი ცხოვრების სინანულად გვექცევა...“*** *(იქვე, გვ. 97).*

ეს ყველაფერი როგორ დასრულდა, ყველამ იცის: სააკაშვილმა დიდ ქალაქებში ყველგან წააგო **ლევან გაჩეჩილაძესთან**, მაგრამ რეგიონებში არჩევნების გაყალბებით, 50,8 პროცენტი დაიწერა და საარჩევნო ბარიერზე ამ, სულ რაღაც, 0,8 პროცენტის გადამეტებით, თავი პირველივე ტურში გამოაცხადა გამარჯვებულად!

რა თქმა უნდა, ამერიკა-ევროპამაც მაშინვე აღიარეს სააკაშვილი გამარჯვებულად, რადგან მაშინ ის უალტერნატივოდ მიაჩნდათ, იმავე **ლევან გაჩეჩილაძის** ფონზე!

შემდეგ იყო საპრეზიდენტო ინაუგურაციის დღეს დაგეგმილი იპოდრომის უზარმაზარი საპროტესტო აქცია, რომელიც წლების შემდეგ თავად მისი ორგანიზატორების აღიარებით, **უკვე შეკრებამდე გაყიდული იყო,** სააკაშვილთან პირადად შეხვედრისა და ხალხის ზურგს უკან თავკერძული გარიგების შედეგად.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# „სწორი ნაწლავის კიბოს შემთხვევათა 80-90 პროცენტი პაპილომავირუსზე მოდის!“



## კახა საბახტარიშვილი:

# კიბო ყოველთვის ანთებით იწყება!

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი კაცობრიობის მოურჩენელი სენის შესახებ საუბარს აგრძელებს და ციროზისა და ღვიძლის კიბოს ნაადრევ ნიშნებს ასახელებს:***

— როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, **ციროზი,** თუ სათანადო მკურნალობა დროულად არ ჩატარდა, უმრავლეს შემთხვევაში, ღვიძლის კიბოში გადადის! მთელი პრობლემა ის გახლავთ, რომ ციროზის დროულად გამოვლენა ჭირს, რადგან ეს შესაძლოა, წლების განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს. **ერთი შეხედვით სრულიად ჯანმრთელი ადამიანი ექიმს მიმართავს მხოლოდ მაშინ, როცა კანი ფერს იცვლის და მოყვითალო შეფერილობის ხდება; ასევე ყვითელია თვალის სკლერაც... ამავდროულად, განავალი მკვეთრად ღია ფერისაა, ხოლო შარდი ან ძალზე მუქია, ან — ძალზე ღია; ფეხის ქუსლებიც ყვითლდება.** ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ ღვიძლი ძალიან დაზიანებულია, რის გამოც ბილირუბინი ვერ გამოიყოფა და პირდაპირ სისხლში ხვდება. როცა ზემოჩამოთვლილი ნიშნები სახეზეა, პაციენტთა უმრავლესობა მაშინღა იწყებს ღვიძლის გამოკვლევას. **გვახსოვდეს:** ადამიანს შესაძლოა, ციროზი ან ღვიძლის კიბოს საწყისი სტადია ჰქონდეს, მაგრამ ვერ გრძნობდეს, რადგან ღვიძლს ტკივილის უნარი არა აქვს! ღვიძლი მაშინ გვტკივა, თუ ის ზომაში იზრდება და მისი კაფსულა იჭიმება.

**— ნუთუ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რითიც ციროზს ან ღვიძლის კიბოს ნაადრევად გამოვიცნობთ?**

— პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ საკვების მიღებასთან დაკავშირებული ნიშნები და ჩამოვაყალიბოთ ასე: 1. თუ ადამიანი მცირეოდენი საკვების მიღების შემდეგაც კი ძლიერ დისკომფორტს გრძნობს და ეწყება ტკივილი მუცელში, უფრო კუჭის არეში; 2. თუ ადამიანი ძალზე მშიერი მიუჯდა სუფრას, მაგრამ პირველივე ლუკმის მიღებისთანავე მადა დაკარგა; 3. თუ ჭამის დროს ან ჭამის შემდეგ ადამიანს ეწყება გულისრევა, თითქოს ბევრი ან ვადაგასული საჭმელი ჭამა; 4. თუ ადამიანს უჭირს დაძინება და ხშირად ხედავს კოშმარებს...

**— კოშმარული სიზმარი ღვიძლის ციროზთან ან კიბოსთან რა კავშირშია?**

— ციროზის ან ღვიძლის კიბოს დროს ღვიძლი ვერ ასრულებს თავის უმთავრეს ფუნქციას და ვერ ანეიტრალებს ტოქსინებს, რომლებიც გადადის სისხლში და აღწევს თავის ტვინამდეც კი. სწორედ ეს იწვევს კოშმარებს... გარდა ზემოჩამოთვლილისა, ციროზსა და ღვიძლის კიბოს აქვს ისეთი ადრეული ნიშნები, რომლებსაც კაცი შვილი ყურადღებას არ აქცევს. ეს ნიშნებია:

**1. სისხლჩაქცევების უმიზეზოდ გაჩენა სხეულის სხვადასხვა ადგილზე,** ვინაიდან ღვიძლში ირღვევა იმ ცილების წარმოქმნა, რომლებიც სისხლის შედედებას განაპირობებს;

**2. ხელისგულების გაწითლება.** მიზეზი ღვიძლის დაზიანების შედეგად სასქესო ჰორმონების სიჭარბეა, რომლებიც, როგორც წესი, ღვიძლში იშლება;

**3. მამაკაცებში მკერდის გაზრდა.** ჰგონიათ, რომ ეს ცხიმის დაგროვებაა. სინამდვილეში ღვიძლი ტოქსინებს ვერ ამუშავებს და მამაკაცის ორგანიზმში ქალის სასქესო ჰორმონები — ესტროგენები გროვდება;

**4. მუდმივი ტკივილი მარჯვენა ბეჭის არეში ან მთელი ზურგის გასწვრივ.** ეს სიმპტომი შესაძლოა, ღვიძლის სიმსივნის მეტასტაზირებაზე მიუთითებდეს.

**5. ფეხის ფრჩხილების ფორმისა და სტრუქტურის შეცვლა.** ეს იმის მანიშნებელია, რომ ღვიძლის ფუნქციების დარღვევის გამო ფრჩხილებში ტოქსინები გროვდება;

**6. ქუსლის გაუხეშება და აქერცვლა, როცა კანის ქსოვილი ქუსლთან კვდება.**

ზემოჩამოთვლილთაგან ადამიანს ერთი ნიშანიც თუ აღენიშნა, მაშინვე უნდა მიმართოს ჰეპატოლოგს და გამოიკვლიოს ღვიძლი! არსებობს ღვიძლის ონკომარკერი, რომელიც ღვიძლის კიბოს ნაადრევი დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა. ეს არის სისხლის მარკერი **ალფა ფეტოპროტეინი,** რომელიც უტყუარია.

საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ღვიძლის კიბოს სხვადასხვა მიზეზი იწვევს, მაგრამ ძირითადი მაინც ღვიძლის ქრონიკული ანთებაა, რომელიც, როგორც წესი, B და C ჰეპატიტით არის განპირობებული. **ამ ბოლო დროს რატომღაც ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ C ჰეპატიტზე და ჰგონიათ, რომ, რადგან ეს ვირუსი ელიმინაციის პროგრამით მოსპეს, თავი ქუდში აქვთ**. რეალურად, B ჰეპატიტი C ჰეპატიტზე უფრო საშიშია, რადგან სქესობრივი გზითაც გადადის. საგულისხმოა, რომ B ჰეპატიტით გამოწვეული ციროზით და ღვიძლის კიბოთი ყოველ 15-20 წელიწადში უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში. თუ C ჰეპატიტი ხშირად არასტერილური სამედიცინო მანიპულაციების შედეგად ან ნარკოტიკების მოხმარებით გადადის, B ჰეპატიტისაგან, ფაქტობრივად, არავინ არის დაზღვეული. **გაოგნებული ვარ იმის გამო, რომ სულ C ჰეპატიტის პრევენციაზე მიდის ლაპარაკი და არავინ ახსენებს B ჰეპატიტს, რომელიც C ჰეპატიტისგან განსხვავებით, შესაძლოა, ერთი აცრით ავიცილოთ თავიდან!** ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, B ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტი უკვე შექმნილია და საქართველოში სულ მალე B ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაც დაიწყება, რაც მოსახლეობას უდიდეს შვებას მისცემს!

**— შესაძლოა, თუ არა, კიბო ვირუსულმა ინფექციამ გამოიწვიოს?**

— დედამიწაზე არ მეგულება ადამიანი, რომელსაც კანზე ერთი ან ორი მეჭეჭი არა აქვს, ან ოდესმე არ ჰქონია. ბევრმა არ იცის, რომ მეჭეჭი, ანუ ხორცმეტი, კანისებრი წარმონაქმნია, რომელსაც ადამიანის პაპილომავირუსი იწვევს. მეჭეჭი რომ გავკვეთოთ, მის შიგნით პაპილომავირუსების მთელი ჯარი იქნება.

საბედნიეროდ, პაპილომავირუსის ეს სახეობა კიბოს არ იწვევს. საერთოდ, ადამიანის პაპილომავირუსების დაახლოებით ასზე მეტი სახეობაა ცნობილი და მათგან ძალზე საშიშია მხოლოდ თხუთმეტი! თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც მოხვდა საშვილოსნოს ყელის, მამაკაცის სასქესო ორგანოს ან სწორი ნაწლავის მიდამოებში, დიდია იმის ალბათობა, რომ ზემოხსენებული ორგანოები კიბოთი დასნებოვნდეს!



საშვილოსნოს ყელის კიბო ასი პროცენტით პაპილომავირუსით არის გამოწვეული. საერთოდ, კიბოს ეს სახეობა ქალებში მკერდის კიბოს შემდეგ მეორე ადგილზეა... არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმადაც, სწორი ნაწლავის კიბოს შემთხვევათა 80-90 პროცენტი სწორედ პაპილომავირუსზე მოდის! პაპილომავირუსი უმრავლეს შემთხვევაში სქესობრივი გზით გადადის. ეს ვირუსები, როგორც წესი, იმდენად მცირე ზომისაა, რომ პრეზერვატივშიც კი აღწევენ.

**— როგორ უნდა გამოვიცნოთ, რომ საშიში პაპილომავირუსი უკვე ჩვენს ორგანიზმშია და გვიტევს?**

— თითოეულმა ქალმა და კაცმა პერიოდულად აუცილებლად უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა პაპილომავირუსზე და აიღოს ნაცხი! **განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვიყოთ მაშინ, თუ სასქესო ორგანოს მიდამოებში მეჭეჭები გაჩნდება.** საერთოდ, ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს აცრა, რომელიც საშვილოსნოს ყელს პაპილომავირუსის კიბოსგან იცავს! ეს აცრა გოგონებს 11-13 წლის ასაკში უნდა ჩაუტარდეთ, ხოლო ზრდასრულებს 50 წლამდეც შეუძლიათ... თუ სქესობრივი ცხოვრების დაწყების წინ ქალი პაპილომავირუსზე ვაქცინაციას ჩაიტარებს, ის მოსალოდნელი საფრთხეებისგან სერიოზულად იქნება დაცული. სამწუხაროდ, საქართველოში ამის კულტურა არ არსებობს, არადა, პაპილომავირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოსგან ყოველწლიურად უამრავი ქალი იღუპება!

ცნობისათვის, ადამიანების 80 პროცენტი პაპილომავირუსს ატარებს, მაგრამ ამ ვირუსების რაოდენობა და დისლოკაციის ადგილი განსხვავებულია. ამ ყველაფერს ადამიანის იმუნიტეტი განსაზღვრავს. კერძოდ, ძლიერი იმუნიტეტის შემთხვევაში, პაპილომავირუსი, დიდი ალბათობით, მეჭეჭად არ გადაიქცევა!

ჩემი სამედიცინო პრაქტიკიდან ერთ რამესაც ვამჩნევ — ვისაც დიაბეტი აქვს, მეჭეჭები ხშირად უჩნდება! ამას ის მეცნიერული ახსნა მოვუძებნე, რომ დიაბეტის დროს ორგანიზმში ინსულინის სიჭარბეა, რაც უჯრედების უკონტროლოდ გაზრდას უწყობს ხელს. შესაბამისად, კანის ზედაპირზე მეჭეჭების წარმოქმნა უფრო ინტენსიური ხდება. აქედან გამომდინარე, ჩემი რჩევაა — **ვისაც მეჭეჭები აწუხებს, შაქარი გაიზომოს!**

## «ვისაც დიაბეტი აქვს, მეჭეჭები ხშირად უჩნდება!»




**— დავუშვათ, ქალს დაუდგინდა, რომ საშვილოსნოს ყელის მიდამოში პაპილომავირუსი აქვს. როგორ უნდა მიხვდეს, რომ შესაძლოა, კიბო ემუქრება?**

— **თუ ქალს აღენიშნება სისხლიანი გამონადენი და ტკივილი საშვილოსნოს ყელის მიდამოში, მაშინ შესაძლოა, საქმე გვქონდეს საშვილოსნოს ყელის შორსწასულ სიმსივნესთან.** თუ ეს ნიშნები საერთოდ არ არის გამოხატული, არსებობს ერთი უნიკალური მეთოდი, რომლითაც საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების პროგნოზირება 10-15 წლით ადრეა შესაძლებელი. ამ ტესტს **„პაპა ნიკოლაუს ტესტი“** ეწოდება. ეს ე.წ. **„პაპტესტი“** საშვილოსნოს ყელში ატიპურ, ანუ გადაგვარებულ უჯრედებს ავლენს. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ქალის „პაპტესტის“ პასუხი დადებითია, ანუ საშვილოსნოს ყელის მიდამოში გადაგვარებული უჯრედებია აღმოჩენილი, რაც უკვე კიბოს წინაპირობაა, მაგრამ საშვილოსნოს ყელის გარეგანი დათვალიერება არავითარი ეჭვის საფუძველს არ იძლევა. ასეთ დროს ოფიციალური მედიცინა უძლურია და პაციენტს პერიოდულ შემოწმებას სთავაზობს, ანუ ელოდებიან კიბოს პირველადი ნიშნების გამოვლენას, რათა შესაბამისი მკურნალობა დანიშნოს. სწორედ ამ შემთხვევისთვის არსებობს ჰომეოპათიური პრეპარატები — **„ტუია“ და „კარცინოზინუმი“.** 200 წელიწადია, ექიმი-ჰომეოპათები ამ პრეპარატებს გარკვეული წესების დაცვითა და კომბინაციით იყენებთ და შედეგები გასაოცარია — ორ თვეში „პაპტესტის“ დადებითი პასუხი რადიკალურად იცვლება! ეს იმას ნიშნავს, რომ კიბო არ განვითარდება და ჩანასახშივე მოისპობა.

არაერთი ქალბატონი გადამირჩენია, რომლებსაც „პაპტესტის“ პასუხი დადებითი ჰქონდათ და საშვილოსნოს ყელის კიბო ემუქრებოდათ. საერთოდ, გვახსოვდეს, რომ ვირუსები, ბაქტერიებისგან განსხვავებით, მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმში ცხოვრობენ და მრავლდებიან. იგივე პაპილომავირუსი ორგანიზმის გარეთ მხოლოდ რამდენიმე წუთი თუ ძლებს. აქედან გამომდინარე, კორონაპანდემიის დროს, როცა მთელი მსოფლიო ჩაიკეტა, სადარბაზოების, ქუჩების, სკვერების, საყოფაცხოვრებო ნივთების და საფოსტო გზავნილების დეზინფექცია სრული სიგიჟე და აბსურდი იყო!

**— თუ პაპილომავირუსი კიბოს იწვევს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიბო ვირუსული დაავადებაა?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: კიბოს მხოლოდ პაპილომავირუსის თხუთმეტი სახეობა იწვევს! აქედან გამომდინარე, მეჭეჭები, რომლებიც სახეზე, ხელზე, ფეხზე, იღლიებში გვაქვს, როგორც წესი, კიბოში თითქმის არ გადაიზრდება. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, კიბო უჯრედის გადაგვარებაა, როცა ის უკონტროლოდ იზრდება. **ეს პროცესი შესაძლოა, გამოიწვიოს ზოგიერთმა ვირუსმაც, ულტრაიისფერმა გამოსხივებამაც, რადიაციამაც, კანცეროგენულმა ნივთიერებებმაც, სტრესმაც და ყველა იმ ტრავმამ, რომელიც უჯრედის დაზიანებას იწვევს.** გვახსოვდეს, რომ კიბო ყოველთვის ანთებით იწყება! ანთება ორგანიზმის დაცვითი რეაქციაა, მაგრამ, როცა ქრონიკული ხდება, საშიშ სახეს სწორედ მაშინ იღებს!




*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# «B ჰეპატიტი C ჰეპატიტზე უფრო საშიშია!»

*ბოლო წლებში ონკოლოგიურ დაავადებათა მიზეზების ძიებისას მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება პაციენტთა კვებას მიაქციეს. ამის შედეგად შემუშავდა უამრავი სახის დიეტა, რაც კონკრეტული მკურნალობისა თუ ოპერაციის შემდეგ ავადმყოფთა კვებას განაპირობებს. მრავალწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამ დიეტებისა და მოწესრიგებული კვებისადმი ყურადღების მიქცევამ ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-40%-ით გააუმჯობესა, რაც უმთავრესი შედეგია ამ სფეროში. ამ დაკვირვებების უდიდესი მნიშვნელობა ბევრმა მეცნიერმა დაადასტურა. ამჯერად გთავაზობთ რუსეთის ფედერაციის პროფესორის რ. ლოხოვის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში შესწავლილი მონაცემების საფუძველზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ჩამოყალიბებულ აზრს ონკოავადმყოფთა კვების შესახებ.*

# დიეტოთერაპია

## ონკოლოგიური ავადმყოფების კვება

### ონკოავადმყოფებს ეკრძალებათ შემდეგი პროდუქტები:

**ხორცი** (ღორის, ლორი, ხარის, ბატის, იხვის, ინდაურის, ცხოველის ღვიძლი, გული, ფილტვი, ტვინი);
**ნებისმიერი ცხიმიანი თევზი,** თევზის კონსერვი, ნებისმიერი გამოყვანილი ძეხვი, დამარილებული ხორცი;
**რძე, კეფირი, ფერმის კვერცხი,** ხორცის ბულიონი;
**კონცენტრირებული რძე,** კვერცხის ფხვნილი, ყველანაირი ყველი (რომელშიც ცხიმის შემცველობა 30%-ს აღემატება);
**თეთრი პური, თეთრი** ფქვილით დამზადებული ყველანაირი ნაწარმი, კანგაცლილი ბრინჯი;
**ხილი** (ყურძენი, მისი წვენი, კომპოტები), მშრალი **ლობიო და ბარდა,** სოკო, შემწვარი კარტოფილი, ნაყინი.
**ნებისმიერი წვენი გლუკოზაზე** დამზადებული, შოკოლადი, ნუგა, **მარგარინი,** რაფინირებული **ზეთი, მდოგვი,** შავი ყავა და ჩაი, თეთრი ღვინო, წითელი წიწაკა (მშრალი), ძმრის ესენცია, ტაფაზე მომწვარი ცხიმი.



# ცუდი განწყობა ანალიზებზეც აისახება!

## რისი გაკეთება არ ღირს უგუნებობის დროს და როგორ გამოვიკეთოთ განწყობა

***გუნება მილიონობით მიზეზის გამო შეიძლება გაგვიფუჭდეს. უფროსმა ხმას აუწია, მანქანამ ტალახი შეგვაწუწა, ახლობლებთან წავკინკლავდით... უბრალოდ, ძილის წინ ზომაზე მეტად დავნაყრდით — გავიღვიძეთ და ცხვირ-პირი ჩამოგვტირის. და ეს ყველაფერი ნორმალურია! ფსიქიატრთა აზრით, ადამიანის ცხოვრებაში განცდილი ემოციების 45 პროცენტი უარყოფითია, 35 პროცენტი — ნეიტრალური, და, სულ რაღაც, 20 პროცენტი — დადებითი. გამოდის, რომ ორჯერ უფრო ხშირად ვსევდიანობთ, ვიდრე ვმხიარულობთ.***



● **ყოველ ჩვენს ემოციას ორგანიზმში გარკვეული ქიმიური რეაქციები უზრუნველყოფს.** მაგალითად, როცა ცუდ გუნებაზე ვართ, ჩვენი **ენდოკრინული ჯირკვლები** ნაკლებ **სეროტონინს** და **ენდომორფინებს** („ბედნიერების ჰორმონებს“) გამოიმუშავებენ, სამაგიეროდ, უფრო მეტი **აცეტილქოლინი** და **ადრენალინი** („სტრესის ჰორმონები“) გამოიყოფა. **აცეტილქოლინის** დარტყმითი დოზა ხალისს გვიკარგავს, ყურადღებას გვიფანტავს, **ადრენალინი** კი აგრესიას და წნევას ზრდის.

● მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ჩვენი **ტვინი ნეგატიურ ინფორმაციებს გაცილებით მეტ ხანს ინარჩუნებს და გულმოდგინედ აღადგენს.** ამას გარდა, უგუნებობამ შეიძლება ანალიზებიც კი შეცვალოს.

**მაშ ასე, ცუდ გუნებაზე ყოფნისას არ ღირს: სისხლის ანალიზის გაკეთება.** ზოგიერთი მაჩვენებელი შეიძლება არაობიექტური აღმოჩნდეს. მაგალითად, ჰემოგლობინი მოიმატებს, თუ გაღიზიანებული ხართ, და დაიწევს, თუ უხალისობას გრძნობთ.

**გასტროსკოპიის გაკეთება.** გაღიზიანების დროს კუჭის წვენის გამოყოფა და მჟავიანობა მკვეთრად იმატებს.

**პლასტიკური ოპერაციის გაკეთება,** განსაკუთრებით სახეზე: შედეგი უარესი იქნება და ნაიარევებიც გვიან შეხორცდება.

**კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება** (პილინგი, შეხვევა და ა. შ.). ასეთ მდგომარეობაში კანი დაჭიმული და ნაკლებად მგრძნობიარეა, ეფექტი ნაკლები იქნება.

**სერიოზული რაიმეს შეძენა.** ის უარყოფითი ასოციაციების ნაკადს გამოიწვევს, დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი შოპინგი დარდის გასაქარვებლად.

**სიყვარულის ახსნა და ხელის თხოვნა** (მოითმინეთ, სანამ აზრზე მოხვალთ, თორემ თქვენი ტვინი ამ მოვლენას „შავ საქაღალდეში“ შეიტანს).

### ფაქტი

**უხასიათობა გრიპზე უფრო გადამდებია. ფსიქოლოგებმა გამოითვალეს, რომ ხალხმრავალ კოლექტივში თანამშრომელი, რომელიც სამსახურში ცხვირჩამოშვებული მივა, 20 წუთში ყველას გაუფუჭებს გუნებას. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აქ საქმე იმდენად თანაგრძნობაში არ არის, რამდენადაც განსაკუთრებული სიხშირის ბიოტალღებში, რომლებსაც უგუნებო ადამიანი გამოყოფს.**

**სარკეში „მჟავე“ გამომეტყველებით ჩახედვა.** ფსიქოთერაპიული თვალსაზრისით, სარკე უკუკავშირის ეკრანია. თუ მასში სევდიანი ან ავი თვალით ჩავიხედავთ, ამ ნეგატიურ გზავნილს ორმაგად დაგვიბრუნებს. ჯერ უნდა დავსერიოზულდეთ, მერე საკუთარ თავს გავუღიმოთ, შუბლზე და ტუჩის კუთხეებში ნაოჭები სწორდება, თვალები გვიბრწყინავს. სარკეც ორმაგ დადებით იმპულსს გამოგვიგზავნის.

● არსებობს კიდევ რამდენიმე ფსიქოლოგიური ილეთი. ბევრ ადამიანს „ბედნიერი წვრილმანების“ თან ტარება ეხმარება, რომლებიც რაღაც კარგსა და თბილს უკავშირდება: სათამაშო, ჯვარი, ბრელოკი, ავგაროზი და ა. შ.

ამავე პრინციპით მუშაობს „ბედნიერი ნივთებიც“ — თქვენს გარდერობში რაიმე ტანსაცმელი წარმატების მომტანად მოინიშნეთ და გწამდეთ ეს. თვითშთაგონებაა? იყოს. სხვათაშორის, ქვეცნობიერის დონეზე ის ნებისმიერ გარედან გზავნილზე ბევრად უფრო ძლიერად მუშაობს.



### გაიხალისეთ სახის კანი ზაფხულის პროდუქტებით

**არ დაგავიწყდეთ, რომ ზაფხულის მზით გამომშრალი სახის კანისათვის აუცილებელია ვიტამინებიანი და დამატენიანებელი ნიღაბი. ნახევარ ჭიქა არაჟანში შეურიეთ ხილი, რომელიც სახლში გაქვთ (ატამი, ქლიავი, კენკროვნები) კარგად გათქვიფეთ და ამ ნაზავის ნიღაბი გაიკეთეთ. ნახევარი საათის შემდეგ ოდნავ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.**

### ონკოავადმყოფებისათვის დასაშვებია შემდეგი პროდუქტები:

**ხორცი ვარიის, ქათმის თეთრი ხორცი** (რბილობი), **ძროხის ხორცი** — მჭლე, მხოლოდ ანტრიკოტი კვირაში ერთხელ.
**ძეხვი** — იშვიათად — მხოლოდ მოხარშული;
**თევზი** — მხოლოდ ახალი და უცხიმო;
**რძე** — უცხიმო;
**ხაჭო** — ნებისმიერი,
**ყველი** — მხოლოდ 20%-იანი ცხიმით ან უცხიმო;
**კაკალი** — იშვიათად;
**სტაფილო, ჭარხალი** (მწნილი არა), **კომბოსტო;**
**ლობიო და ბარდა** — მხოლოდ ახალი;
**კარტოფილი** — მხოლოდ არაქიმიურად დამუშავებული;
**ზეთი** — მხოლოდ არარაფინირებული;
**ღვინო** — იშვიათად — მხოლოდ წითელი;
**პური** — მხოლოდ უხეში დაფქვით დამზადებული (II ხარისხის ფქვილით);
**მარმელადი და ჟელე** — მხოლოდ ფრუქტოზაზე დამზადებული;
**ნიორი** — იისფერი (სამკურნალო თვისებების მქონე და არა — თეთრი);
**ხილი** — ახალი ან ორთქლზე მოხარშული;
**ლიმონი, ფორთოხალი;**
**ყოველგვარი ხილის წვენი** — მხოლოდ ფრუქტოზაზე დამზადებული;
**ჩაი** — მცენარეული (კრაზანა, გვირილა და ა. შ.);
**სოია, ნამცხვარი** — ხილფაფით დამზადებული;
**კვერცხი** — ოჯახის, მხოლოდ ახალი — 5-7 დღის;
**მწვანილი — ნიახური, ოხრახუში, მწვანე სალათა;**
**ფინიკი, ქლიავის ჩირი;**
**ყავა** — იშვიათად — მხოლოდ უკოფეინო;
**ჭინჭრის წვენი.**







## კვირგვინოსნები



**ივანე ჩხაიძე**
*იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი*

**ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია** არცერთ გეგმურ აცრასთან კავშირში არ არის. კორონავირუსის დროსაც ვამბობდით, **რომ ერთადერთი დაავადება, რომლის დროსაც შეგიძლიათ მაშინვე გაუკეთოთ ვაქცინა, არის ცოფი.**

„კვირის პალიტრა“



**ზვიად ტომარაძე**
*ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ თანადამფუძნებელი*

**რუსი გიდები რუსებს ეუბნებიან,** რომ საქართველო იყო რუსეთის გუბერნია და დამოუკიდებელი სახელმწიფო არასდროს ყოფილა. **თურქი და ირანელი გიდები თავიანთ მოქალაქე ტურისტებს ეუბნებიან,** რომ საქართველო მათი პროვინცია იყო და სხვა ათას სისულელეს უყვებიან. ეს საკითხი დასარეგულირებელია.

„ალია“



**ირინა გუდაძე**
*მსახიობი*

როდესაც **ჩემს ნახელავს სინჯავენ,** ნასიამოვნები ვიშვიშებენ!

„სარკე“



**თიკა ფაცაცია**
*მომღერალი, ტელეწამყვანი*

დიდი ბედნიერებაა **ის სიყვარული ადამიანებისგან, რომელსაც ქუჩაში ვგრძნობ.** ვერ ვხვდები, რით დავიმსახურე ეს სიყვარული.

„სარკე“



**ნუცა შანშიაშვილი**
*მომღერალი*

ღმერთს ვთხოვ, **ტვინი ისე არ ამირიოს,** საყვარელ ადამიანს ვუღალატო.

„სარკე“

# 15 ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ



რას უწოდებენ ბრტყელ ზედაპირზე ამობურცულ სკულპტურულ გამოსახულებას? **1**



კავკასიონი ირანული წარმოშობის სახელწოდებაა.

**რას ნიშნავს სიტყვა კავკასიონი?** **2**

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში" აღწერილია კარიბჭე, რომელზედაც არის წარწერა: „აქ შემსვლელებმა იმედი დატოვეთ გარეთ".

**— რის კარიბჭეზეა ეს წარწერა?** **3**



„ქართველთაგან პირველმა ილია ჭავჭავაძემ გამომიწოდა ხელი. მან გამიღო ფართოდ კარები თავისი სახლისა, მანვე გამიღო თავისი გული და სული. დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ სწორედ მე უნდა შემედგინა ქართული ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ილია სიტყვასიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს. ბედნიერად ვრაცხავ თავს, რომ დამაკავშირა კეთილშობილ ქართველ ერთან".



**4**

**რომელი გერმანელი მწერლის სიტყვებია ეს?**



**8**

შუა საუკუნეების იტალიასა და ესპანეთში მამაკაცი სატრფოს სარკმლის წინ ასრულებდა სიმღერას გიტარის ან სხვა სიმებიანი საკრავის აკომპანიმენტით.

**რას უწოდებენ ამ სიმღერას?**

**რომელ მცენარეს აქვს ყველაზე დიდი ფოთოლი?**



პეგასი ბერძნული მითოსის მიხედვით არის ფრთოსანი რაში.

**რის სიმბოლოდ ითვლება პეგასი?** **12**



**რა ეწოდება კუნძულს ხმელთაშუა ზღვაში, გიბრალტარის სრუტესთან, სადაც პირველად დააწესეს გადასახადი პორტში დგომისათვის?** **13**





**9**

დაასრულეთ თომას ალვა ედისონის სიტყვები:

**„გენია — ეს არის ერთი პროცენტი ალმაფრენა, 99 პროცენტი..."**



**11**

**რომელ მხატვარს უწოდეს „ფუნჯის ტორეადორი"?**

ერთხელ ბერნარდ შოუს ჰკითხეს: „ვინ მიგაჩნიათ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ აფერისტად? — ექიმები, — მიუგო მწერალმა.



**15** **რა უპასუხა ბერნარდ შოუმ კითხვაზე — ვინ მიგაჩნიათ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სულელებად?**

**რომელ სახელმწიფოში ბეჭდავენ მარკებს, რომელზეც არ აწერია მისი გამომშვები ქვეყნის სახელწოდება?** **5**







ეს პოლიტიკური ლიდერი, პროფესიით იურისტი, დაიბადა 1869 წელს ინდოეთში. მთელი ცხოვრება აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია და გახდა თავისი ქვეყნის ეროვნული გმირი. 1948 წელს ის შოვინისტებმა მოკლეს. **14**

**ვინ არის ეს პიროვნება?**



**რომელ ისტორიულ მოვლენას და რომელ მოღვაწეს ეძღვნება აკაკის ლექსი, — „ოი, ამას ვენაცვალე"?** **6**



**რა ჰქვია მსახიობ ქალს იაპონიაში, რომლის მოვალეობაა მაყურებლის (მდიდართა სახლებში — სტუმრების) გართობა მახვილსიტყვაობით, სიმღერით, ცეკვით და სხვა.** **7**

**15 ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:**

1. ბარელიეფს; 2. ლაპლაპა ყინულოვანს; 3. ჯოჯოხეთის. 4. არტურ ლაისტის. 5. დიდი ბრიტანეთი; 6. 1905 წელს რუსეთის დამარცხებას იაპონიასთან ომში და იაპონიის არმიის გენერალ ოიამას მიუძღვნა აკაკიმ ეს ლექსი, რომლის ყოველი ტაეპი მთავრდება სიტყვებით „ოი, ამას ვენაცვალე"; 7. გეიშა; 8. სერენადას. 9. ოფლის დენა; 10. ვიქტორიას.11. ფრანსისკო ხოსე გოიას. 12. პოეტური შთაგონების სიმბოლოდ. 13. ტარიფი; 14. მოჰანდას კარამჩანდ „მაჰათმა" განდი (1869-1948 წ. წ.); 15. „მათი პაციენტები".

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. სამორინე; 5. ქალღმერთ ვესტას ქურუმი ქალი; 9. კამბოჯის ფულის ერთეული; 10. გაზაფხულის თვე; 12. მსხვერპლად შესაწირავი საკლავი; 13. დასავლეთ საქართველოს ძველი სახელი; 14. არზაყანის ცხენი; 16. კლეოპატრას როლის შემსრულებელი; 18. ერთგვარი ნამცხვარი; 19. საჭმელად მოსახარში მცენარე; 21. ავანსი; 22. რისამე საგანგებო ნარევი; 24. კითხვითი ნაცვალსახელი; 25. აქლემის ნაშიერი; 27. გველის სახეობა; 28. გაზეთი „კვირის ..."; 30. საფლავი; 31. იაპონური თეატრი; 32. თანრიგი, ხარისხი; 33. ვულკანური ქანი; 35. ჯ. გარიბალდის რომანი; 38. სამაგიდო თამაში; 41. ზევით (ძვ.); 42. დედამიწის შემცირებული ნახაზი; 44. ფრანგი მწერალი; 45. ჯანმრთელობის ბერძ. ღვთაება; 46. კორეული ფირმა; 48. კათოლიკე მღვდელი; 49. ის, ვისაც წერილი ეგზავნება; 51. ფრანგი მსახიობი ქალი; 52. „პატარა კახი"; 53. ამ ადგილას, ანუ? 54. ფრანგი დიზაინერი; 55. არაბი ხელისუფალი საქართველოში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ბზიკი; 2. დიდი ბუ; 3. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 4. მატრაკვეცა; 5. სტუმრობა; 6. ბოსტნეული; 7. არაბების ბატონობის ხანა საქართველოში; 8. ზამბახი; 11. ფრანგი კომპოზიტორი; 15. სახელმწიფო ...-ფასო; 17. უმაღლესი მიღწევა სპორტში; 20. ზღვის კომბოსტო; 23. ძველებური თოფი; 25. ინდიელთა ბელადი მექსიკაში; 26. მდინარე ზამბიაში; 27. სურათი ზღვის ხედით; 29. გადასახური მასალა; 33. ერთვაზნიანი შაშხანა; 34. სუხიშვილების ცეკვა; 36. ფრანგი კომპოზიტორი; 37. ერთგვარი ყავა; 39. სტილი არქიტექტურაში; 40. ჩასაბერი საკრავი; 43. მიდამო, მხარე; 44. კორეული მანქანა; 45. კაუჩუკის ხე; 47. დედნის პირი; 50. სომხური გვარის თავსართი.

*პასუხები იხ. 29-ე გვერდზე*

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 2 | | 3 | | 4 | | ■ |
| | ■ | | ■ | | ■ | | ■ | 5 |
| 6 | | | | | | | ■ | |
| | ■ | | ■ | | ■ | | ■ | |
| 7 | | | ■ | 8 | | | ■ | |
| | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | |
| 9 | 10 | | 11 | | 12 | | | |
| ■ | | ■ | | ■ | | ■ | 13 | ■ |
| 14 | | | | | | | | ■ |
| | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | 15 | |
| | ■ | 16 | 17 | | | | | |
| | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | |
| 18 | | | | | ■ | | 19 | |
| ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 20 | | | ■ |
| 21 | | 22 | | ■ | | | 23 | |
| | ■ | | ■ | ■ | | 24 | | |
| 25 | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 26 |
| | ■ | | ■ | ■ | 27 | | | |
| 28 | | | | ■ | | ■ | ■ | |
| | ■ | ■ | 29 | | | | | |
| 30 | | | ■ | ■ | ■ | ■ | | |
| | ■ | ■ | 31 | | | | | |

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ანდრეი ტარკოვსკის ფილმი; 6. ქათმის „სამშობლო"; 7. კანფეტის სახეობა; 8. ქალაქი საქართველოში; 9. რძის პროდუქტი; 14. ბალახოვანი მცენარე, რომელიც გამოიყენება საკმაზად; 15. სარწყავი არხი; 16. ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოსირისის და; 18. თურქეთის დედაქალაქი; 19. ერთი იაპონურად; 20. კარაქის წარმოებისას წარმოქმნილი პროდუქტი; 22. ქართული ანბანის მეთერთმეტე ასო; 23. საჭადრაკო ფიგურა; 24. მესამე მუსიკალური ნოტი; 25. საცივის ინგრედიენტი; 27. სკანდინავიის ქვეყნებში მიმართვა გათხოვილი ქალისადმი; 28. ცნობილი ქართული ანსამბლი; 29. მაიონეზის მწარმოებელი ფირმა; 30. მდინარე კოლუმბიაში; 31. გოგრა მეორენაირად.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. მუსიკალური გამის მე-2 საფეხური; 2. განსაზღვრული ფაქტორების მიმართ ორგანიზმის ზემგრძნობელობა; 3. მამრი ადამიანის სინონიმი, რომელიც ქართულში მეგრულიდანაც ახლავს; 4. აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი; 5. ლამაზი ფარფატა მწერი; 10. ისლამური კალენდრით მარხვის პერიოდი, მე-9 თვე; 11. წითური; 12. ერთწლოვანი ბოლქვიანი მცენარე; 13. შემოდგომის ხილი; 17. ქალთევზა; 21. ვრცელი მდელოს ხედი ზემოდან; 22. შიგთავსიანი გადახვეული ნამცხვარი; 26. ვარდისებრთა ოჯახის სამკურნალო მცენარე; 27. თოფის სახეობა.

*პასუხები იხ. 29-ე გვერდზე*

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 2 | | | 3 | ■ | 4 | ■ | 5 | | 6 | | 7 | | 8 |
| | ■ | | ■ | ■ | 9 | | | | | ■ | | ■ | | ■ | |
| 10 | | | | 11 | | | | | 12 | | | | | | |
| | ■ | | ■ | 13 | | | | | | ■ | | ■ | | ■ | |
| 14 | | | 15 | | | | | | 16 | | | | | 17 | |
| | ■ | 18 | | ■ | 19 | | ■ | 20 | | ■ | | ■ | 21 | | |
| 22 | 23 | | | | | | 24 | | | 25 | | 26 | | | |
| ■ | | ■ | | ■ | | 27 | | | | ■ | | ■ | | ■ | |
| 28 | | | | 29 | | | ■ | | | 30 | | | | | |
| ■ | | ■ | 31 | | | 32 | | | | ■ | | ■ | | ■ | ■ |
| 33 | | 34 | | | | | | ■ | | 35 | | | 36 | | 37 |
| | ■ | | ■ | ■ | | 38 | 39 | | 40 | | | 41 | | ■ | |
| 42 | | | 43 | ■ | 44 | | | | | 45 | | | | | |
| | ■ | 46 | | 47 | | ■ | 48 | | | | ■ | | | ■ | |
| 49 | | | | | | 50 | | | | 51 | | | | | |
| | ■ | | ■ | ■ | | 52 | | | | | ■ | | ■ | ■ | |
| 53 | | | 54 | | | | ■ | | | 55 | | | | | |

*როგორი კბილები ითვლება ჯანმრთელად, როგორ შევინარჩუნოთ საღი კბილები? რა არის კბილის სწორი პროფილაქტიკა? შეიძლება თუ არა პაროდონტოზის ადრეულ სტადიაში შეჩერება? როგორ მოქმედებს ემულგატორიანი პროდუქტები კბილებზე?*

# როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელი კბილები



ჯანმრთელი კბილების საიდუმლო ცხოვრების ჯანსაღ წესში მდგომარეობს. ამდენად, ჯანმრთელი კბილები არამარტო ესთეტიკურად არის სასიამოვნო, არამედ გვინარჩუნებს ბევრი სხვა ორგანოს ჯანმრთელობას. **სწორი მოვლით კბილის სიჯანსაღე 60-70 პროცენტით ნარჩუნდება.** მითუმეტეს, რომ დღეს სტომატოლოგიის შესაძლებლობები საკმაოდ დიდია. უახლოესი ტექნოლოგიების საშუალებით მიღწეულია კბილის ფესვის არხის მკურნალობა, კბილის გვირგვინის რესტავრაცია. ასე რომ, კბილის ამოღება ხშირად აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.

მთელი რიგი დაავადებებისა, მათ შორის, **კარიესი, პაროდონტოზი** და სხვ. მიკრობული წარმოშობისაა. ამდენად, **პირის ღრუს სისუფთავესა და სწორად მოვლას დიდი მნიშვნელობა აქვს.** ჯანმრთელ კბილებს სჭირდება ბალანსირებული კვება, ანუ სწორი დატვირთვა. ბალანსირებულ კვებაში იგულისხმება როგორც მაგარი საკვების რბილ საკვებთან მონაცვლეობა, ასევე ვიტამინებით მდიდარი პროდუქტის დროული მიღება. გლუკოზის შემცველი საკვები არ უნდა მივიღოთ კვების ბოლოს, რათა ის არ დარჩეს კბილებში და არ გამოიწვიოს კარიესი, ვინაიდან გლუკოზა პირის ღრუში გარდაიქმნება რძის მჟავად და ხელს უწყობს კარიესის განვითარებას.

**ვეგეტარიანული საკვები კბილის დაავადებებს არ გამოიწვევს, თუ გამოყენებული იქნება უმი, მაგარი ბოსტნეული.**

## ონკოლოგების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაზიანებულმა კბილებმა შეიძლება გამოიწვიოს სწორი ნაწლავისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის ონკოლოგიური დაავადებები.

**დაზიანებული კბილების გამო** საჭმლის მომნელებელ სისტემაში მუდმივად მოხვედრილმა გადაუმუშავებელმა საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს **მომნელებელი სისტემის ლორწოვანი გარსის ტრავმა,** ონკოლოგიაში კი ტრავმით გამოწვეული ონკოშემთხვევები მრავალია. ამდენად, საჭიროა სიფრთხილე.

## ემულგატორები, ანუ კვებითი დანამატები







ნებისმიერი ხელოვნური წვენი („კოკა-კოლა“, „ფანტა“ და ა. შ.) შეიცავს **ორთოფოსფორმჟავას,** რაც ხელს უწყობს კბილის ცვეთას, მაგარი ქსოვილის დასუსტებას და გვირგვინის დაშლას. გამოუვალ სიტუაციაში აუცილებელია (და არა სასურველი), ასეთი საკვების მიღების შემდეგ მიირთვათ ყველი, რაც დაიცავს კბილს დეკალცინაციისაგან.

● **ადამიანმა ყოველდღიურად უნდა ჩაიტაროს თითებით ღრძილების მასაჟი, პროცედურა დაახლოებით 5 წუთი გრძელდება. მასაჟი ღრძილებში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. თვითმასაჟი ხდება ბუნებრივი და მაგარი საკვების მიღების დროსაც (ხილის, ბოსტნეულის, ხორცის). თვითმასაჟია აგრეთვე საღეჭი რეზინის ზომიერად გამოყენება, რაც გულისხმობს მის ღეჭვას საკვების მიღების შემდეგ 10-15 წუთის განმავლობაში.**

● კბილებზე ქვების მოცილება აუცილებელია წელიწადში 1-2 ჯერ. დღეს საქართველოში ეს აბსოლუტურად უვნებელი და უმტკივნეულო პროცესია, ვინაიდან ჩვენშიც დაინერგა ულტრამაღალი სიხშირის აპარატი, რომელიც შესანიშნავად ახერხებს ამ პროცედურის ჩატარებას.

● **ცალ მხარეს ღეჭვა არ შეიძლება, ვინაიდან ადამიანს ორივე მხარეს აქვს საღეჭი ცენტრი. ამდენად, ღეჭვითი პროცესი ორივე მხარეს თანაბრად უნდა განაწილდეს, რათა ორივე მხარე თანაბრად დაიტვირთოს. ცალ მხარეს ღეჭვა გამოიწვევს სახსრის დატვირთვას, შემდეგ კი მოხდება კბილების ფუნქციური გადატვირთვა და მორყევა, უარეს შემთხვევაში კი — საღეჭი კუნთის ჰიპერტროფია, რაც იწვევს სახის ასიმეტრიას. ეს კი უკვე გარეგნულადაც შეიმჩნევა. ამ დროს მოპირდაპირე მხარეს არ მოხდება კბილების ბუნებრივი რეცხვა, თვითმასაჟი, რაც წარმოქმნის ნადებსა და ქვებს კბილებზე.**

● პაროდონტოზის ერთ-ერთი მიზეზია ორგანიზმში ბიოლოგიური ბალანსის დარღვევა, რაც შემდგომში დესტრუქციულ ფაქტორებს იწვევს ღრძილში, საბოლოოდ კი იგი პაროდონტოზად ყალიბდება.

პაროდონტოზს სჭირდება კომპლექსური მკურნალობა, რაც გულისხმობს სპეციალისტის მიერ თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ მიდგომას. ამ დროს აუცილებელია კბილების ჯერ ქვებისაგან განთავისუფლება, შემდეგ — მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებები და მხოლოდ ამის შემდეგ — მკურნალობა.

● **პირის ღრუს სწორად მოვლის ხარჯზე ყველა ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია შეინარჩუნოს ლამაზი კბილები. მათი დროული დაბჟენა ან გინგივიტის დროული მკურნალობა აღარ გამოიწვევს შემდგომში პაროდონტოზს. წელიწადში თითოეული მოქალაქე ორჯერ უნდა მივიდეს სტომატოლოგთან კონსულტაციაზე, რათა დროულად აიცილოს გართულება.**

● ფტორი არის თევზში, რძეში, სასმელ წყალში. ფტორი ორგანიზმში იწვევს კბილის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და კარიესი აღარ წარმოიშობა. მისი საჭირო რაოდენობა სასმელ წყალში უნდა იყოს 0,7—1,2 მგ ლ. თბილისის სასმელ წყალში, სამწუხაროდ, მისი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.

## კბილების პროფილაქტიკური მკურნალობა

**პროფილაქტიკა იწყება მაშინ, როცა კბილები ჯერ კიდევ ჯანმრთელია,** რათა ისინი არ დაზიანდეს. ამას კი სჭირდება როგორც ადამიანის მიერ თავის მოვლის მაღალი კულტურა, ასევე სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ საკითხისადმი. **სწორი პროფილაქტიკის დასანერგად პროპაგანდაა საჭირო როგორც უმცროსი ასაკის, ასევე მოზრდილ ადამიანებში.** ეს საქმე ჩვენში საკმაოდ მოიკოჭლებს, თუმცა, მოსახლეობის გაცნობიერება ელემენტარულ საკითხებში ბევრ პრობლემას აგვაცილებდა თავიდან.



**პირის ღრუს სწორად მოვლის ხარჯზე ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია შეინარჩუნოს ლამაზი კბილები**

# საკვების სწორად მიღების წესები

**იმისათვის, რომ საკვები შეგერგოთ, სასურველია, იგი სწორად მიიღოთ:**

**1.** **უმჯობესია, პური ხელით გადატეხოთ. ამ დროს იგი არ დაკარგავს გემოსა და ენერგეტიკულ ღირებულებებს.**

**2.** **პირველი კერძი, ანუ წვნიანი უმჯობესია, მიირთვათ ხის კოვზით (ნებისმიერი კერძი, რომელსაც მეტალის კოვზით მიირთმევთ, ბევრად უგემური ხდება, რადგანაც იგი ასეთ შემთხვევაში მზისა და სიცოცხლის ენერგიას კარგავს).**



**3.** **ყავა და ჩაი უმჯობესია, მიირთვათ ფართოპირიანი ჭიქით (ან ფიალით). დალევის დროს ცხელი ორთქლი, რომელიც ჭურჭლიდან ამოდის, სახის კანზე დადებითად მოქმედებს, კერძოდ, წმენდს მას. ეს კი განსაკუთრებით სასურველია მანდილოსნებისთვის, რომელთაც გამონაყარი აქვთ სახის კანზე.**

**4.** **მარილის ნაცვლად სასურველია, გამოიყენოთ სოიოს სოუსი (ამჟამად ჩვენშიც იყიდება), ვინაიდან მარილი საკვებში ვიტამინების 20%-ს ანადგურებს, შაქარი კი — 40%-ს.**

**5.** **ნუ აადუღებთ წყალს დიდხანს ჩაის ან სუპის მომზადებისას, რადგანაც ხანგრძლივი დუღილის შემდეგ იგი იქცევა მძიმე წყლად, რაც უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე, აბერებს მას და აჩენს ავთვისებიან სიმსივნეს.**

## კვირგვინოსნები

### თიკა მახალდიანი
*მომღერალი*



დედაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, ხანდახან ისე მეცოდებოდი, **საღეჭი რეზინიც კი არ მოგითხოვიაო.** ბავშვობაშიც ძალიან საწყალი ვყოფილვარ და დიდობაშიც გამომყვა.

„თბილისელები“

### ანა ამილახვარი
*მსახიობი*



მიუხედავად იმისა, რომ **ძალიან შრომისმოყვარე ადამიანი ვარ,** სიზარმაცეც მახასიათებს. ვაკვირდები საკუთარ თავს და ვცდილობ, გავიგო, ვინ ვარ.

„თბილისელები“

### დავით დვალიშვილი
*მსახიობი*



მთელი ცხოვრება **თეატრისა და ცოლის ჭკუაზე ვიარე, ახლა მინდა, ჩემს ჭკუაზე ვიარო,** მაგრამ ვეღარ დავდივარ, აღარ ვიცი, როგორ უნდა.

„თბილისელები“

### კირა ანდრონიკაშვილი
*მსახიობი*



არ მომწონს, დღეს **გოგონების უმრავლესობა ერთმანეთს რომ ჰგავს,** ერთნაირად მეტყველებენ.

„სარკე“

### მაია მიქაშავიძე
*დიზაინერი*



სულ იმას ვფიქრობ, **კიდევ რა დავუტოვო შვილებს, შვილიშვილებს,** იმის გარდა, რაც უკვე შევქმენი. **ოთხი ბინა ვიყიდე** ჩემი შრომით.

„სარკე“

### ტატო გრიგალაშვილი
*ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში*



ყველაზე დიდი მოუთმენლობით **საქართველოს ჰიმნის აჟღერებას ველით ხოლმე.** ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი ჯილდო!

„კვირის პალიტრა“

# ვიქტორინა

**1. რომელ ქართველ მწერალს უხდებოდა ბავშვობის წლებში მშობლებთან საუბარი თარჯიმნის დახმარებით?** ა. დ. კლდიაშვილს; ბ. ა. წერეთელს; გ. ი. ჭავჭავაძეს.
**2. რომელი ყვავილი ამოდის მწვანის ამოფრქვევის წინ?**
ა. ფურისულა; ბ. ედელვაისი; გ. ენძელა.
**3. იერუსალიმის ცნობილ კედელს უწოდებენ —**
ა. გოდების კედელს; ბ. ცრემლების კედელს; გ. ტანჯვის კედელს.
**4. რას უწოდებენ სამხედრო ფორმირებას, რომელსაც ომის დროს მოსახლეობა ქმნის?** ა. ავანგარდს; ბ. ლაშქარს; გ. გვარდიას.
**5. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული — იარდი უდრის —**
ა. 77 სმ-ს; ბ. 91 სმ-ს; გ. 100 სმ-ს.
**6. კინოლენტის თავსა და ბოლოში მოთავსებულ ცარიელ კადრს უწოდებენ —** ა. რაკორდს; ბ. კონკურს; გ. კადენსს.
**7. რომელი ორდენი დააარსა მე-16 საუკუნეში ესპანელმა იგნატი ლოიოლამ?** ა. კაპუცინების; ბ. ფრანცისკანელების; გ. იეზუიტების.
**8. რომელ ქალაქში დააწესეს პირველად ავტომობილებისათვის სანომრე ნიშნები?**
ა. რომში; ბ. ლონდონში; გ. პარიზში.
**9. ფილმ „გლადიატორში“ მთავარი როლი შეასრულა მსახიობმა რასელ ქროუმ, რისთვისაც მან „ოსკარი“ დაიმსახურა. ამ კინოფილმში რასელ ქროუს გმირის სახელია —** ა. ტიტუსი; ბ. მაქსიმუსი; გ. ნერონი.
**10. მუსლიმანები თავიანთ კალენდარს უწოდებენ —**
ა. ჰიჯრას; ბ. რამადანს; გ. მედინას.

პასუხები ამავე გვერდზე

1. მასობრივი კრება
2. ვინ დაფასდა ათასად?
3. სასიგნალო ტივტივა
4. მსახური ბიჭი
5. ფეხბურთელის ფეხსაცმელი
6. ცარიელ-...
7. ტბა რუსეთში, ნოვგოროდის ოლქში
8. შესანიშნავი შვიდეულიდან ერთ-ერთი
9. ზღვის მოლუსკი
10. შედედებული სისხლი
11. პროსპერ მერიმეს ნოველა
12. „რა?...? როდის?“
13. 007
14. თეატრის მსახიობთა გუნდი
15. ამერიკელი კინომსახიობი ნიკ ...
16. „ნუ იქნება, ოღონდ ...“!
17. ჭრილი ბილიარდის მაგიდაზე
18. მგოსან-მომღერალი
19. ესპანეთში — ეტა, ჩრ.-ირლანდიაში — ?





### 27-ე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სტალკერი; 6. კვერცხი; 7. ნუგა; 8. ვალე; 9. არაყანი; 14. ომბალო; 15. რუ; 16. ისიდა; 18. ანკარა; 19. იჩ; 20. დო; 22. სანი; 23. კუ; 24. მი; 25. ნიგოზი; 27. ფრუ; 28. რერო; 29. კალვე; 30. მეტა; 31. კვახი.
შვეულად: 1. სეკუნდა; 2. ალერგია; 3. კაცი; 4. რეიგანი; 5. პეპელა; 10. რამადანი; 11. ჟღალი; 12. ნიორი; 13. კარალიოკი; 17. სირინოზი; 21. პანორამა; 22. სიგარეტი; 26. კუნელი; 27. ფილთა.

თარაზულად: 4. ქოშის მსგავსი ფეხსაცმელი ძველად; 9. უზურგო სკამი; 10. კეთრი; 11. მიმართვა ქალისადმი ესპანეთში; 12. მაგნიტი; 14. ესპანელი მწერალი ფედერიკო გარსია ...; 15. უდანაშაულობის საბუთი; 18. საეპისკოპო; 21. თავის ჩონჩხი; 23. იგივეა, რაც ბრინჯაო; 24. გერმანული ელექტრონაწარმის ფირმა; 25. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 26. მექსიკური „დიდებული“ მცენარე.
შვეულად: 1. ინგლისელი მწერალი ტომას ... რიდი; 2. სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 3. წინამძღოლი, ხელმძღვანელი; 4. წყლის „სანიტარი“ მოლუსკი; 5. რისამე განხორციელების შესაძლებლობა; 6. მტაცებელი ფრინველი; 7. უძველესი ძველბერძნული ქალაქი-სახელმწიფო; 8. ფარაჯა; 12. საამთიაქო ქსელი საქართველოში; 13. ვერცხლის ფული ძველ საბერძნეთში; 16. ხვიარა მცენარე; 17. თივთიკი; 19. ცხოველის სხეულის ცხიმი; 20. საოპერო სოლო; 21. პურეული მცენარე; 22. აუქციონზე გასატანი ნივთი.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

თარაზულად: 4. მაშია; 9. ტაბურეტი; 10. ლეპრა; 11. დონია; 12. ანდამატი; 14. ლორკა; 15. ალიბი; 18. ეპარქია; 21. ქალა; 23. რვალი; 24. სიმენსი; 25. კარატი; 26. აგავა. შვეულად: 1. მაინ; 2. კუბა; 3. ბელადი; 4. მიდია; 5. შანსი; 6. ალალი; 7. სპარტა; 8. მაზარა; 12. ავერსი; 13. დრაქმა; 16. ლიანა; 17. ბაიკა; 19. ქონი; 20. არია; 21. ქერი; 22. ლოტი.

თარაზულად: 4. პანდა; 8. პუშტუ; 12. კვადრიგა; 13. ლაიკა; 14. ლოსი; 15. რაბლე; 16. ტაბლა; 17. ანდეზიტი; 18. კანტი; 19. ნადი; 20. „სეიკო“; 21. ოტიტი; 24. მიკიტანი; 30. კომპასი; 31. პარაფინი; 32. ირავადი; 36. იმიტაცია; 41. მიტრა; 45. კიი; 46. ტიკი; 47. ალიმენტი; 48. პანგა; 49. ტაო; 50. მორსი; 51. ნოუ; 52. რური; 53. ეკერმანი; 54. სორგო; 55. ზოი; 56. ალიბი; 57. ერი; 59. აპია.
შვეულად: 1. ავანსი; 2. ადრესი; 3. სიბილა; 4. პარისი; 5. ნობლი; 6. „ალეკო“; 7. სიონი; 8. პატიო; 9. შაბლი; 10. ულანი; 11. ასადო; 22. ტოკაი; 23. ტამპა; 24. მოპსი; 25. კორტი; 26. ტაფტა; 27. ნანტი; 28. ლამა; 29. კივი; 33. რეიტუზი; 34. ვიტორია; 35. დეკარტი; 37. მალაკა; 38. ტუმორი; 39. ციხაი; 40. ამიმია; 42. ტორტი; 43. აპისი; 44. ინარი; 45. კანოე.

### 27-ე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. კაზინო; 5. ვესტალი; 9. რიელი; 10. აპრილი; 12. ზვარაკი; 13. ეგრისი; 14. არაბია; 16. ტეილორი; 18. შუ; 19. მხალი; 21. ბე; 22. ასორტი; 24. რა; 25. კოზაკი; 27. მამბა; 28. პალიტრა; 30. სამარე; 31. ნო; 32. რანგი; 33. ბაზალტი; 35. კლელია; 38. ნარდი; 41. ზე; 42. რუკა; 44. კამიუ; 45. ჰიგია; 46. არაი; 48. პადრე; 49. ადრესატი; 51. ვლადი; 52. ერეკლე; 53. აქ; 54. დიორი; 55. ამირა.
**შვეულად:** 1. კრაზანა; 2. ზარნაშო; 3. ორიგამი; 4. მეტიჩარა; 5. ვიზიტი; 6. სტაფილო; 7. არაბობა; 8. ირისი; 11. ლეი; 15. ბურკინა; 17. რეკორდი; 20. ლამინარია; 23. სიათა; 25. კასიკი; 26. ზამბეზი; 27. მარინა; 29. ტოლი; 33. ბერდანა; 34. ზეკარი; 36. ლეგრანი; 37. არაბიკა; 39. ამპირი; 40. დუდუკი; 43. არე; 44. კია; 45. ჰევეა; 47. ასლი; 50. ტერ.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:

1. დ. კლდიაშვილს; 2. ფურისულა;
3. გოდების კედელს; 4. ლაშქარს;
5. 91 სმ-ს; 6. რაკორდს;
7. იეზუიტების; 8. პარიზში;
9. მაქსიმუსი; 10. ჰიჯრას.

| ნარდის სათამაშო კუბი | ეთერზეთოვანი მცენარე | ამხანაგი სამსახურში | ქიმიური ელემენტი. ლითონი | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | ტროპიკული ხილი | ცეცხლის ანადენი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მწვანილი | თელის ტყე | ა.წერეთლის ლექსი | რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი | მთრიმლავი ნივთიერება | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | იტალიელი ფეხბურთელი |
|---|---|---|---|---|---|---|

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდის პასუხები:

**კამათელიანისულიკოლეგა ტიტანინიაგარაკივიალი**

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. მიტინგი; 2. კაცი; 3. ბუი; 4. ბოი; 5. ბუცი; 6. ტარიელი; 7. ილმენი; 8. კრისი; 9; კალმარი; 10. კოლტი; 11. კარმენი; 12. სად; 13. ბონდი; 14. დასი; 15. ნოლტი; 16. ბუნტი; 17. ლუზა; 18. ბარდი; 19. ირა.

თარაზულად: 4. ბამბუკის დათვი; 8. ავღანეთის ენა; 12. ანტიკური ეტლი; 13. რბილი ტყავი; 14. ცხენირემი, ანუ; 15. ფრანგი მწერალი; 16. მაგიდა (ძვ); 17. ვულკანური ქანი; 18. გერმანელი ფილოსოფოსი; 19. მამითადი, ანუ; 20. საათის ფირმა; 21. ყურის ანთება; 24. მედუქნე, ანუ; 30. ქვეყნის მხარეთა გასარკვევი ხელსაწყო; 31. სანთლისმაგვარი ნივთიერება; 32. მდინარე აზიაში; 36. მიმსგავსება, ანუ; 41. მღვდელმთავრის თავსაბურავი; 45. ბილიარდის ჯოხი; 46. ტყავის ჭურჭელი; 47. ოჯახისთვის გადასახდელი ყოველთვიური თანხა; 48. აფრიკული მახვილი; 49. საქართველოს კუთხე; 50. ხილის სასმელი; 51. ... ჰაუ; 52. გერმანიის სამრეწველო რეგიონი; 53. გოეთეს მეგობარი ლიტერატორი; 54. მარცვლეული კულტურა; 55. მომღერალი ... სადრანა; 56. უდანაშაულობის საბუთი; 57. ტბა ჩრდ. ამერიკაში; 58. დასავ. სამოას დედაქალაქი.
შვეულად: 1. წინასწარ გადახდილი თანხა; 2. მისამართი (ძვ); 3. წინასწარმეტყველი ქალი ბერძ. მითოსში; 4. მშვენიერი ელენეს გამტაცებელი; 5. ძველი ფრანგული ოქროს ფული; 6. რახმანინოვის ოპერა; 7. სოფელი თიანეთის რაიონში; 8. შიდა ეზო; 9. ფრანგული თეთრი ღვინო; 10. მსუბუქად შეიარაღებული კა-ვალერისტი; 11. არგენტინულად შემწვარი ცხვარი; 22. უნგრული ღვინო; 23. ქალაქი აშშ-ში; 24. ძაღლის ჯიში; 25. ჩოგბურთის მოედანი; 26. აბრეშუმის ერთგვარი ქსოვილი; 27. ქალაქი საფრანგეთში; 28. სამხრეთამერიკული ცხოველი; 29. ტროპიკული ხილი; 33. ვიწრო შარვალი; 34. ქალაქი ბრაზილიაში; 35. ფრანგი ფილოსოფოსი; 37. ქალაქი მალაიზიაში; 38. სიმსივნე, ანუ; 39. პროვინცია ჩინეთში; 40. სახის მიმიკის მოშლა; 42. ნამცხვარი; 43. წმინდა ხარი ეგვიპტ. მითოსში; 44. ტბა ფინეთში; 45. ერთგვარი სპორტული ნავი.



# მიხეილ ცაგარელი: ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

***— ივნისის დასაწყისში ერთდროულად რამდენიმე პლანეტის ენერგიული და შეუპოვარი ლომის ზოდიაქოში განლაგება რას შეუწყობს ხელს, რას გაამახვილებს და გაამძაფრებს? როდის იქნება ძლიერი ენერგეტიკული ბიძგი განსაკუთრებით საგრძნობი? მთვარის ზეგავლენამ ზოგიერთ ადამიანში რისი პროვოცირება შეიძლება მოახდინოს? ივნისის მეორე დეკადაში დროებითი ენერგეტიკული ქაოსი რაზე შეიძლება აისახოს და რა უნდა გავითვალისწინოთ ამ პერიოდში? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ზაფხულის მზებუდობის საკრალურ დღეს მზის გადანაცვლება ტყუპის ზოდიაქოდან კირჩხიბის ზოდიაქოში? პლანეტა მერკურის გადანაცვლებით 26 ივნისს მშვიდი და გაწონასწორებული კირჩხიბის ზოდიაქოში რისი შესაძლებლობები მოგვეცემა, რა გაადვილდება და გაძლიერდება და კიდევ, რას შეიძლება დაეთმოს ეს პოზიტიური დრო? ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— ზაფხულიც გვეწვია! როგორი იქნება თიბათვე?**

— **ივნისის დასაწყისი 9 რიცხვამდე საკმაოდ სასიკეთო და მეტად ჰარმონიული იქნება.** ნიშანდობლივია, რომ მთელი თვის მანძილზე ცის კაბადონზე აქტიურობისა და ბრძოლისუნარიანობის მმართველი **პლანეტა მარსი** ენერგიული, ამბიციური, ცეცხლოვანი **ლომის** ზოდიაქოში იმოძრავებს. **მზესთან** უახლოესი, გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** კი, რომელიც **კუროს** ზოდიაქოში იმყოფება, ჯერ ისევ სიჩქარეს უმატებს, ხოლო სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა **ვენერა** ასევე (5 ივნისიდან 9 ოქტომბრამდე) **ლომის** ზოდიაქოში დაიდებს ბინას. შესაბამისად, **ერთდროულად რამდენიმე პლანეტის ყოფნა და გავლენა ამ თავდაჯერებული და შეუპოვარი ზოდიაქოს ნიშანში განსაკუთრებით საგრძნობი გახდება 5-8 ივნისის შუალედში. გამძაფრებული მგრძნობელობა ადამიანებს სამოქმედოდ აუცილებელ ენერგეტიკულ ბიძგს მიაწვდის, სასიცოცხლო ტონუსს გაუძლიერებს, ინტუიციასა და შინაგან რეზერვებს გაუმძაფრებს.** ყოველივე ამას ასევე ხელს შეუწყობს **მთვარის მზარდი ფაზის** ენერგიაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ **ენერგეტიკულად ძლიერ პერიოდში დამყარებული კავშირები მომავალში მეტად სასარგებლო, მყარი და ნაყოფიერი აღმოჩნდება. ამავდროულად, 4 ივნისის სავსემთვარეობამდე,** მზარდი ფაზის **მთვარემ** განაპირობა შინაგანი დაძაბულობისა და მღელვარების ტენდენცია, რომელმაც ზოგიერთ ადამიანში შესაძლოა, აფეთქება, მერყეობა და უკმაყოფილებისა და პრეტენზიების პროვოცირება მოახდინოს.

**— როგორ განვითარდება მოვლენები და რა ტენდენციებს უნდა ველოდოთ ივნისის მეორე დეკადაში?**

— **10 ივნისის შემდგომ 19 რიცხვამდე, დედამიწის ბიოსფერო არასასიკეთო კოსმოსური ენერგიების ზონაში აღმოჩნდება. მთვარეც, რომელიც ამ პერიოდში დაღმავალ ფაზაში იქნება, ქაოტურ პროცესებს გააძლიერებს.** ამგვარი დისჰარმონიული გავლენა ძლიერი არ იქნება, თუმცა, შესაძლოა, არაერთ ადამიანზე დამთრგუნველად იმოქმედოს. ეს დროებითი ენერგეტიკული ქაოსი შესაძლებელია, პოლიტიკურ არენაზე კონფლიქტების საბაბად გადაიქცეს, ამიტომ არ იქნება გამორიცხული დიპლომატიური სირთულეები, დაპირისპირებები, სერიოზული საერთაშორისო დონის სკანდალები. გარდა ამისა, ადამიანების უყურადღებობის გამო, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს ავარიების, ტექნიკური საშუალებების მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა, ამიტომ **სასურველია, თვის ამ მონაკვეთში მინიმუმამდე შევამციროთ მოგზაურობების რიცხვი,** მივლინებები კი თვის ბოლო კვირისთვის დავგეგმოთ.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ივნისის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ტყუპის ზოდიაქოდან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 21 ივნისს, ზაფხულის მზებუდობის საკრალურ დღეს, როცა ნათელი ენერგიების კოსმოსური პორტალი იხსნება, გადაინაცვლებს ტყუპის ზოდიაქოდან კირჩხიბის ზოდიაქოში და ადამიანებში გაამახვილებს მგრძნობელობას, აღქმის უნარს, ინტუიციას.** წინა პლანზე წამოიწევს გულწრფელობა, თავდადება, პატრიოტიზმი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, ეროვნული და საგვარეულო ფასეულობები, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები და ასევე სენტიმენტალურობა, მეოცნებეობა, ჭირვეულობაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ **26 ივნისს პლანეტა მერკური ასევე გადაინაცვლებს კირჩხიბის მშვიდ, გაწონასწორებულ ნიშანში. შედეგად, ივნისის ბოლომდე, მეტად მშვიდი, წარმატებული პერიოდი დაისადგურებს,** ამიტომ სასურველია, იგი მაქსიმალურად ნაყოფიერად იქნეს გამოყენებული, რათა ადრინდელი წარუმატებლობების კომპენსირება მოვახდინოთ. თვის ეს პერიოდი შეიძლება, დაეთმოს ძველი გეგმებისა და ჩანაფიქრის განხორციელებას, ახალი საქმის დაწყებას, კარიერულ აღმასვლასა და ბიზნესის გაფართოებას. ამ პოზიტიურ პერიოდში გაადვილდება საქმიან პარტნიორებთან, სამუშაო ჯგუფთან, თანამშრომლებთან ურთიერთობის დარეგულირება, სანათესაო კავშირების გაძლიერება. გარდა ამისა, ახალი სასარგებლო ნაცნობობა შესაძლებელია, ნაყოფიერ თანამშრომლობაში გადაიზარდოს და მომავალში ხელი შეუწყოს წინსვლასა და წარმატებას.

## 5 – 11 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
გადაადგილებების, შეხვედრების, ინფორმაციის გაცვლის რაოდენობა მოიმატებს. დედ-მამიშვილებთან, ძველ მეგობრებთან, ახლობელ გარემოსთან ურთიერთობა გახშირდება. დამოუკიდებელი, თამამი გადაწყვეტილების მიღება გაგიადვილდებათ. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილი ან პირობები შეიცვალოთ. რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებისგან თავი შეიკავეთ, რათა ჯანმრთელობის მდგრადობა შეინარჩუნოთ. უცხოელ მეგობრებთან კონტაქტი კი სულიერად გაგამხნევებთ.

**კურო** (21.04-20.05)
შრომისუნარიანობა დაგიქვეითდებათ, მიღებული ინფორმაციის გადამუშავება გაგიჭირდებათ, რაც სამსახურში შესაძლოა, პრობლემის წარმოქმნის მიზეზი გახდეს. მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გარისკვა არ ღირს. ფარულად ნუ იმოქმედებთ. პესიმიზმი და ცუდი განწყობა ფიზიკურ მდგომარეობაზე აისახება, ამიტომ ხშირად დაისვენეთ და გაერთეთ, მაგრამ შეყვარებულს ნუ გაანაწყენებთ. მოგზაურობა სასიკეთო შედეგს ვერ მოიტანს, რადგან ბევრი წინააღმდეგობა შეიძლება შეგხვდეთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ცოდნითა და გონებამახვილობით არაერთ ადამიანს გაოცებთ. ენერგიულობითა და მხიარული განწყობით კი ბევრ თაყვანისმცემელს შეიძენთ. შვილები და მათი აღზრდა ბევრ დროს ითხოვს. ნათესავებთან მჭიდრო კავშირი ურთიერთობების განმტკიცებას ხელს შეუწყობს. საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობის წყალობით, თავდაჯერება მოგემატებათ, ყოფას გაილამაზებთ ახალი შენაძენითა და საჩუქრებით, მოგზაურობისას კი ყურადღებას ნუ მოადუნებთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ცხოვრების სტილის შეცვლა როგორც ოჯახის წევრებთან, ისე შეყვარებულთან პრობლემებს შეგიქმნით. ეცადეთ, ემოციებს არ აჰყვეთ, რათა შესაძლებლობებისა და არსებული მდგომარეობის რეალურად შეფასება შეძლოთ. ახალი კონტაქტები და ინფორმაცია საქმეთა წარმართვაში დაგეხმარებათ. აუცილებლობის შემთხვევაში დროულად მიიღეთ რჩევა გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანებისგან. გადაადგილებები შეამცირეთ და ინტრიგებსა და გარისკვას მოერიდეთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ფინანსური პრობლემების გადაწყვეტისას მეტი მოთმინება გამოავლინეთ და ყველა სადავო საკითხში საფუძვლიანად გაერკვიეთ, გულახდილობითა და ხელგაშლილობით საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობთ, თუმცა, ხარჯიც მოიმატებს. ამ პერიოდში იოლია წონაში მატება, ამიტომ პერიოდულად დიეტა დაიცავით და ივარჯიშეთ. მოგზაურობა-გადაადგილებებისას კი წესები დაიცავით და სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ახალი საქმიანი პარტნიორებისა და ოჯახის წევრების მიმართ კრიტიკული ნუ იქნებით. ძველი მეგობრები კომერციულ და ფინანსურ საკითხებში დახმარებას გაგიწევენ. ბევრ ადამიანთან ურთიერთობას მოერიდეთ, რადგან გადაღლა ნერვულ სისტემაზე აისახება და ქრონიკულ დაავადებას გაამწვავებს. მეუღლესთან ან შეყვარებულთან თუ გულთბილი არ იქნებით, შესაძლოა, ურთიერთობა ჩიხში მოაქციოთ.

## 5 – 11 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით ავტორიტეტს აიმაღლებთ. ოჯახის წევრებთან სითბო გამოიჩინეთ და ნურავის აწყენინებთ. მშობლების რჩევას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად მოწინავე იდეებისა და მეთოდების შესწავლა დაგჭირდებათ. ახალმა ნაცნობობამ შესაძლოა, სასიყვარულო გრძნობა გააღვიძოს და ხანგრძლივ ურთიერთობაში გადაიზარდოს. მოკლე მანძილზე ხშირ-ხშირი გადაადგილებები ჯანმრთელობაზე კარგად აისახება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ხელშეკრულების დადების, ახალი საქმის დაწყების ან საბუთების გაფორმების შემთხვევაში, ყველაფერი ყურადღებით წაიკითხეთ და კორექტივიც დროულად შეიტანეთ. ეს კვირა ხელს არ შეუწყობს ახალი ნივთების შეძენას, ელექტროტექნიკის განახლებას, მოგზაურობის დაწყებას ან დღესასწაულის მოწყობას. მჭრელ და მჩხვლეტავ საგნებს მოერიდეთ, რადგან ტრავმის მიღების ალბათობა არსებობს. სასიყვარულო ურთიერთობა ჰარმონიული იქნება, თუკი ზედმეტი მოთხოვნებისგან თავს შეიკავებთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ამ კვირაში პარტნიორებთან მუშაობა სახალისოც იქნება და მომგებიანიც. ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, სირთულეებია მოსალოდნელი, თუმცა, ნათესაური კავშირები ნიჭისა და შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენაში და თვითრეალიზაციაში დაგეხმარებათ. მცირე შეფერხებანი მოგზაურობისას მიზნის მიღწევას ხელს ვერ შეუშლის. კარგი დროა ჯანმრთელობის პროფილაქტიკისთვის, მკურნალობის დაწყებისა და გარეგნობის შესაცვლელად.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თქვენ წინაშე დიდი შესაძლებლობები გადაიშლება და დროის მცირე მონაკვეთში ბევრი საქმის შესრულებას შეძლებთ. ნათესავებთან და ახლობლებთან ურთიერთობის აღდგენა და გამყარება გაგიადვილდებათ. გადაადგილებებისა და შეხვედრების რიცხვი მოიმატებს. მეგობრების წრეში შესაძლოა, მომავალი სატრფო ანდა სულაც მომავალი მეუღლე გაიცნოთ. ხელსაქმობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან ტრავმის მიღების ალბათობა არსებობს.

**მერწყული** (20.01-18.02)
სახლისა და ოჯახის საქმეები დროებით გადადეთ და მეტი დრო პირად საქმიანობასა თუ ბიზნესს დაუთმეთ. შესაძლოა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესში მიიღოთ მონაწილეობა, რადგან ამ კვირაში გარშემო მყოფთა სიმპათიისა და თაყვანისცემის მოპოვება არ გაგიჭირდებათ. შესაძლოა, პირად საკითხში სასიამოვნო სიახლეებს ჰქონდეს ადგილი. უცხოეთთან დაკავშირებული ინფორმაცია მომავალ ცვლილებებზე დაგაფიქრებთ. ჯანმრთელობის მიმართ ყურადღება გაგიძლიერდებათ.

**თევზები** (19.02-20.03)
ხელი შეეწყობა განათლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი საქმის დაწყებასა და თანამშრომლობას. ყურადღებას ნუ მოაკლებთ ოჯახის წევრებს, საყვარელ ადამიანსა და მეგობრებს. თქვენი ჯანმრთელობისა და შინაგანი მდგომარეობისთვის სასიკეთოა როგორც ახლო მანძილზე მოგზაურობა და დასვენება, ისე სულიერი პრაქტიკა და მოძღვრის მოძიება.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**5, 7, 8, 10 და 11 ივნისი**

**4 ივნისი – სავსემთვარეობა, პიკი – 07.44 საათზე.**
**18 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი 08.39 საათზე.**




# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 5 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.28 საათზე, ჩადის 20.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.26) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 22.29 საათზე, ჩადის 6 ივნისს 06.02 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.47 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.24 საათიდან 11.26 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს აზარტს ნუ აჰყვებით და ფიზიკურად მძიმე სამუშაოსაც ნუ შეასრულებთ. პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოში, რაც ურთიერთობისას გააძლიერებს კომუნიკაბელურობას, არტისტულობას, კეთილშობილებას და ასევე სიჯიუტეს, სულსწრაფობას. დღეს მეტი დრო დაუთმეთ შემოქმედებას. თავისუფალი გრაფიკით იცხოვრეთ. კარგი დღეა პრობლემურ საკითხთა გადასაჭრელად. არ არის სასურველი საფინანსო ოპერაციები, ქორწინება, ვაჭრობა, სტომატოლოგიური პროცედურები, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კბილები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 6 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 20.32 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 23.27 საათზე, ჩადის 7 ივნისს 07.05 საათზე (მთვარის მე-18 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს რთულ საკითხებს ძალისმიერად ნუ გადაწყვეტთ. აგრესიულ ქმედებას მოერიდეთ. სასიკეთო დღეა მკერდის, კუჭ-ნაწლავის, ფილტვების სამკურნალოდ, კანისა და ფრჩხილების მოვლისთვის. კარგი დღეა კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, საოფისე ნივთებისა და საათების, უძრავი ქონების, მანქანის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, ქორწინება, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, საფინანსო ოპერაციები, ახალი თანამშრომლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ქრიზოპრაზი, ონიქსი, აქატი, მარჯანი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 7 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 20.33 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.32) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 8 ივნისს 08.19 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.33 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.41 საათიდან 12.32 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეროვნული და საგვარეულო ტრადიციები დაიცავით. ყოველდღიური საქმით შემოიფარგლეთ, თუმცა, შუადღემდე ახალი საქმის შესრულებაც ურიგო არ იქნება. სასიკეთოა ფეხით სეირნობა. დიდხანს ფეხზე დგომა არ ღირს. ნერვული სისტემა დასუსტებულია, ამიტომ ყურადღებას ნუ მოადუნებთ, ნუ გადაიღლებით. დაიოკეთ ზედმეტი პატივმოყვარეობა, შური და წყენა. მხოლოდ რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სამღებროსარემონტო სამუშაოებისთვის, სველი წესით დასუფთავებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, ნერვული სისტემა, თვალები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 8 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 20.34 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 00.13 საათზე, ჩადის 09.38 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 01.59 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სულიერი ამაღლების, ინტელექტუალური განვითარების, საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეების დღეა. დღეს დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. ეჭვები გადალახეთ და ეცადეთ, გეგმის რეალიზაცია ზუსტად მოახდინოთ. იმატებს სპონტანური იმპროვიზაციის უნარი. ნერვულ სისტემას გაუფრთხილდით. კარგი დღეა ჩქარი სიარულისთვის, სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, ცურვისთვის, ხეების დასარგავად, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, განცხადებებისა და რეკლამისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ელექტრო და აირ ხელსაწყოების, კომპიუტერის შესაძენად. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, ფორიაქი. მხოლოდ რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ვენები, წვივები. **ქვები:** აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, ციტრინი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 9 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.34 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.12) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 00.49 საათზე, ჩადის 10.57 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 02.15 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.24 საათიდან 14.15 საათამდე. **ტენდენციები:** თვითშემეცნების, ინტელექტუალური განვითარების, საზოგადოებრივი და რეფორმატორული საქმიანობის დღეა. დააკვირდით მინიშნებებს. კარგი დღეა უსარგებლო ნივთებისგან გასათავისუფლებლად, სახლის მშენებლობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ბინის შესაცვლელად, ბავშვის ჩასახვისთვის, კომპიუტერული და სხვა ელექტროტექნიკისა და აირ ხელსაწყოების შესაძენად. დღის მე-2 ნახევრიდან კი — იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, ზედმეტი ლაპარაკი და საიდუმლოს გამხელა, ანალიზების ჩაბარება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, მხედველობა, ტერფები. **ქვები:** აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი, მარგალიტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 10 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.35 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 01.18 საათზე, ჩადის 12.13 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 02.26 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 23.32 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია ფინანსური სიურპრიზების ალბათობა. წინდახედულობა გამოიჩინეთ ფინანსური და სასიყვარულო პრობლემის გადაწყვეტისას. სწავლასა და ინფორმაციის შესწავლას მეტი დრო დაუთმეთ. საქმეში კარგია ახალი მეთოდების გამოყენება. მოერიდეთ ზედმეტ ფანტაზია-ილუზიებს. კარგი დღეა სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი სესხის აღება-გაცემა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმეების წარმოება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მხედველობა, ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, მარჯანი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 11 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.31) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 01.42 საათზე, ჩადის 13.26 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 02.33 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს ტყუპის ზოდიაქოში (27 ივნისამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, ცნობისმოყვარეობას და ასევე სულსწრაფობას, მერყეობა-გაორებასა და უყაირათობასაც. ფინანსურ ხრიკებს მოერიდეთ. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ალკოჰოლის და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, თვალების გადაღლა, წესების დარღვევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თავი, სისხლძარღვები. **ქვები:** მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, მარჯანი; **საღამოს** — ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.






## საეკლესიო კალენდარი



**7 ივნისი – წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა**

5 ივნისი. ორშაბათი. **სულთმოფენობის შემდგომი დღესასწაული. სულიწმიდის ორშაბათი. ღირსისა დამიანესი, მეფეთუყოფილისა დემეტრესი, გარეჯელისა, „შენ ხარ ვენახის“ მთქმელისა.** ღირსისა მიქაელ აღმსარებელისა, სინადელი ეპისკოპოსისა; ღირსმოწამისა მიქაელისა; **წმინდა იოანე I-ისა — მთავარეპისკოპოსისა მცხეთისა და სრულიად ივერიისა.**

✝ 6 ივნისი. სამშაბათი. **ღირსისა სვიმეონ მესვეტისა, სასწაულმოქმედისა, რომელი იყო დამკვიდრებული მთასა საკვირველსა;** მოწამეთა: მელეტი სტრატილატისა, სტეფანესი, იოანესი, სერაპიონ ეგვიპტელისა, კალინიკე მოგვყოფილისა, თეოდორესი და ფავსტოსი და მათთანა მრავალთა მხედართა.

✝ 7 ივნისი. ოთხშაბათი. **მცხეთის ჯვრის დღესასწაული. ლომისობა;** წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა; მღვდელმოწამისა თერაპონტისა, კვიპრელი ეპისკოპოსისა.

✝ 8 ივნისი. ხუთშაბათი. მოციქულთა სამოცდათთაგანთა: კარპესი და ალფესი; მოწამისა გიორგი ახლისა; მოწამეთა: ამბერკისა და ელენესი. ღირსისა იოანე აღმსარებელისა, ფსიხაიტისა.

✝ 9 ივნისი. პარასკევი. **ღირსისა ბასილისა, მეფე ბაგრატ III-ის ძისა;** ღირსისა მიქაელ პარეხელისა, მღვდელმოწამისა თერაპონტისა, სარდიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა თეოდორა ქალწულისა და დიდიმო მხედრისა; მართლისა იოანე რუსისა, აღმსარებელისა.

✝ 10 ივნისი. შაბათი. **სულთმოფენობის დღესასწაულის წარგზავნა.** ნიკიტა აღმსარებელისა, ქალკედონელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ევტიქისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ელიკონიდასი; მღვდელმოწამისა ელადი ეპისკოპოსისა.

✝ 11 ივნისი. კვირა. **ყოველთა წმიდათა კვირიაკე; პეტრეპავლობის მარხვის აღება.** მოწამისა თეოდოსია ქალწულისა, ტვირელისა; პირველი მსოფლიო კრების მამათა; ალექსანდრე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსმოწამისა თეოდოსია ქალწულისა, კონსტანტინოპოლელისა. წმინდა ლუკასი, მკურნალისა, სიმფეროპოლის არქიეპისკოპოსისა.




**შევიძენ**

ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!

591 71 99 00




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

**გიდმედი**

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ვაკე; 7. მოპედი; 10. ქინაქინა; 11. სარმა; 12. ნეცკე; 13. ტერონი; 14. ბელეტაჟი; 15. ლავრა; 16. ლეონე; 17. რანდა; 18. სულიკო; 19. ნუარე; 21. განჯევი; 22. ბიორკი; 23. ნავარა; 26. ტაუ; 28. ჩიხი; 30. ლაისტი; 32. ნინოშვილი; 33. ბიტი; 35. ლობიო; 36. სკუდო; 37. აპერიტივი; 42. ლინჩი; 43. მინი; 45. დვირი; 48. გრავიტაცია; 49. პეპია; 51. სევილია; 55. რაველი; 58. რადარი; 59. მძიმე; 60. დო; 61. ფაზენდა; 62. ნავსი; 63. ალენი; 64. ოპერა.

შვეულად: 1. სინეკურა; 2. კარენინა; 3. სინაგოგა; 4. ვანილინი; 5. კეცხოველი; 6. ტრივიალური; 7. მატარებელი; 8. პარანგონი; 9. დანია; 11. სელენიტი; 20. ტიპიკონი; 23. ნინია; 24. ვინმე; 25. რუშდი; 27. ცინი; 28. ჩილი; 29. ხიბლი; 31. სეული; 33. ბოლი; 34. ტენგე; 36. სიდი; 38. პორშე; 39. რივზი; 40. ტიტრი; 41. ვაცი; 43. მადამ; 44. ნიკე; 46. ვანდალი; 47. რეფრენი; 49. პაი; 50. პერო; 51. სოფა; 52. ვაზი; 53. ლინი; 54. ამაო; 55. რიდე; 56. ვენა; 57. ლევი; 60. დიო.

**მარტინიკააპიკოლორადონისანიტარიელიტაბულატაი**
**მეტრიკაბალაგანიმედიუმიაკიდონორიომარილიონი**

| კუნძული ვესტინდოეთში | პატარა ფლეიტა | რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი | უმცროსი მედიცინის მუშაკი | „უმაღლესი“ საზო-გადოება | ბარდი ... ოკუჯავა | ... ია |
|---|---|---|---|---|---|---|

| გაზაფხულის თვე | სახის ნაწილი | აშშ-ის შტატი | იაპონური მანქანა | შოთას „ვეფხისტყაოსნის“ სახელი | გამრავლების ცხრილი | ტაი-ლანდის ენა |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. თბილისის უბანი; 7. გაუმჯობესებული მოტოველოსიპედი; 10. ციებ-ცხელების სამკურნალო წამალი; 11. ჭიდაობის ერთ-ერთი ფანდი; 12. იაპონური მინისკულპტურა; 13. ჰოლივუდის მსახიობი შარლიზ ...; 14. პირველი იარუსი თეატრში; 15. მამათა დიდი მონასტერი; 16. რეჟისორი ფილმისა „ერთხელ ამერიკაში“; 17. გრძელი შალაშინი; 18. ა. წერეთლის ლექსი, რომელიც პოპულარულ სიმღერად იქცა; 19. ფრანგი მსახიობი ფილიპ ...; 21. აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი ...; 22. ისლანდიელი მომღერალი ქალი; 23. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 26. ბერძნული ტ-ს სახელი; 28. პატარა ქუჩა, რომელიც ბოლოში ჩაკეტილია და გასასვლელი არა აქვს; 30. გერმანელი მწერალი (თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“); 32. ქართველი მწერალი; 33. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 35. პარკოსანი კულტურა; 36. ძველებური იტალიური ოქროს ან ვერცხლის მონეტა; 37. სუსტი სპირტიანი სასმელი; 42. ამერიკელი რასისტი პლანტატორი; 43. მოკლე კაბა; 45. სატანვარჯიშო იარაღი; 48. მსოფლიო მიზიდულობის კანონი; 49. თამროს მამა („გლახის ნაამბობი“); 51. ქალაქი ესპანეთში; 55. ფრანგი კომპოზიტორი; 58. ლოკატორი; 59. სასვენი ნიშანი; 60. პირველი ნოტი; 61. ბრაზილიური რანჩო; 62. თარსი; 63. ამერიკელი რეჟისორი; 64. ხელოვნების დარგი.

შვეულად: 1. შემოსავლიანი თანამდებობა, თბილი ადგილი; 2. ლ. ტოლსტოი — ანა ...; 3. ებრაელთა ტაძარი; 4. ვანილის სუროგატი; 5. ქართველი რევოლუციონერი, „მესამე დასის“ წევრი; 6. სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებული, გაცვეთილი; 7. სარკინიგზო ტრანსპორტი; 8. უზადო ბრილიანტი; 9. ჰამლეტის სამშობლო; 11. მთვარეზე მცხოვრები ფანტასტიკურ რომანებში; 20. საეკლესიო წესების კრებული; 23. კოლუმბის ხომალდი; 24. „ვწერ ... მესხი მელექსე“ (შოთა); 25. ბრიტანელი მწერალი; 27. ჩინეთის იმპერატორთა დინასტია; 28. წიწაკის სახეობა; 29. შარმი; 31. კორეის რესპუბლიკის დედაქალაქი; 33. კვამლი; 34. ყაზახეთის ფულის ერთეული; 36. პიერ კორნელის დრამა; 38. გერმანული ავტომობილი; 39. მსახიობი კიანუ ...; 40. წარწერა ფილმის კადრზე; 41. მამალი თხა; 43. ქალბატონო! (ფრანგ.); 44. გამარჯვების ბერძნ. ქალღმერთი; 46. ძველი გერმანული ტომის წარმომადგენელი, ბარბაროსი; 47. ტაეპები, რომლებიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება; 49. წილი საერთო საქმეში; 50. ფრანგი ბალეტმაისტერი; 51. დაბალი, ფართო დივანი; 52. ყურძნის მცენარე; 53. ამერიკელი რეჟისორი; 54. ფუჭი, უნაყოფო; 55. პირბადე; 56. ავსტრიის დედაქალაქი; 57. ფულის ერთეული ბულგარეთში ევრომდე; 60. ჟალუზების მწარმოებელი ფირმა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| დაბადების მოწმობა | უხამსი სანახაობა | შუამავალი ადამიანებსა და „სულებს“ შორის | მოკლედ აჭრილი ვაზის რქა | სოფელი გარდაბნის რაიონში | მლაშე სანელებელი | რაიონ-ული ცენტრი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|

| სიბრძის საზომი ერთეული | მონური დამოკი-დებულება | ზევსის მერიქიფე | ესკიმოსების ქოხი | სისხლის გამცემი | ზღვის დიდი კიბო | ქალაქი საფრანგეთში |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 5 — 11 ივნისი №26 (1490)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **(+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2 009882 637296

